

პალეოგრაფიული ძიებანი

II

მეცნიერება

1969

4Г
499.962.1—72
3152

კრებულში მოთავსებულ ნაშრომებში განხილულია ქართული პალეოგრაფიის რიგი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა: სიტყვათა დაქარაგმება, სფრაგისტიკა, კვირნიშნები, პირობითი და ტექნიკური ნიშნები, ხელნაწერთა შემკულობა და სხვ. შრომები დამუშავებულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ხელნაწერი წიგნებისა და ისტორიული საბუთების, აგრეთვე ეპიგრაფიული ძეგლების საფუძველზე.

ა. ბაჰრაძე

ქართული ბეჭდები

1. სამეფო ბეჭდები

ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში ქართული სამეფო ბეჭდები XV საუკუნის 70-იანი წლებიდან ჩნდება, მაგრამ საბუთების დაბეჭდვა ძველთაგანვე იყო ცნობილი როგორც უცხოეთში, ასევე საქართველოში. ამ საკითხს დაწვრილებით ეხება ივ. ჯავახიშვილი¹. ბეჭდები XV საუკუნემდეც უნდა არსებებოდა, თუმცა მოღწეულ საბუთებში ისინი არ გვხვდებიან. როგორც აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, „საქართველოს მეფეთა საბუთების თვით დედნების განხილვა-დაკვირება სრული უქველობით სწყვეტს საკითხს და ცხადყოფს, რომ ძველ ხანაში, XIV—XV საუკუნეებამდე ქართული საბუთები შეკიდული ბეჭდებით ყოფილა შემკული. თუმცა ჭერჯერობით არც ერთი სიგელი არ არის აღმოჩენილი, რომ მას ზედ შეკიდული ბეჭედი შერჩენოდეს. მაგრამ, სამაგიეროდ, ყველა პირმშო დედნებს გარკვეულ ადგილას ნახვრეტები აქვთ, რომელშიაც ბეჭდის დამამაგრებელი ზონარი იყო გაყრილი“¹. სამართლიანად აღნიშნავს ს. ბარნაველი, რომ ხშირად არც ეს ნახვრეტებია².

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ხელნაწერთა ინსტიტუტის ქართულ საბუთებში დაცულ სამეფო ბეჭდების კატალოგს³. კატალოგი შეიცავს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მეფეთა ბეჭდების ლეგენდებს. მოცემულია ბეჭდის ფორმა, ზომა (სანტიმეტრებში), ლეგენდის წაკითხვა. მითითებულია ბეჭდის ხმარების თარიღი. ბეჭდები დალაგებულია ანბანურად, ხოლო შიგნით ქრონოლოგიურად. ნაშრომს ბოლოში დართული აქვს ტაბულები ლეგენდების ფაქსიმილებისა და ანაბეჭდების სურათებით.

ქართული ბეჭდების წარწერებით-ლეგენდებით ჭერ კიდევ ძველად ყოფილან დაინტერესებულნი. ვიღაც უცნობ პირებს უცდიათ და შეუკრებიან სამეფო. დედოფლების, ბატონიშვილების და სხვადასხვა თანამდებობის პირთა ბეჭდებზე ამოჭრილი წარწერები. ეს ნაშრომები, დაცული ხელნაწერთა ინსტი-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, გვ. 68—80, თბ., 1926,

² ს. ბარნაველი, საქართველოს საბეჭდაეები და სხვა გლიპტიკური მასალა, თბ., 1965, გვ. 72.

³ გამოჩალისის სახით კატალოგში შეტანილია ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივის (ცსსა) საბუთებში დაცული რამდენიმე ბეჭედი, რომლებიც ჩვენს ფონდებში არ გვხვდებიან.

ტუტში (H-18, S-1635/ბ), ძველი არ უნდა იყოს და წარმოადგენს უბრალო კრებულს. ზოგიერთი ბეჭდის ლეგენდა, რომელიც საბუთებში არ ჩანს, ამოღებული და მოყვანილი გვაქვს დასახელებული ხელნაწერებდან.

ბეჭედს, როგორც სიმტიციის სიმბოლოს, საბუთს უსვამს ის პირი, რომელიც გარკვეულ მიმართებაშია საბუთში აღნიშნულ იურიდიულ აქტთან. ბეჭედს უსვამს. უპირველეს ყოვლისა. დოკუმენტის გამცემი და იშვიათ შემთხვევაში მიმღები. როდესაც გამცემი რამდენიმე პირია. შესაძლებელია, საბუთს ყველა მათგანის ბეჭედი ჰქონდეს. ხშირად ბეჭდის მაგივრობას ხელრთვა ცვლის. არის შემთხვევები, როდესაც არც ბეჭედი და არც ხელრთვა.

ბეჭედს უსვამს მოწმე და საბუთის დამამტიციებელი ან განმამხლებელი პირი. ბეჭედების დასმის თანმიმდევრობა გარკვეულ წესს ემორჩილება. ისინი ძირითადად დასმული არიან დოკუმენტში მოხსენებულ პირთა თანმიმდევრობის მიხედვით. ამის შედეგად ადვილი ხდება ზოგიერთი ძნელად წასაკითხი ბეჭედს ამა თუ იმ პირისათვის მიკუთვნება.

აღსანიშნავია ბეჭედების დასმის ადგილი. ამ მხრივ ქართული და სპარსული ბეჭედების დასმის წესი განსხვავებულია. ქართულ დოკუმენტებში საბუთის გამცემთა ქართული ბეჭედები დასმულია ტექსტის ბოლოს, მოწმეებისა—ტექსტის შუა ან აშიაზე მოწმეების ვინაობის დასახელების შემდეგ. იმ პირის ბეჭედი, რომელიც ამტიციებს ან აახლებს ადრე დაწერილ დოკუმენტს, დასმულია აშიაზე ამ პირის ვინაობის მოხსენიების შემდეგ. ს. ბარნაველი აღნიშნავს, „ქართული საბუთების თავში ვხედავთ მხოლოდ საკათალიკოსო დიდ საბეჭდოებს, რაც უნდა განიხილებოდეს, როგორც მათი სრული სუვერენობის ნიშანი თავიანთ სფეროში“⁴. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ხსენებულ ბეჭედს ყოველთვის საბუთის თავში არ ვხვდებით. მთელ რიგ შემთხვევებში საკათალიკოსო დიდი ბეჭედი დასმულია საბუთის ბოლოს. მაგ., 1588 წ., 1592 წ., 1470 წ., 1542 წ., 1640 წ., 1698 წ., 1657 წ., 1616 წ., 1678 წ. კათალიკოსების მიერ გაცემულ დოკუმენტების ბოლოს ვხვდებით ამ ბეჭედს და კათალიკოსთა პირად ხელრთვას ან მის ნაცვლად დასმულ კათალიკოსთა პირად ბეჭედებს⁵.

ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს სახლთუხუცესის ბეჭედი, რომელიც ზოგჯერ საბუთის V-ზეა მოთავსებული, ყოველგვარი წინ წამძღვარებული ტექსტის გარეშე. მაგ., ასეთ შემთხვევებს ადგილი აქვთ 1676 წ. შაჰნავაზის მიერ ვახტანგ ბარათაშვილისათვის მიცემულ წყალობის წიგნში, რომელსაც უზის სახლთუხუცეს ციცი ბეჭედი (Sd-536), 1681 წ. გიორგი მეფის მიერ ზურაბ თუმანიშვილისათვის მიცემულ წყალობის წიგნში, რომელსაც უზის სახლთუხუცეს თეიმურაზის ბეჭედი (Hd-2602), 1692 წ. გიორგი მეფის მიერ ფარემუზ ჯავახიშვილისათვის მიცემულ სითარხნის წიგნში, რომელსაც სარდალ-სახლთუხუცეს ლუარსაბის ბეჭედი აქვს. (Hd-2639), ერეკლე მეფის 1768 წ., 1770 წ. და 1784 წ. სიგლებში, რომლებსაც უზით სახლთუხუცეს დავით ორბელიანის ბეჭედები (Qd-667, Qd-9817, Hd-156).

⁴ ს. ბარნაველი, საქართველოს საბეჭდოები და სხვა გლიბტიკური მასალა, გვ. 85, თბ., 1965.

⁵ ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd №№ 2526, 1352, 1353, 1462. Ad-1588, Qd № 31, 39, 45; Sd-407.

სეფიანთა დროის შაჰების ბეჭდები. როგორც გამორკვეული აქვს მ. ხუ-
ბუას, ისმებოდა საბუთის თავში. სხვა თანამდებობის პირთა სპარსული ბეჭდე-
ნი უფრო ხშირად ქართული ტექსტის შუაშია, ამ პირის ვანობის მოხსენებანს
გარეშე. ამის კარგ მაგალითს წარმოადგენს როსტომ მეფეს დროის დოკუმენ-
ტები. 1636 წ. როსტომის წყალობის წიგნს ბოლოში აქვს მეფეს და დედოფ-
ლის ხელრთვა, ხოლო საბუთს ტექსტში უზის სამი ბეჭედი — ორი სპარსული
და ერთი ქართული (Hd-14652).

ზოგჯერ ბეჭდის ხმარების თარიღის დადგენა ძნელდება. ეს უმთავრესად
ეხება იმ პირთა ბეჭდებს, რომელნიც ამტკიცებენ ან ამოწმებენ საბუთში აღ-
ნიშნულ იურიდიულ აქტს და რომელთა მინაწერებში არ არის აღნიშნული ქო-
რონიკონი. ამ შემთხვევაში მოწმეების ბეჭდები ძირითადად საბუთის თანადრო-
ულია მცირეოდენი გამოწკლისის გარდა. მაგ., 1807 წ. საბუთს (Qd-7285)
ამიაზე აქვს მინაწერი ბეჭდებით „მოწმე კემენით ჩენის ბეჭდების დასმითა.
ჩყეე წელსა“. საბუთის განმახლებლის ბეჭედი ყოველთვის გვიანდელია; ხო-
ლო რაც შეეხება დამამტკიცებელს, იგი შეიძლება საბუთის თანადროულიც
იყოს და მერმინდელიც.

ქართული ბეჭდები მოყვანილობის მხრივ ორ ჯგუფად შეიძლება გაიყოს.
მათი ძირითადი ნაწილი კუთხოვანია — ოთხკუთხა და რვაკუთხა ფორმისაა. უმ-
ციურესი ნაწილი მრგვალია და ოვალური. უძველესი სამეფო ბეჭდები ოთხკუთხა
ფორმისაა (ბაგრატ, ალექსანდრე მეფეების და გიორგი ბატონიშვილის). არის
ბეჭდები გუმბათისებური ფორმის, მაგრამ ისინი ერთ გარკვეულ პერიოდში,
სახელდობრ, XVII ს. მეორე ნახევარში გვხვდებოან.

აღსანიშნავია, რომ ირანული გავლენის ხანაში, XVI საუკუნის ბოლოსა და
XVII საუკუნეში, ზოგიერთ ქართველ მოღვაწეს სპარსული ბეჭდები ჰქონდა.
ამათგან ზოგიერთი, მაგ., სვიმონ I-ის და II-ისა, მრგვალი ფორმისა იყო. ხო-
ლო როსტომ მეფისა ოთხკუთხა. ეს ბეჭდები არაერთხელ გვხვდება ამ დროის
ორენოვან (ქართულ-სპარსულ) დოკუმენტებზე.

საყურადღებოა როსტომ მეფის ქართული ბეჭდების მრგვალი და გუმბათ-
ისებური ფორმები, შაჰნავაზის ორი სხვადასხვა შინაარსის გუმბათისებური და
ამავე ფორმის ნაზარალიხანის ბეჭდები. სამეფო ბეჭდის მრგვალი ფორმა მომ-
დევნო ხანაში კიდევ ერთხელ გვხვდება. ეს არის იესე მეფის ორი სხვადასხვა
ლეგენდიანი ბეჭედი. სამეფო საგვარეულოს აღნიშნული ფორმის ბეჭდები დამა-
ხასიათებელია ირანული გავლენის ხანაში იმ პირებისათვის, რომელნიც ვარკ-
ვეულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ ირანის სახელმწიფოსთან. განსა-
კუთრებულ ყურადღებას იქცევს ბაქარის ბეჭედი ორთავიანი არწივის ემბლე-
მით. ამ ემბლემის გაჩენა XVIII საუკუნის დასაწყისში, აქაღ. გ. ჩუბინაშვილის
აზრით, დაკავშირებული უნდა იყოს რუსეთთან ურთიერთობასთან.

ფორმის მხრივ აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ბეჭდები განსხვავდე-
ბიან დასავლეთ საქართველოს სამეფო ბეჭდებისაგან. დასავლეთ საქართველო-

0 მ. ხუ ბ უ ა . საქართველოს მეზღუემის სპარსული ფორმანები . დოკუმენტი . თბ . 1949 . გვ .
01 .

7 ვ . ფ . ე . ო . უ . რ . ი . ძ . ე . ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები . თბ . 1955 .

8 ს . ბ . ა . ნ . ა . ე . ლ . ი . საქართველოს საბეჭდავსი და სხვა გლიპტიკური მასალა .
გვ . 100 . თბ . 1965 .

ში XVII საუკუნეზე ადრე სამეფო ბეჭდებს არ ვხვდებით. XVII საუკუნის ბეჭდები, როგორც წესი, ყველა ნუშის ფორმისაა. იმდენად დამახასიათებელია XVII საუკუნისათვის ბეჭდის ეს ფორმა, რომ დაუთარილებელი დოკუმენტები, რომლებშიც ისინი გვხვდებიან, ექვის გარეშე შეიძლება ამ საუკუნეს მივაკუთვნოთ. გამოჩაყლის წარმოადგენენ ალექსანდრე მეფის 1734-37 წწ. და გიორგი მეფის ამავე ფორმის 2 ბეჭედი, რომელსაც შ. ბურჯანაძე 1702-20 წწ. ათარილებს⁹. ერთი მათგანი იმეორებს XVII საუკ. გიორგი მეფის ბეჭედს: „მონა ლთისა, ყმა ხვანთქრისა, მეფე გიორგი“, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ XVII საუკ. ბეჭედს შუაში თურქული წარწერა აქვს, ხოლო მეორეს კი შუაში ჯვარი აქვს.

XVIII საუკუნეში დასავლეთ საქართველოში ოთხკუთხა და უფრო რვაკუთხა ბეჭდები გვხვდება. ამ დროისათვის დამახასიათებელია აგრეთვე სწორკუთხა ფორმები, რომელთაც ზედა შუა ნაწილი მრგვალად ამალეებული აქვთ. მაგ., ალექსანდრე და სოლომონ მეფეების და თამარ დედოფლის ბეჭდები.

ქართულ სფრაგისტიკაში ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც ლეგენდა ორ ან მრავალენოვანია, მაგრამ ეს ძირითადად ეხება არა სამეფო ბეჭდებს. ეს წარწერები უფრო ხშირად სპარსულ და სომხურ ენაზეა შესრულებული. მაგ., ზაზა ყორიასაულბაშის, გორის მამასახლისის შვილის აბელის (1710 და 1725 წწ.). ბეგია ზასტამაშვილის 1690 წ. და სხვ.¹⁰ სამეფო ქართულ ბეჭდებში ასეთ შემთხვევებს, ორიოდ გამოჩაყლისის გარდა, ადგილი არა აქვთ. აღმოსავლეთ საქართველოში ვხვდებით, ისიც ერთხელ, ერეკლე მეფის ხუთენოვან ბეჭედს, დასმულს მის მიერ სინას მონასტრისათვის მიცემულ დუქნების შეწირულების წიგნზე და დასავლეთ საქართველოში ზემოთ მოხსენიებულ გიორგი მეფის ბეჭედს.

ბეჭდების რაოდენობა საუკუნეების მიხედვით სხვადასხვაა. XV—XVI სს. მათი რიცხვი მეტად მცირეა და მათი ლეგენდები მოკლეა. უმთავრესად ისინი გადმოსცემენ ბეჭდის მფლობელის სახელს, ყოველგვარი ტიტულის გარეშე. ასეთია უძველესი სამეფო ბეჭდები ბაგრატ მეფისა (1470 წ.), ალექსანდრე კახთა მეფისა (1479 წ.), სვიმონ მეფის ძის გიორგი ბატონიშვილისა (1552 წლიდან).

XVII საუკუნეში ქართული ბეჭდების რიცხვი იზრდება. ეს ფაქტი უფრო XVII საუკუნის მეორე ნახევარს ეხება. XVII საუკუნის პირველ ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოში მხოლოდ როსტომ მეფის ორი ბეჭედი ჩვენთვის ცნობილი; შაჰნავაზის ბეჭედიდან ოთხი, ხოლო ნაზარალიხანისა ხუთი. აღნიშნული ბეჭედიდან ექვის მრგვალი და გუმბათისებურია. XVII საუკუნის ბოლოსთვის საბუთებში ჩნდება ბატონიშვილების ბეჭდები, რომლებიც კუთხოვანი ფორმის არიან. მაგ., როსტომ მეფის ძის ვახტანგის ორი ბეჭედიდან ერთი ოთხკუთხაა, ხოლო მეორე რვაკუთხა და მის ლეგენდაში იგი იწოდება „შაჰაბაზის ფერკთა მტვერად“. ბატონიშვილები ვახტანგ, ქაიხოსრო, ლუარსაბ. გიორგი ლეგენდებში იწოდებიან „ძე ლევანისა ვახტანგ მირზა“, „გიორგი მირზა“, „ქაიხოსრო მირზა“, „ლუარსაბ მირზა“.

⁹ შ. ბ. ბ. ჯ. ა. ნ. ა. ძ. ე., ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდისის სამთავროებისა, წ. 1, თბ., 1959, №№ 44, 46, 47.

¹⁰ ხელნაწ. ინსტ. Hd №№ 1857, 2373, 2374, 6606. Qd № 8664.

XVII საუკუნეში ქართულ სამეფო ბეჭდებთან ერთად. პარალელურად ჯერ კიდევ იხმარება სპარსული ბეჭდები. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ცნობილია როსტომ მეფის და აგრეთვე შაჰნავაზის სპარსული ბეჭდები. აღსანიშნავია, რომ ისინი გვხვდებიან ძირითადად ორენოვანი დოკუმენტების ტექსტებში¹¹. 1696 წ. ნაზარალიხანის ორენოვან წყალობის წიგნს უზის მისი ორი ბეჭედი: ქართულ ტექსტს ქართული ლეგენდით „მეფე ნაზარალიხან“, ხოლო სპარსულ ტექსტს მისივე სპარსული ბეჭედი სამსტრიქონიანი ლეგენდით. ორივე ბეჭედი უზის აგრეთვე ნაზარალიხანის მიერ 1692 წ. ფარემუზ ჯავახიშვილისათვის და 1689 წ. ფანველიშვილებისათვის მიცემულ სიგლებს¹². არის შემთხვევები, მაგრამ ძალიან მცირე, როდესაც ქართულ ერთენოვან საბუთებს უზით ქართველ მეფეთა სპარსული ბეჭდები. მაგ., 1633 წ. როსტომის მიერ გაცემულ დოკუმენტს (Qd-8924).

XVIII საუკუნიდან საერთოდ ბეჭდების და კერძოდ სამეფო ბეჭდების რიცხვი საგრძნობლად იზრდება. „საბეჭდავების სიმრავლე XVIII საუკ. ერთ-ერთი მაჩვენებელია დიდი ძვრებისა ეკონომიკის დარგში. განსაკუთრებული სიმრავლით იჩენს თავს მოქალაქეთა ბეჭდები ქალაქთა როლის ზრდის უტყუარი მოწმობა“¹³.

ბეჭდების ლეგენდები შესრულებულია მხედრული და ასომთავრულით. ლეგენდები განლაგების მხრივ ორ ჯგუფად იყოფა: ბეჭდები, რომელთა ლეგენდები მოთავსებულია სტრიქონებად და ბეჭდები, რომელთა ლეგენდები მოთავსებულია ბეჭდის კიდევების ოთხივე მხარეს და მის შუა ნაწილში.

შინაარსის თვალსაზრისით ქართული ბეჭდები შეიძლება სამ ჯგუფად გაიყოს. 1. ბეჭდები, რომელთა ლეგენდები შეიცავს ბეჭდის მფლობელის მხოლოდ სახელს. მაგ. „გიორგი“, „როსტომ“, „შაჰნავაზ“, „ბაგრატ“. „რუსუდან“, „ერეკლე“, „იულიან“ და სხვ. ხშირად ამ ლეგენდების დაწერილობა ხელრთვის სახით არის წარმოდგენილი, როგორც, მაგ., როსტომ, რუსუდან, ერეკლე.

2. მეორე ჯგუფში შედიან ის ბეჭდები, რომელთა ლეგენდებში ბეჭდის მფლობელი მოხსენიებულია გვარით, თანამდებობით ან რაიმე ტიტულით. მაგ., მეფე ბაქარ, ბატონიშვილი ერეკლე, მეფე ნაზარალიხან, დედოფალი ანა, დედოფალი დარეჯან, მეფე გიორგი, ამილახორი გივი (Hd-1914), ხერხეულიძე მოლარეთუხუცესი გიორგი (Hd-3032), მდივანბეგი იოანე (Ad-1548), მონა, ლთისა, ბებურიშვილი ემიკალასბაში აიდემურ (Hd-4353), მონა ლთისა, ამილახორი გივი (Hd-1252) და სხვ.

ბეჭდების ორივე ჯგუფში გამოირჩევა ის ლეგენდები, რომლებზეც ბეჭდის მფლობელი იხსენიება როგორც „ღვთის მონა“. მაგ. „მონა ლთისა ალექსანდრე“, „მონა ლთისა მეფე მამუკა“, „მონა ლთისა, ვაჩანძე დავით“ (Hd-2701), „მონა ლთისა მოურავისშვილი დავით“ (Hd-2177), „მონა ლთისა მდივანბეგი თეიმურაზ“ (Ad-437). აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ბეჭდებში ასეთი ფორმა თითქმის არ გვხვდება ორიოდ გამონაკლისის გარდა (მეფე ალექსანდრეს, იმამყულიხანის და ზოგიერთი ბატონიშვილის ბეჭედი — მაგ., „მონა ლთისა ბა-

¹¹ ე. ფ უ თ რ ი ძ ე, ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, №№ 38, 39, 40, 41, 44, 45, 51, 52, 54, 55, 56, 134, 136 და სხვ.

¹² იქვე, №№ 158, 149, 144. ხელნ. ინსტ. Sd-564, Hd-2447. ცსა, ფ. 1448, № 53.

¹³ ს. ბ ა რ ნ ა ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 73.

ტონიშვილი ალავერდი“). დასავლეთ საქართველოს სამეფო ბეჭდების ლეგენდებში კი ეს ფორმა უფრო ხშირია (გიორგი, ბაგრატ, მამუკა, სოლომონ).

3. მესამე ჯგუფს შეადგენენ ბეჭდები, რომელთაც ვრცელი ლეგენდები გააჩნიათ. „მე ფეხს განბანილთ ეკლესია ვაღიდე, ერეკლე“, „უფლისა მიერ მეფედ ცხებულა, თეიმურაზის დამტკიცებულა“, „დავითის ტომად, მკვიდრ ტახტზედ მქდომად, მყო საქართველოს ღმერთმან ცხებულად, მეფე თეიმურაზ“, „მეფე სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათა გიორგი“. „მეფემან ბრძენმან ესრეთ განაგო, ძე ერისთვისა მსაჯულად მაგო“—მდივანბეგ ბეჟან ერისთვის ბეჭედი (Ad-1154). ზოგჯერ ეს ლეგენდები ლექსად არიან გამოთქმულა, და ეს უმთავრესად ეხება XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ბეჭდებს. მაგ., დარეჯან დედოფლის დიდი ბეჭდის ლეგენდაზე იკითხება: „ვინ არს მაზეზი არსთა მკობისა, მან მცა წიალი დედოფლობისა, დარეჯან“, „ძირ მოდგმით დავითიანი, ალექსანდრე ვარ სვიანი“, „სიმდაბლით ჩემთვის გარდამოსრულსა, იესოს გონებ ღმერთ-კაცსა სრულსა, გიორგი“, „ლთისშობელმან წიალით მფარნა, ვახკეთილთა მეც შემიწყნარანა“ — ფარნაოზ ბატონიშვილის ბეჭედი. „ვისას მონებასა ვეტრფე დავეგი ეშოკალასბაშ მყო მდივანბეგი თეიმურაზ“ (Sd-427). „სალთხუცესად მყო მეფემან, მტერთა მძლე შალალ სეფემან, დავით“ (Ad-1217).

ამ ხასიათის ლეგენდები ხშირად შეიცავენ საინტერესო ცნობებს მოხსენებული პირების თანამდებობის, მათი მფლობელობისა და აგრეთვე, მათი პოლიტიკური დამოკიდებულების შესახებ უცხო ქვეყნების მმართველებთან. მაგ., „ყაენის ფეჟთა მტურერი, მეფე როსტომ ვამტკიცებ“, „ყაენის ბანდა ყულარალასი, მეფე ნაზარალიხან ვამტკიცებ“. „ბედნიერის ყაენის ბანდა, მეფე ნაზარალიხან ვამტკიცებ“, „მონა ღთისა, ყმა ზონთქრისა, მეფე გიორგი“, „მეფე სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათა გიორგი“, „ვისას მონებასა ვეტრფე დავეგი, ეშოკალასბაშ მყო მდივანბეგი, თეიმურაზ“.

გიორგი მეფის ბეჭდის ლეგენდა „მეფე სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათა, გიორგი“ ფაქტიურად წარმოადგენს მეფის წოდებულებას, რომელშიც ასახულია ოფიციალური თვალსაზრისი ქართველ მეფეთა ხელისუფლების შესახებ. მეფის ტიტულატურა წარმოადგენდა ქვეყნის პოლიტიკური ვითარების ანარეკლს და პოლიტიკურ სიტუაციასთან დაკავშირებით იგი ცვალებადი იყო¹⁴. გიორგი მეფის ამგვარი მოხსენება წარმოადგენს ამ ხანის მეფეთა ე.წ. მოკლე ტიტულატურას, რომლითაც არაერთხელ იხსენიება ერეკლე მეფე: „ჩვენ მეფემან ქართველთამან და მეფემან კახთამან და სხვათა მეფემან ირაკლი...“¹⁵.

თეიმურაზ ციციშვილის ბეჭდის ზემოთ მოყვანილი ლეგენდიდან „ვისას მონებასა ვეტრფე, დავეგი, ეშოკალასბაშ მყო მდივანბეგი, თეიმურაზ“—ჩანს, რომ თეიმურაზს ორი სახელო ჰქონია: მდივანბეგობა და შემდეგ მიუღია ეშოკალასბაშობა. საფიქრებელია, რომ ეშოკალასბაშის თანამდებობა მან მიიღო 1785 წ. ან მის ახლო ხანებში. ვინაიდან მოყვანილი ბეჭედი დოკუმენტებში 1785 წელზე ადრე არ ჩანს (Hd-7352). მდივანბეგად მას ვაცულებით ადრე

¹⁴ ივ. ჯავახიშვილი. ქართული სიგელთმოდნობა ანუ დიპლომატიკა. გვ. 121 — 132, თბ., 1926.

¹⁵ ხელნ. ინსტ. Hd-2160.

ვხვდებით, 1751-85 წწ. ცნობილია მისი მდივანბეგობის ბეჭედი მხედრული სამსტრატეგიისანი ლეგენდით: „მონა ღთისა, მდივანბეგი თეიმურაზ“. (Ad-437, Hd-14360).

უძველესი სამეფო ბეჭდებიდან საყურადღებოა ოთხკუთხა ფორმის ბეჭედი სამეფო გვირგვინის გამოსახულებით და მხედრული ორსტრატეგიისანი ლეგენდით: „მონა ღთისა ალექსანდრე“. ეს ბეჭედი ჩანს რამდენჯერმე სხვადასხვა თარიღიან დოკუმენტში. ერთი მათგანი წარმოადგენს ალექსანდრე მეფის წყალობის სიგელს (Qd-6995), რომელიც ჩვენ მიერ დათარიღებულია 1501 წლით, რაც ალექსანდრე I კახთა მეფის მოღვაწეობას შეეფერება¹⁶. იგივე ბეჭედი ჩანს 1479 წ. ალექსანდრე I-ის მეორე დოკუმენტში (Ad-6). მესამე საბუთი თავნაკლულ შეწირულების წაგნს წარმოადგენს, დათარიღებულია 1559 წლით. საბუთს ბოლოში აქვს ხელრთვა „ალექსანდრე ვამტკიცებ ნებითა ღთისათა“ და უზის ზემოთ აღნიშნული ბეჭედი (Ad-1572). ამ თარიღით ალექსანდრეს სახელით მეფე არ არის ცნობილი. ჯ. ოდიშელი სამართლიანად ფიქრობს, რომ აქ იგულისხმება კახეთის მეფე ალექსანდრე II, რომელიც თავის პაპის ალექსანდრე I-ის ბეჭედს ხმარობს და რომელიც მერე ამტკიცებს საბუთს¹⁷.

სხენებული ბეჭედი გვხვდება აგრეთვე 1419 წ. ალექსანდრე I დიდს მიერ გაცემულ ერთ-ერთ დოკუმენტში (Ad-1839). საბუთი გაცემულია მეფე ალექსანდრეს, მისი თანამეცხედრის თამარის და მათი შვილების დავითის, ვახტანგის, დიმიტრისა და გიორგის მიერ. თარიღი უდგება ალექსანდრე დიდის მოღვაწეობის ხანას; საბუთი წარმოადგენს ღედანს. მისი შემდგენელა სეფის მწიგნობარი დემეტრე მარკოზიშვილი, ცნობილი ალექსანდრე დიდის მეფობის პირველ ნახევარში; არის ალექსანდრე მეფის ხელრთვა, რომელიც პალეოგრაფიული თვალსაზრისით ადრინდელი საბუთების ხელს უფრო წააგავს. ვიდრე XV საუკუნის ბოლოს და XVI საუკუნისას. ვისი უნდა იყოს ამ საბუთში დასმული ბეჭედი? შეიძლება თუ არა იგი ალექსანდრე დიდს ეკუთვნოდეს. თუ ეს მერმინდელი დამტკიცება?

მიუხედავად იმისა, რომ ქართული სამეფო ბეჭდები XV საუკ. 70-იან წლებამდე არ გვხვდება, ჩვენ მაინც შეიძლება გვეფიქრა, რომ ეს ბეჭედი ალექსანდრე დიდისა იყო. მაგრამ ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ ალექსანდრე დიდის მიერ გაცემულ არც ერთ დოკუმენტს (და მათი რაოდენობა საკმაოდ მოიპოვება როგორც ღედნების, ასევე გამოცემების სახით) არაერთხელ მსგავსი, არამედ არაერთი ბეჭედი არ გააჩნია¹⁸. ამიტომ, საფიქრებელია, რომ ეს ბეჭედი ალექსანდრე დიდის მიერ გაცემული საბუთის გვიანდელ დამტკიცებას წარმოადგენს და შეიძლება ეკუთვნოდეს ალექსანდრე I ან ალექსანდრე II კახთა მეფეს.

ამრიგად, როგორც ჩანს, ერთსა და იმავე ბეჭედს იყენებდნენ სხვადასხვა ხანაში სხვადასხვა პირები. ს. ბარნაველი აღნიშნავს, რომ „საკათალიკოსო სა-

¹⁶ ა. ბ ა ქ ა ძ ე , XVI - XVIII სს. საქართველოს საკათალიკოსო და სათავადო მდივან-მწიგნობართა ქრონოლოგიური რიგი. პალეოგრაფიული ძიებანი. 1. გვ. 10. თბ., 1965.

¹⁷ ჯ. ო დ ი შ ე ლ ი , აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის XIV-XVII სს., XIV - XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1965. გვ. 161.

¹⁸ ხელნ. ინტ. Ad-1348, Hd-1368. 1369; თ. ე ო რ დ ა ნ ი ა . ქრონიკები, წ. II. გვ. 221, 223, 224, 226, 229, 230, 235, 239, 241 და სხვ.

ბექდავი გადადიოდა ერთი კათალიკოსის ხელიდან მეორეში XVII და XVIII საუკუნეებში. ამასთანავე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კათალიკოსებს ამ საბექდავეების გარდა, სხვა საკუთარი საბექდავეებიც ჰქონდათ¹⁹. საკათალიკოსო ბექედი, რომელზეც აქ ლაპარაკია, XVII საუკუნეზე ადრე გვხვდება. იგი ჩანს რამდენიმე XV—XVI ს. საბუთში²⁰. საკათალიკოსო ბექედის მსგავსი ზოგადი წინაარსის სამეფო ბექედი ჩვენ არ გავაჩნია. ყოველ მეფეს თავისი საკუთარი ბექედი აქვს. საყურადღებოა მხოლოდ ის ფაქტი, რომ ერთი და იმავე ბექედს ერთი და იგივე ლეგენდით (ზოგჯერ მცირედენი განსხვავებით) ხმარობს სხვადასხვა პირი. გარდა ზემოთ დასახელებული ალექსანდრე მეფის ბექედისა, აღსანიშნავია ნაზარალოხანის მეუღლის ანა დედოფლის ბექედი, რომელიც ნაზარალოხანის გარდაცვალების შემდეგ იხმარება, იმამყულოხანის მიერ გაცემულ დოკუმენტებში. ბექედს, ისეთივე ლეგენდით („დედოფალი ანა“), მხოლოდ ზომით ოდნავ პატარას, ხმარობს 1748—49 წწ. ერეკლე მეფის მეუღლე ანა დედოფალი. ერთი და იგივე შინაარსის ბექედს ხმარობენ ვახტანგ VI და ერეკლე მეფის ძე ვახტანგი. „ტროდ ვარ დავითის, მგელლომად ვით ის, ვახტანგ ვამტიციებ მეფის ძეობით“. განსხვავება ამ ბექედებს შორის არის ზომაში, ფორმაში და სტრიქონთა რაოდენობაში. ვახტანგ VI-ის ოთხკუთხა ბექედზე, ზომით 1,9×1,8, ლეგენდა განლაგებულია ხუთ სტრიქონად. რაც შეეხება ვახტანგ ერეკლეს ძის ბექედს, იგივე ლეგენდა მოთავსებულია ოთხ სტრიქონად. იგი რვაკუთხაა და ზომით ოდნავ პატარაა (1,8×1,6)²¹.

ერთსა და იმავე ბექედს ხმარობენ აგრეთვე სოლომონ I და სოლომონ II, რვაკუთხა ბექედი სამსტრიქონიანი ლეგენდით „მეფე იმერეთისა სოლომონ“ საბუთებში ჩანს 1761—97 წწ. ე. ო. 1761—84 წწ. იგი სოლომონ I-ის დოკუმენტებს უზის, ხოლო 1784 წლ-ს შემდეგ—სოლომონ II-ის საბუთებს.

ასევე სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა პირის მიერ იხმარება ოთხკუთხა პატარა ბექედი, მხედრული ლეგენდით „გივი“. იგი გვხვდება 1681—1721 წწ. (Hd-9674. Sl-664) და ეკუთვნის მდივან გივი თუმანიშვილს. იმავე ბექედს ხმარობს მისი შვილიშვილი, დავით მდივანის შვილი გივი, რომელიც პაპის სახელს ატარებდა 1745—50 წწ. (Hd-14189, Hd-9444) და ბოლოს, მდივან სულხან თუმანიშვილის შვილი გივი, 1795 წ. (ცხსა ფ. 1448, № 4206).

ენება რა ბექედების მნიშვნელობას, ს. ბარნაველი აღნიშნავს: „საბექდავების დიდ როლს მოწმობს ის გარემოება, რომ რამდენიმე საბექდავი ჰქონდათ მეფეებს (მაგ., ერეკლე მეორეს, ბატონიშვილებს), დიდი თანამდებობის პირებს და სხვა წარჩინებულებს სხვადასხვა საბუთებისათვის“²². ამის საილუსტრაციოდ მას მოაქვს ცნობა იესე ბარათაშვილის ბექედების შესახებ. იესე ოსეს ძე თვით მოგვითხრობს მისი ბექედების სხვადასხვა დანიშნულებაზე პრაქტიკულ

¹⁹ ს. ბარნაველი, საქართველოს საბექდავეები და სხვა გლიპტიკური მასალა, თბ., 1965, გვ. 125.

²⁰ ხელნ. ინსტ. Ad-91, 1588, Hd № 1352, 1353, 2526.

²¹ ვახტანგ VI-ის სხელებული ბექედი იხმარება გარკვეულ წლებში 1702 — 12 წწ. ე. ო. მისი საქართველოში ჩანიშნად ყოფნის დროს. 1712 წ. შემდეგ ეს ბექედი აღარ გვხვდება საბუთებში. მის ნაცვლად. როგორც წესი. ყველგან ხელრთვია. ამ ფაქტს მნიშვნელობა აქვს ვახტანგ VI-ის უთაროდ დოკუმენტების დასათარღებლად.

²² ს. ბარნაველი, საქართველოს საბექდავეები და სხვა გლიპტიკური მასალა, თბ., 1965, გვ. 79.

საქმიანობაში: „ამ ემს ჩემს ბექედზედ ეწერა: «ჟამი ესეცა წარვლის». ეს ბექედი დიად მოსწონდათ. მეორე ბექედზედ ეწერა: «მსაჯულმა სწორი ესე ყო ოსეს ძეს». ამას ჩემგამ მოწონებულს განაჩინებუდ დავსვემლა. მდივანობის ბექედზედ ასე ეწერა «სოფლის შემსქვალულს სოფელმაც მდივა, ნიჭი ესე მცა. განმველტო მძლივა»²³. იესე ოსეს ძის ბექედებზე ცნობა დატული აქვს ავრეჟვე პლატონ იოსელიანს; „იესე ოსეს შვილი, გვართ ბარათაშვილი (მსაჯულობით ცნობილი), მისა ბექედზედ ესრეთ ეწერა: „ჟამი ესეცა წარვლის“, აქნდა მას სხვაცა ბექედი წარწერთა: „პირი ესეცა მტკიცე არს“. მტერთა დააბეზლეს მეფესთან, რომელ იესე მსაჯულს ორი ბექედი აქვს და ასვამს ზოგსა ქალაღზედ ერთსა და ზოგზედ მეორესაო. მეფემან მიიხმო და მოსთხოვა პასუხი: „დიად ბატონო მეფე, თქვენს განჩინებაზედ, ვითარცა მტკიცეზედ და სამართლიერზედ ვსდებ სიმტკიცის ბექედსა და სხვათა წერილთა ადვილ დასარღვეველთა მეორესა. ორთავე ბექედთა ზედა წარწერიდამ სჩანს ლექსი სახელი მისისა „იესე“²⁴.

დოკუმენტებიდან ჩანს, რომ თითოეულ პირს რამდენიმე ბექედი გააჩნია. მაგ., ცნობილია ერეკლე მეფის ექვსი ბექედი, დარეჯან დედოფლის—ორი ბექედი, თეიმურაზ II-ის—შვიდი, გიორგი ერეკლეს ძის—რვა, ნაზარალიხანის—ხუთი, იესე ბარათაშვილის — სამი, თეიმურაზ ციციშვილის — ოთხი²⁵.

ბექედების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ერთი და იმავე პირის სხვადასხვა ბექედი იხმარებოდა არა მარტო სხვადასხვა დანიშნულების, ხასიათის საბუთებზე, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ამ პირთა მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდში. ხშირად ეს ფაქტი თვით ლეგენდის შინაარსიდანვე ჩანს. მაგ., „ბატონიშვილი ერეკლე“, „ბატონიშვილი გიორგი“, „მონა ღთისა ბატონიშვილი თეიმურაზ“, ეს ბექედები იხმარებოდა მხოლოდ მათი ბატონიშვილობის პერიოდში. ადრეული ხანის ბექედების სხვადასხვა ხასიათის საბუთებზე ხმარების საკითხის გარკვევა ძნელდება, ვინაიდან ამ დროს ბექედების რაოდენობა XVIII საუკუნესთან შედარებით მცირეა. საბუთებს ზუსტი თარიღი ყოველთვის არა აქვთ (მაგ., ნაზარალიხანის ბექედი ლეგენდით „ყაენის ფებთა მტურერი, მეფე ნაზარალიხან ვამტკიცებ“ გვხვდება სამჯერ და სამჯერვე უთარილო და ისიც სხვადასხვა შინაარსის საბუთში). ხშირად ბექედს სცვლის ხელრთვა, რომელიც მის პარალელურად იხმარება. ზოგჯერ მხოლოდ ხელრთვა (მაგ., შაჰნავაზის ძის გიორგი მეფის ბექედი არ გაგვაჩნია, მისი მხოლოდ ხელრთვა და ბატონიშვილობის ხანის ბექედია ცნობილი). როსტომ მეფის საბუთებზე ერთი და იგივე წლებში ორი ბექედი ჩანს ერთნაირი შინაარსის დოკუმენტებში.

სამეფო ბექედებიდან ყველაზე დიდი რაოდენობით გვხვდება თეიმურაზ II-ის, ერეკლესა და გიორგი XII-ის ბექედები.

თეიმურაზ II-ის შვიდი ბექედია დღემდე ცნობილი. აქედან ერთი მისი ბატონიშვილობის პერიოდში იხმარებოდა, რაც თვით ლეგენდის შინაარსიდან ჩანს „მონა ღთისა ბატონიშვილი თეიმურაზ“. ეს ბექედი გვხვდება 1691—1710 წწ. იმამყულიხანის მიერ გაცემულ დოკუმენტებში. 1711—20 წწ. ჩანს თეიმუ-

²³ იესე ოსეს ძე ბარათაშვილის ცხოვრება—ანდრძი, თბ., 1950, გვ. 114, 115.

²⁴ ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, პ. იოსელიანის გამოც., თბ., 1936, გვ. 255.

²⁵ მათი ლეგენდებია: „მონა ღთისა მდივანბეგი თეიმურაზ“ (Ad-437); მხედრულად „თეიმურაზ“ (Hd-885), მთავრულად „თეიმურაზ“ (Ad-1897). „ვისას მონებასა ეტრფე დაეეგი ეში--კალასამ მყო მდივანბეგი თეიმურაზ“ (Sd-427).

რანის მეორე, ოთხკუთხა ბეჭედი მხედრული ლეგენდით: „მე, მონა ღთსა, ძე დავითისა, ტახტს გამგედ მჯდომი ვარ კახეთისა, თეიმურაზ“. ეს ბეჭედიც გვხვდება იმამყულიხანის მიერ გაცემულ სივლეებში, როგორც საბუთის ერთ-ერთი გამკემისა. როგორც ცნობილია, თეიმურაზი დღემდე მრღებული ნეფეთა ქრონოლოგიით კახეთის გამგედ იწოდება 1709—15 წწ. თეიმურაზის ამ ბეჭდის ხმარების საფუძველზე, მისი კახეთში გამგედ ყოფნის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი 1720 წლით უნდა შეიცვალოს. საერთოდ კი საფიქრებელია, რომ ეს ბეჭედი იხმარებოდა 1722 წლამდე, იმამყულიხანის გარდაცვალებამდე და კახეთში კონსტანტინეს გამეფებამდე. ამის მაჩვენებელია ის ფაქტიც, რომ 1722 წლის შემდეგ კახურ სამეფო საბუთებში თეიმურაზის ეს ბეჭედი საერთოდ აღარ ჩანს და მის მაგიერ სხვა ლეგენდიანი ბეჭდები ჩნდება: 1722—39 წწ. (Hd-3023, 2190) ხმარებაშია ორი ბეჭედი, ოთხკუთხა მხედრული სვეტული ლეგენდით „თეიმურაზ“, რომელიც 1722—28 წწ. (Hd-3033, 14030) ჩანს კონსტანტინეს მიერ გაცემულ დოკუმენტებში, ხოლო მისი გარდაცვალებას შეჰდევ. 1733 წლიდან თეიმურაზის მიერ გაცემულ საბუთებში. სადაც ეს ბეჭედი გვხვდება, როგორც ოფიციალური სამეფო ბეჭედი. თუმცა აღსანიშნავია, რომ მისი ამ მნიშვნელობით ხმარება 1737 წლამდე არ არის დადასტურებული²⁶. 1740-44 წწ. იხმარება ოთხკუთხა დიდი ბეჭედი მხედრული ლეგენდით²⁷.

მეხუთე ბეჭდის ლეგენდა შემდეგნაირად იკითხება: „მე ქრისტეს მონა, ქუეყნად შაჰანშასი, მეფედ ცხებული საქართველოსი, 1744, თეიმურაზ“. ეს ბეჭედი, როგორც მისი წარწერიდან ჩანს, გაცემულია 1744 წ. იმ დროს, როდესაც ნადირშაჰმა თეიმურაზი ქართლის მეფედ დანიშნა. იგი ქართლის ოფიციალურ სამეფო ბეჭედს წარმოადგენდა. მისი ხმარების ხანა მეტად შემოფარგლულია, მას ჩვენ ორიოდე წელს ვხვდებით. სახელდობრ, 1746 წლამდე. როგორც ლეგენდის შინაარსიდან ჩანს, თეიმურაზი თავის თავს უწოდებს „ქრისტეს მონად“ საერთოდ. ხოლო ქვეყნად კი—შაჰანშას მონად (მე ქრისტეს მონა, ქვეყნად შაჰანშასი). ეს მდგომარეობა 1747 წლამდე გრძელდება. როგორც ცნობილია, 1747 წ. ირანის სახელმწიფოში მომხდარი აჯანყების დროს ნადირშაჰი მოკლეს, რის შედეგადაც თეიმურაზი თავისუფლდება ე. წ. „შაჰანშას მონობისაგან“ და ეს ბეჭედი გამოდის სპარებიდან.

თეიმურაზ II-ის ქართლში მეფობის ხანაში ცნობილია ორი ბეჭედი. რომლებიც ერთდროულად იხმარებიან. ფორმით ორივე ოთხკუთხა, ზომით სხვადასხვა. დიდ ზომის ბეჭედი, რომლის ლეგენდაა: „ქ. დავითის ტომად, მკვიდრ ტახტზედ მჯდომად, მყო საქართველოს დემერთმან ცხებულად, მეფე თეიმურაზ“. გვხვდება 1746—54 წწ.²⁸ მეორე ბეჭდის ლეგენდა სამსტოქოწონანია და შემდეგნაირად იკითხება: „უფლისა მიერ მეფედ ცხებული, თეიმურაზის დამტკიცებულა“. იგი ჩანს 1749—60 წწ. საბუთებში რამდენჯერმე გვხვდება ამ ბეჭდის სახესხვაობა იგივე ფორმის და შინაარსისა, მხოლოდ ოთხ სტრიქონად. ეს ბეჭედი მხოლოდ 1749 წ. დოკუმენტებში ჩანს.

თეიმურაზის აღნიშნული ორი ბეჭედი სხვადასხვა შინაარსის საბუთები-სათვის იხმარებოდა. დიდი ბეჭედი ვრცელი ლეგენდით ჩანს თეიმურაზის მი-

²⁶ ხელნ. ინტ. Hd-2190, 2233. Qd-23. 2795.

²⁷ საბუთებში ის რამდენჯერმე გვხვდება. მაგრამ ლეგენდა მხოლოდ ნაწილობრივ იკითხება (ხელნ. ინტ. Ad-329. 492, 603. 1778; Hd-2178. 2569; Qd-8017).

²⁸ ბეჭედი უნდა იხმარებოდეს მისი მეფობის დასასრულამდე.

ერ გაცემულ წყალობის, შეწირულებას წიგნებზე, ე. ი. უფრო მნიშვნელოვან-
ხასიათის სიგლებში. რაც შეეხება მეორე ბეჭედს, იგი უშთავრესად უზის წე-
რილებს, ოქმებსა და ბრძანებებს.

ერეკლეს ბეჭედებიდან ორი მისი ბატონიშვილობის პერიოდში იხმარება.
ერთი მათგანი, ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერით: „ბატონიშვილ-
ერეკლე“. ჩანს 1729—37 წწ. ხოლო მეორე, ოთხკუთხა, მხედრული ლეგენდით:
„სული შენი მომბერე კლებულს, იესო, ერეკლე“ 1739 — 44 წწ., დანარჩენი ბეჭ-
ედებიდან ორი რვაკუთხა ფორმის ბეჭედი ერთდროულად იხმარება ერეკლეს მე-
ფობის წლებში. 1. 1744—97 წწ. გვხვდება ბეჭედი მხედრული წარწერით:
„ქნარს მიცემს, დაეთ მიკმობს ძედ, კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე“. 2.
1750—97 წწ. ჩანს ბეჭედი მხედრული და ასომთავრული ლეგენდით: „მე ფეხთ
განბანილთ ეკლესია ვადიდე, ერეკლე“. დოკუმენტების შესწავლიდან ირკვევა,
რომ მეორე ბეჭედი ძირითადად იხმარება ერეკლეს მიერ გაცემულ წყალობის,
შეწირულების, სითარხნისა და დავის გადაწყვეტილების წიგნებზე. ხშირად ამ
ბეჭდით ერეკლე ამტკიცებს ამავე ხასიათის ადრე გაცემულს სიგლებს²⁹. მეორე
ბეჭედი უმეტეს წილად გვხვდება ერეკლეს მიერ გაცემულ ბრძანებებსა და ოქ-
მებზე. არის შემთხვევები, როდესაც არზებს უზით ერეკლეს ორივე ბეჭედი. ამ
მხრივ არზები ორ არათანაბარ ჯგუფად შეიძლება გაიყოს. არზების დიდ ნაწილს
აქვს ერეკლეს ოქმები, ერეკლეს № 1 ბეჭდით. ამ ოქმით მეფე საკითხის გარ-
კვევას ავალებს მდივანბეგებს ან სხვა რომელიმე მოხელეს. მეორე ბეჭედი
უზით იმ არზებს, სადაც საკითხი უკვე გადაწყვეტილია მდივანბეგების მიერ და
ერეკლეს მიერ ეს განაჩენი დამტკიცებულია. (ამ შემთხვევაში ვხვდებით მდი-
ვანბეგების ბეჭედსაც). ამის კარგი მაგალითია 1765 წ. და 1766 წ. არზები, რო-
მელთა რ-ზე მოთავსებულია ერეკლეს ოქმი მისი № 1 ბეჭდით, ხოლო საბუთის
v-ზე—მდივანბეგების გადაწყვეტილება ბეჭდებით და ერეკლეს მიერ ამ განაჩენ-
ის დამტკიცება მისი № 2 ბეჭდით³⁰. მეხუთე ბეჭედი ხვეული ლეგენდით „ერეკ-
ლე“, რომელიც ერეკლეს ხელრთვას წარმოადგენს, გვხვდება წილის ბარათებზე
და აგრეთვე ოქმებზე, ისევე, როგორც პირველი ბეჭედი. საბუთებში ეს ბე-
ჭედი 1738—96 წწ. ჩანს ე. ი. ერეკლეს ბატონიშვილობისა და მისი მეფობის
ხანაშიც.

მეექვსე ბეჭედი ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში მხოლოდ ერთნელ
ჩანს³¹. ეს არის ერეკლეს ხუთენოვანი ბეჭედი, რომელზეც ერეკლეს სახელი
შესრულებულია ქართულ, სომხურ, ბერძნულ, ლათინურ და სპარსულ ენაზე.
საბუთი წარმოადგენს ერეკლეს მიერ სინის მონასტრისათვის მიცემულ შეწი-
რულების წიგნს და ამ ბეჭდის მრავალენოვანი წარწერა შეიძლება აიხსნებო-
დეს ამ საბუთის საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ გასვლით,
მისი საერთაშორისო ხასიათით³².

²⁹ ხელნ. ინსტ. Hd-143, 224, 232; Hd-150, 156, 866, 881, 889, 890, 1545, 2180, 2189, 2224, 2225, 5294, 11640, 11649, 11646 და სხვ.

³⁰ ხელნ. ინსტ. Hd-2726, 2786 ერეკლეს პირველ ბეჭედს ეხვდებით შემდეგ არზებზე: Hd-518, 521, 522, 523, 532, 536, 637, 646, 655, 779, 782 და სხვ.

³¹ ხელნაწერთა ინსტ. Hd-13168.

³² ცენტრარქივის ფონდებში ეს ბეჭედი ერეკლეს სხვა ბეჭედებთან ერთად უზის 1781 წლის თელა ბატონიშვილისადმი გავზავნილ წერილს. ნ. თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართულ-
ლი სფრაგისტიკის ისტორიიდან, სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი, 1966, № 13-14, გვ. 12-17.

ამ ბეჭდების ხმარების საკითხში არის გამონაკლისებიც, მაგრამ მათი რაოდენობა მცირეა³³.

გიორგი ერეკლეს ძის ბეჭდებიდან ხუთი მისი ბატონიშვილობის პერიოდში გვხვდება. 1763—66 წწ. ჩანს ოთხკუთხა ბეჭედი ორსტრიქონიანი მხედრული წარწერით „გიორგი ბატონიშვილი“. 1767—87 წწ. ოთხკუთხა ბეჭედი, ასევე ორსტრიქონიანი მხედრულით „მეფის ძე გიორგი“, რომელიც ძირითადად ჩანს ბრძანებებზე, ოქმებზე ან ერეკლესთან ერთად მის მიერ გაცემულ წყალობის სიგლებში, როგორც საბუთის ერთ-ერთი გამცემისა. მესამე ბეჭედი ოთხკუთხა მხედრული წარწერით „გიორგი“ — იხმარება იმავე მნიშვნელობით, როგორც წინა ბეჭედი 1785—99 წწ. ოთხკუთხა ბეჭედი ოთხსტრიქონიანი მხედრული ლეგენდით: „სიმდაბლით ჩემთვის გარდამოსრულსა იესოს გმონებ ღმერთკაცსა სრულსა, გიორგი“, ჩანს 1772—90 წწ., როგორც დამამტკიცებლის წყალობის და შეწირულების სიგლებისა, ან ერეკლესთან ერთად ამავე ხასიათის საბუთებში. მხოლოდ 1782 წ. ჩანს გიორგის მიერ გაცემულ საწირავის გაჩენის რამდენიმე წიგნში ბეჭედი ლეგენდათ: „პისტით ელჰადით აღაპითავე იისურემო მომიმუშაკე, გიორგი“.

გიორგი XII-ის მეფობაში სულ ორი ბეჭედი აცნობილი — ორივე რვაკუთხა. პირველი — ორსტრიქონიანი მხედრულით: „მეფე გიორგი“ 1799—1800 წწ., ხოლო მეორე — ოთხსტრიქონიანი მხედრულით: „მეფე სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათა, გიორგი“ 1798—1800 წწ. ამ ბეჭდების სხვადასხვა შინაარსის საბუთებზე ხმარების დადგენა უფრო ძნელია. პირველი ბეჭედი უფრო ხშირად ოქმებსა და ბრძანებებზე ჩანს, ხოლო მეორე — წყალობის და შეწირულების წიგნებზე. თუმცა გამონაკლისები აქ ერეკლეს ბეჭდებთან შედარებით გაცილებით მეტია.

1786—1800 წწ. დოკუმენტებში გვხვდება გიორგის კიდევ ერთი ბეჭედი, ოთხკუთხა ფორმის, ასომთავრული ლეგენდით: „გიორგი“. იგი იხმარება როგორც ბატონიშვილობის, ასევე მისი მეფობის პერიოდში და უზის ძირითად ოქმებსა და წილის ბარათებს.

სხვადასხვა პერიოდში იხმარება თეიმურაზის მეუღლის, ვახტანგ მეფის ასულის, თამარის ბეჭდები, რომელთაგან სამია ცნობილი. მისი ბეჭედი ლეგენდით: „მონა ღთისა, ასული მეფისა, ბატონიშვილი თამარ“, ჩანს მხოლოდ ერთხელ 1715 წ. თეიმურაზის მიერ გაცემულ საბუთში (Qd-7874). აქ თეიმურაზი კახეთის გამგებლად იხსენიება და საბუთს მისი ამ ხანის ბეჭედი უზის. მისი მეუღლის, თამარის ხსენებული ბეჭედი, როგორც ჩანს, იხმარებოდა თეიმურაზთან ერთად, თეიმურაზის კახეთში გამგედ ყოფნის დროს. უფრო გვიან ცნობილია თამარის ორი სხვა ბეჭედი. ერთი 1736 წ., სადაც იგი კვლავ ბატონიშვილობით იხსენიება, და მეორე 1737—43 წწ., რომლის ლეგენდაში იგი დედოფლად იწოდება.

სხვადასხვა ხასიათის საბუთებზე იხმარებოდა დარეჯან დედოფლის ბეჭედი. დიდი ბეჭედი ლეგენდით: „ვინ არს მიზეზი არსთა მკობისა, მან მცა წიალი დედოფლობისა, დარეჯან“ — გვხვდება თავის სახელით ან ერეკლეს მიერ გაცე-

³³ ცენტრარქივის ფონდებში დაცულია ერეკლეს მეშვიდე ბეჭედი, რომელიც ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში არ ჩანს (ნ. თარხნიშვილი, დასახ. ნაშრომი).

მულ წყალობის წიგნებზე³⁴, ხოლო პატარა ბეჭედი ლეგენდით: „დელოფალი დარეჯან“ ძირითადად ოქმებსა და ბრძანებებზე³⁵.

ის ფაქტი, რომ ერთი და იგივე პირის სხვადასხვა ბეჭედი სხვადასხვა შემთხვევისათვის იხმარებოდა, აღმოსავლეთისა და ახლო აღმოსავლეთის სფრაგისტიკიდანაც დასტურდება³⁶.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ერთი და იმავე პირის სხვადასხვა ბეჭედი იხმარებოდა ამ პირთა მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდში. ერთი და იმავე პირის სხვადასხვა ბეჭედი, რომელიც ერთდროულად ჩანს დოკუმენტებში, იხმარებოდა სხვადასხვა ხასიათის საბუთებისათვის. ამ ბეჭედების ლეგენდები ხშირად ასახავენ იმ რეალურ პოლიტიკურ ვითარებას, რომელშიც იმყოფებოდა იმ ხანაში ქვეყნის ესა თუ ის მხარე. ამ მხრივ საყურადღებოა დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი სამეფო ბეჭედი ლეგენდით: „მონა ღთისა, ყმა ხონთქრისა, მეფე გორგა“ და „მონა ღთისა, ყმა ხონთქრისა, მეფე სოლომონ“. მეორე ბეჭედი საბუთებში ჩანს სოლომონ I-ის მეფობის პირველ წლებში — 1753-58 წწ. ე. ი. ხრესილის ომამდე, როდესაც სოლომონმა სასტიკად დაამარცხა ოსმალები. ბიზანტიური სფრაგისტიკის სპეკიალისტი შლუმბერჟე აღნიშნავს: „საერთოდ, რაც უფრო ადრეული ხანის არის ბეჭედი, მით უფრო მისი ლეგენდა მოკლეა. საერთოდ, რაც უფრო მნიშვნელოვანია ოფიციალური ხასიათის ბეჭედი, მით უფრო მისი ლეგენდა ვრცელია და იგი აღნიშნავს ბეჭდის მფლობელის ტიტულებსა და ღირსებებს. მაგრამ, როგორც ყოველთვის. არსებობს გამონაკლისები³⁷.

დაახლოებით ასეთივე სურათია ქართულ სინამდვილეში. რაც უფრო ადრინდელია ბეჭედი, მით უფრო მოკლეა მისი ლეგენდა. მაგ., XV—XII სს. სამეფო ბეჭედები ზაგრაძე და ალექსანდრე მეფეებისა და გიორგი ბატონიშვილის. აგრეთვე XVII საუკუნის მეორე ნახევრის ბატონიშვილების ბეჭედები. XVII საუკუნეში ვხვდებით მოკლე ლეგენდებთან ერთად როსტომის, შაჰნავაზისა და ნაზარალიხანის უფრო ვრცელ ლეგენდებს.

რაც უფრო მნიშვნელოვანია ბეჭედი, მით უფრო ვრცელია მისი ლეგენდა. მაგ., თეიმურაზ II-ის ბეჭედი წარწერათ: „დავითის ტომად, მკვიდრ ტახტზედ მჯდომად, მყო საჩართველოს ღმერთმან ცხებულად მეფე თეიმურაზ“ — იხმარება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წყალობის, შეწირულებისა და დავის გადაწყვეტილების წიგნებში³⁸; იმ დროს, როდესაც მისი მეორე ბეჭედი: „უფლისა მიერ მეფედ ცხებული, თეიმურაზის დამტკიცებული“ ჩანს ბრძანებებსა,

³⁴ ხელნ. ინსტ. Ad-292. 1573, Hd-150, 156, 1545. 1592, 1721, 1732, 2189, 2224, 2225, 2383. 4354, 7875, 8667. 9417; Sd-181, Qd-2533. 8922.

³⁵ ხელნ. ინსტ. Hd-70, 90, 100, 102, 103, 104, 105. 180, 205, 237, 252, 267, 408, 409, 434. 443, 657, 5286, 5320, 6048, 6455, 6486. 6640, 7852, 7960, 7961, 7963, 7968, 8052 და სხვ.

³⁶ ს. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, საქართველოს საბეჭდავები და სხვა გლიპტიკური მასალა, თბ., 1965, გვ. 80-81.

³⁷ G. Schlumberger, Sigillographie de l'Empire Byzantin, Paris, 1884, გვ. 31. «En général plus un sceau est d'époque ancienne, plus la légende est brève. En général plus un sceau officiel est important, plus la légende est longue. plus elle énumere de titres et de dignités. Mais, comme toujours, il'y a un tas d'exceptions».

³⁸ ხელნ. ინსტ. Ad-633. Hd-1053, 1998, 2212, 2226, 6728, 13653, 14099. Qd-827 და სხვ.

ოქმებსა და წილის ბარათებზე³⁹. როგორც წესი, წილის ბარათებს უზით ერეკლე მეფის პატარა ბეჭედი ლეგენდით: „ერეკლე“ და ბატონიშვილებს: იულონის, ვახტანგისა და ფარნაოზის, ალექსანდრეს და სხვ. მხოლოდ სახელის აღმნიშვნელი ბეჭდები⁴⁰.

გიორგი მეფის ბეჭედი მხედრული ლეგენდით: „მეფე გიორგი“ უზის ოქმებსა და ბრძანებებს. ხოლო მისი მეორე ბეჭედი ოთხსტრიქონიანი მხედრული წარწერით: „მეფე სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათა, გიორგი“—წყალობის წიგნებსა და განაჩენებს⁴¹.

არის შემთხვევები, როდესაც ერთ საბუთზე ერთი და იმავე მეფის სხვადასხვა ბეჭედი გვხვდება. მაგ., 1769 წ. ერეკლეს მიერ დავით გარეჯის წინამძღვრისათვის მიცემული ჯამაგირის განწესების წიგნს უზის მისი ორი სხვადასხვა ბეჭედი: პატარა, ლეგენდით „ერეკლე“ და მეორე—დიდი. ორივე ბეჭედი უზის ერეკლეს 1773, 1774 და 1792 წწ. დოკუმენტებს. 1795 წ. ნინოწმინდელი-საათვის მიცემულ სამკაულების მიზარების წიგნს უზის ერეკლეს ორი დიდი ბეჭედი. 1790 წ. ფარნაოზ ბატონიშვილის მიერ გაცემულ წყალობას წიგნს უზის მისი ორი სხვადასხვა ბეჭედი. პატარა, მხედრულით: „ფარნაოზ“ და დიდი, ოთხსტრიქონიანი ლეგენდით: „ღვთისმშობელმან წიაღით მფარნა, ვაზკეთილთა რტოდ მეც შემოწყნარნა“.

1711 წლის იმამყულიხანის წმ. გიორგის მონასტრისათვის ბისონის პატრიკის მიმატებას წიგნს უზის მისი სამი სხვადასხვა ბეჭედი: ამათგან ორს ერთი და იგივე თარიღი აქვს და სხვ.⁴²

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ბეჭედი ერთ საბუთს უზის ზოგჯერ ერთი და იმავე. ზოგჯერ კი სხვადასხვა თარიღით.

აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ბეჭდები

ა ლ ა ვ ე რ დ ი. ბატონიშვილი აბდულაბეგ. ოთხკუთხა, $1,5 \times 1,2$; მხედრული ლეგენდით: „ალავერდი ქს უია“. 1735—1736 წწ. (Hd-9650, Hd-7856). ტაბ. I, XV, სურ. 1,1.

ა ლ ა ვ ე რ დ ი. ბატონიშვილი აბდულაბეგ. ოთხკუთხა $1,6 \times 1,4$; სამსტრიქონიანი მხედრული ლეგენდით: „მონა ღთისა ბატონიშვილი ალავერდი“. 1724 წ. (Hd-1344). ტაბ. I, XV, სურ. 33.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე. მეფე კახეთისა. ოთხკუთხა $2 \times 1,7$. ზედა ნაწილში გვირგვინის გამოსახულებით, ქვემო ნაწილში ორსტრიქონიანი მხედრული ლე-

³⁹ ხელნ. ინსტ. Ad-206, 424, Hd-630, 636, 1016-1029, 1151—1158, 1923, 4922, 5159, 6013, 8572, 8605, 9344, 9351; Qd-368, 608, 754; Sd-208, 213, 218, 224, 1714, 1906 და სხვ.

⁴⁰ ხელნ. ინსტ. Hd-4801—4803, 7289, 11622, 11623, 11768, 11772, 13243, 14454; Sd-360—364, 385, 386. Hd-126, 127, 128, 129, 218, 268, 269, 271, 272, 273, 275, 318, 4415, 12208, 12546, 12641, 13322 და სხვ.

ბატონიშვილების აღნიშნული ბეჭედი გვხვდება აგრეთვე კერძო წერილებსა და ოქმებში.

⁴¹ ხელნ. ინსტ. Ad-190, 254, 263, 390, 396, 397, 571, 588, 710; Hd-156, 1345, 1594, 4361, 4432, 4776, 6124, 6544, 6666, 7193, 7197, 7302, 7546, 9678, 9679; Sd-319, 365, 366, 367, 368, 369, 394, 395, 416, 784, 1784 და სხვ.

⁴² ხელნ. ინსტ. Ad-328, 369; Hd-9747, 6290, 2725, 13792; Sd-373.

საქვე
ქს სოა

1

ძირუ ღვთ
ღავითიანი
აღუქსანდრე
ურს სვიანი

2

ქა ღაბა
ცნიმული
აღაქქრლი

3

1750
ქა ღოა
სადანც

4

ქლთისა
წესანს

5

ღავიფს ზგ
ოსამუ მძეს
წესანს მუქსძეს

6

7

7

8

8

ღღოს
ფალი
ანდა

9

ღღოს
ანდა

10

ქროს მსუს მძვერ
სადანც
ქს სოა
ქს სოა
ქს სოა
ქს სოა

11

ქს სოა
ქს სოა
ქს სოა
ქს სოა
ქს სოა
ქს სოა

12

1

დადასა
ანახანაჲ

2

მეფის ძე
ანტონი

3

4

ბგრ

5

5

6

იესოს ემონებ
ყოვლისმძყარ
ღობაჲ დაღობი
საგანმამლოთობ
ელსანაგრაჲ

7

8

1798

9

ქსტსსე
ბანაქანი
ღვთიანს

10

ბედას
ძე ვარძიყსაქი
თლისგანმე
ლარსაქინაჲ

ილი
სა
სა
სა

12

13

11

მიხიბ

14

ვრეიბა
ფანსმე

15

მეფის ძე
კიორე

16

17

ჲჲჲჲჲჲ

სსსსსს

1800

1

ს ს ს ს
ს ს ს ს
ს ს ს ს
ს ს ს ს

2

ს ს ს ს
ს ს ს ს

3

ს ს ს ს ს ს
ს ს ს ს ს ს
ს ს ს ს ს ს
ს ს ს ს ს ს

4

ს ს ს ს

5

ს ს ს ს

6

ს ს ს ს ს ს
ს ს ს ს ს ს
ს ს ს ს ს ს
ს ს ს ს ს ს

7

ს ს ს ს
ს ს ს ს
ს ს ს ს
ს ს ს ს

8

ს ს ს ს ს ს
ს ს ს ს ს ს
ს ს ს ს ს ს
ს ს ს ს ს ს

9

ს ს ს ს
ს ს ს ს
ს ს ს ს

10

ს ს ს ს ს ს
ს ს ს ს ს ს
ს ს ს ს ს ს
ს ს ს ს ს ს
ს ს ს ს ს ს

11

ს ს ს ს
ს ს ს ს
ს ს ს ს
ს ს ს ს

12

ს ს ს ს
ს ს ს ს
ს ს ს ს

13

სამაგისტრო
კურსის
ინსტრუქტორი

1

გეგმა

2

ქოლერის
დაზარალებულთა
დასახელებული
ცენტრის
დირექტორის

3

პ. ყი.
მანუჩის
დასახელებული
ცენტრი

4

დასახელებული
მრეწველობის
ხეობის
მუშაკთა
დასახელებული
ცენტრი

5

ბა
სამაგისტრო
კურსის
ინსტრუქტორი

6

მედიკოს
დასახელებული
ცენტრი

7

დასახელებული
ცენტრის
ინსტრუქტორი

8

დასახელებული
ცენტრის
ინსტრუქტორი

9

სამაგისტრო
კურსის
ინსტრუქტორი
დასახელებული
ცენტრი

10

სამაგისტრო
კურსის
ინსტრუქტორი

11

სამაგისტრო
კურსის
ინსტრუქტორი
დასახელებული
ცენტრი

12



1

ყისძიერძე
ფრცხეზალოთუ
იბურაზისლა
მცვერბუკო

2

ყე მამუდს
ხბლითუმრზ
ის დმცვეზლო

3

მეჩქეძნა ჩქეძნა

1744

თეძნა

მეჩქეძნა ჩქეძნა

მეჩქეძნა ჩქეძნა

4

ქეძნის ტეძნა

ქეძნის ტეძნა

ქეძნის ტეძნა

ქეძნის ტეძნა

5




6

მსაჯლსა
ქეძნისა
ბეჭელსა
მცვერბისა

7

ქეძნისა
თეძნისა

8



9



10

ქღფს მშობ ლ
ღსსსსწნიიყწ
წღვითანი

1

ქწწწწ
წწწწ

2

ლუვ
წიწ

3

ქწ

4

ქწწწწწწ
ქწწწწწწ
სსწწწწწ

6

ლუა
წსწ

7

სწწწ

5

ქღწწწ
სწწწწწ

8

მეფისა
წწწწწ

9

ქსწწწწწწწწ
ქწწწწწწ
წწწწწწწ

10

მეფისა
წწწწწ

11

ღვთის ცმ
თასქესისა
ქწწწწწწწ
მეფსმიწწ

12

ღწწწ
წწწწ

13

წწწწწ
წწწწ
წწწწ

14

მეფეობა
მისა ნნი

1

ქაქიზინადა
ყულისადა
მეფეობადა
ნ უმცირესი

2

ქაქიზინადა
ყულისადა
მეფეობადა
ნ უმცირესი

3

ქაქიზინადა
ყულისადა
მეფეობადა
ნ უმცირესი

4

ქაქიზინადა
ყულისადა
მეფეობადა
ნ უმცირესი

5

ქაქიზინადა
ყულისადა
მეფეობადა
ნ უმცირესი

6

ქაქიზინადა
ყულისადა
მეფეობადა
ნ უმცირესი

7

ქაქიზინადა
ყულისადა
მეფეობადა
ნ უმცირესი

8

ქაქიზინადა
ყულისადა
მეფეობადა
ნ უმცირესი

9

მეფეობა
საბადა
მეფეობა

10

მეფეობა
საბადა
მეფეობა


11

მეფეობა
საბადა
მეფეობა

12

მეფეობა
საბადა
მეფეობა

13

ღმრთის ტომად
 აქრისაჲს
 მცაყანოცაჲ


1

მეფეა
 მეფეა

4

ჟღერით
 ჰქმნენ
 ეზრათ
 1720

6

აქრისაჲს
 მცაყანოცაჲ
 ღმრთისაჲს


9



2

ბაგნი
 [მვილის
 [უჩინაშე]

3

ღმრთისაჲს

 ღმრთისაჲს

5

=

ზღნ
 ლხინი
 სე

7

მეფისა
 ჰქმნენ

8

მეფისა
 ჰქმნენ

10

მეფისა
 ჰქმნენ

11

გონა მთისა
მეფე ბაგრატი

1

გონა მთისა უმა ბაგრატი
+ უმა ბაგრატი

2

გონა მთისა
+
სამეფოსა

3

გონა მთისა უმა ბაგრატი
+
სამეფოსა

4

გონა მთისა
სამეფოსა

5

გონა მთისა
სამეფოსა
სამეფოსა

6

გონა მთისა

7

გონა მთისა უმა ბაგრატი
სამეფოსა
სამეფოსა

8

გონა მთისა
სამეფოსა
სამეფოსა

9

გონა მთისა
სამეფოსა
სამეფოსა

10

გონა მთისა
სამეფოსა
სამეფოსა

11

გონა მთისა
+
სამეფოსა

12

გონა მთისა
სამეფოსა
სამეფოსა

13

გონა მთისა უმა ბაგრატი
სამეფოსა
სამეფოსა

14

საქართველოს
მეცნიერებათა
აკადემიის
ბიბლიოთეკა

1

ქსქლამბიწოჭპაკ
საქართველოს
მეცნიერებათა
აკადემიის
ბიბლიოთეკა

2

საქართველოს
მეცნიერებათა
აკადემიის
ბიბლიოთეკა

3

მნალთსრ
მეცნიერების
მუზეუმი

4

საქართველოს
მეცნიერებათა
აკადემიის
ბიბლიოთეკა

5

საქართველოს
მეცნიერებათა
აკადემიის
ბიბლიოთეკა

6

საქართველოს
მეცნიერებათა
აკადემიის
ბიბლიოთეკა

7

საქართველოს
მეცნიერებათა
აკადემიის
ბიბლიოთეკა

8

საქართველოს
მეცნიერებათა
აკადემიის
ბიბლიოთეკა

9

საქართველოს
მეცნიერებათა
აკადემიის
ბიბლიოთეკა

საქართველოს
მეცნიერებათა
აკადემიის
ბიბლიოთეკა

10

საქართველოს
მეცნიერებათა
აკადემიის
ბიბლიოთეკა

11

საქართველოს
მეცნიერებათა
აკადემიის
ბიბლიოთეკა

12

ქსმლოქნუს
გაქნა
ნასტრამიყმ

1

ლქწა
ლამკა

2

ჟქქქქქ

3

ქაქას
ღაგაქი
გაქი

4

ქქქასსსსსსსსს
ქქქქქქქქქქ
სსსსსსსსსს
სსსსსსსსსს

5

სსსსსს
ქქქქქქ
სსსსსს

6

ქონამღთისა
ქმახონთქრის
ქეფასლოძონ

7

ღაგაგაგაგა
ქქქქქქქქქქ
სსსსსსსსსს

8

ქქქქქ
ქქქქქ
ღაგა

9

ქქქქქქქქქქ
სსსსსსსსსს
სსსსსსსსსს

10

ქქქქქ
ქქქქქ
ღაგა

11



1



2



3



4



5



6



7



8



9



10



11



12



13



14



15



16



17



18



19



20



21



22



23



24



25



26



27



28



1



2



3



4



5



6



7



8



9



10



11



12



13



14



15



16



17



18



19



20



21



22



23



24



25




26



27



1



2



3



4



5



6




7



8



9



10



11



12



13




14



15



16



17



18



19



20



21



22



23



24



25

XVI.



1



2



3



4



5



6



7



8



9



10



11



12



13



14



15



16



17



18



19



20



21



22



23



24




25



26



1



2



3



4




5



6



7



8



9



10



11



12



13



14



15



16



17



18



19



20



21



22



23



24

۲۷



1



2



3



4



5



6



7



8



9



10



11



12



13



14



15



16



17



18



19



20



21



1



2



3



4



5



6



7



8



9



10



11



12



13



14



15



16



17



18



19



20



21



22



23



24



25



26



27



28



29

გენდით: „მონა ღთისა ალექსანდრე“. (Ad-6). ჩანს 1419 წ. ალექსანდრე დიდის საბუთში და კახთა მეფის ალექსანდრე I-ისა და II-ის დოკუმენტებში 1479 წ., 1501 წ., 1559 წ., 1562 წ., 1579 წ. (Ad-1839, Ad-6, Qd-6995, Ad-1572, Ad-614, Sd-464). ტაბ. I, XV, სურ. 5,2.

ალექსანდრე. კახეთის მეფე. ოთხკუთხა 2,2×1,6; ოთხსტრიქონიანი მხედრული ლეგენდით: „ძირმოდგით დავითიანი ალექსანდრე ვარ სვიანი“. 1735 — 1738 წწ. (Ad ფ. №№ 1035, 678). ტაბ. I, XV, სურ. 2,5.

ალექსანდრე. ძე იესე მეფისა. რვაკუთხა 1,9×1,7; გარშემო და შუაში მხედრული ლეგენდით: „მონა ღთისა ბატონიშვილი ალექსანდრე 1750“. (Qd-2171). 1750—1755 წწ. (Qd-2192, Hd-6330). ტაბ. I, XV, სურ. 4,4.

ალექსანდრე. ბატონიშვილი, ბაქარ მეფის ძე. მრგვალი d-2,1. ზედა ნაწილში გვირგვინის გამოსახულებაა, მხედრული ხეუელი ლეგენდით: „ალექსანდრე“. 1780 წ. (Hd-2219). ტაბ. I, XV, სურ. 7,6.

ალექსანდრე. ბატონიშვილი, ერეკლე მეფის ძე. ოთხკუთხა 1,6×1,4; სამსტრიქონიანი მხედრული ლეგენდით: „დავითის რტო სახელმძესა, ალექსანდრე მეფის ძესა“. (Ad-1018) 1781—1804 წწ. (Hd-2225, Hd-14045). ტაბ. I, XV სურ. 6,7.

ალექსანდრე. ბატონიშვილი, ერეკლე მეფის ძე, ოთხკუთხა 1,1×1; მხედრული ლეგენდით: „ალექსანდრე“. 1789—1838 წწ. (Hd ფ. №№ 7228, 8546). ტაბ. I, XV, სურ. 8,9.

ანა. დედოფალი. ნაზარალიხანის მეუღლე. ოთხკუთხა 1,3×1,2; სამსტრიქონიანი მხედრული ლეგენდით: „დედოფალი ანა“. (Ad-86). 1692—1708 წწ. (Ad ფ. №№ 89, 1057). ტაბ. I, XV, სურ. 9, 10.

ანა. დედოფალი. ნაზარალიხანის მეუღლე. ოთხკუთხა 1,7×1,6; ორსტრიქონიანი მხედრული ლეგენდით: „დედოფალი ანა“. (Ad-3281). 1710 — 1716 წწ. (Hd-2131, Qd-1820). ტაბ. I, XV, სურ. 10,8.

ანა. დედოფალი, ერეკლე II-ის მეუღლე. ოთხკუთხა 1,4×1,1; ორსტრიქონიანი მხედრული ლეგენდით: „დედოფალი ანა“. 1748—1749 წწ. (Ad-761, Sd-237). ტაბ. II, XV, სურ. 1,11.

ანახანუმ. დედოფალი, თეიმურაზ II-ის მეუღლე. ოთხკუთხა 2,1×1,7; გარშემო და შუაში მხედრული ლეგენდით: „ქრისტისა მსურს მკეველ მყოფანი, მარწმუნა მანვე დედოფლობანი ანახანუმ“⁴³. 1749—1758 წწ. (Hd-2475, Qd-1651). ტაბ. I, XV, სურ. 11, 13.

ანახანუმ. დედოფალი, თეიმურაზ II-ის მეუღლე. ოთხკუთხა 2,2×1,5. გარშემო და შუაში ასომთავრული ლეგენდით: „ვინ შვა [ასუ]ლი ს[იბრ]ძნე ფლობითი, მან მკა წიალი დედოფლობითი, ანახანუმ“⁴³. 1749 — 1750 წწ. (Hd ფ. №№ 13658, 2226). ტაბ. I, XV, სურ. 12, 15.

ანახანუმ. დედოფალი, [თეიმურაზ II მეუღლე]. რვაკუთხა 1,3×1. ორსტრიქონიანი მხედრული ლეგენდით: „დედოფალი ანახანუმ“. 1767-1781 წწ. (Ad-1384, Hd-14057). ტაბ. II, XV, სურ. 2, 12.

ანტონ. ბატონიშვილი. ოთხკუთხა 1,4×1; ორსტრიქონიანი მხედრული ლეგენდით: „მეფის ძე ანტონ“. 1783-1784 წწ. (Qd ფ. №№ 7821, 679). ტაბ. II, XV, სურ. 3, 14.

⁴³ ლეგენდა წაკითხულია ნ. ბერძენიშვილის მიერ. იხ. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, წ. I, № 485 (Hd-2475).

არჩილ მეფე. ოთხკუთხა 1,8×1,8; ორსტრიქონიანი მხედრული ლეგენდით; „მეფე არჩილ“. 1736—1742 წწ. (Hd-9392, Hd-13102). ტაბ. II, XV. სურ. 4, 16.

ბაგრატ მეფე. ოთხკუთხა, 1,3×1,3; ორსტრიქონიანი მხედრული ლეგენდით: „ბაგრატ“ 1470 წ. (Hd-1352). ტაბ. II, XV. სურ. 5, 17.

ბაგრატ. გიორგი მეფის ძე. ოთხკუთხა 2×1,8. ხუთსტრიქონიანი მხედრული ლეგენდით: „იესოს ემონებ ყოვლის მპყრობელსა, ვადიდებ ჩემსა განმამართებელსა, ბაგრატ“. (Hd-1732). 1784—1800 წწ. (Hd ფ. №№156, 5244), ტაბ. II, XV. სურ. 7, 18.

ბაგრატ. გიორგი მეფის ძე. ოთხკუთხა 1,4×1,3. ერთსტრიქონიანი ასომთავრული ლეგენდით: „ბაგრატ“. 1792-1801 წწ. (Hd ფ. №№ 6783; 9378). ტაბ. II, XV. სურ. 8, 19.

[ბაგრატ]. გიორგი მეფის ძე. რვაკუთხა 1,6×1,3; ასომთავრული ლეგენდით, რომლის მხოლოდ ოთხი ასო ჩანს „მგძბ“; ამის ქვევით მოცემულია თარიღი—1798 წ. ეს ბეჭედი შეესაბამება ბეჭდების რიგის მიხედვით, საბუთის თავში მოხსენებულ ბაგრატ გიორგი XIII-ის ძეს. 1798-1800 წწ. (Hd ფ. №№ 7193, 7546). ტაბ. II, XV. სურ. 9, 21.

ბაგრატ. გიორგი XIII-ის ძე. რვაკუთხა 1,2×1,1; მხედრული ლეგენდით: „ბაგრატ“ 1799—1800 წწ. (Hd ფ. №№ 3978, 4453) ტაბ. II, სურ. 6, 20.

ბაქარ. ვახტანგ VI-ის ძე. ოთხკუთხა 1,4×1,2; სამსტრიქონიანი მხედრული ლეგენდით: „ქეს და სასოება ბაქარ დავითიანს“. 1716—1717 წწ. (Hd-460, Ad-1349). ტაბ. II, XV. სურ. 10, 22.

ბაქარ. ვახტანგ VI-ის ძე. ორთავიანი არწივის ემბლემით: მხედრული ლეგენდით: „რტო დავითისა, ძე ვარ მეფისა. ქართლის განმგებლად ბაქარ კმობილი, ქორონიონი ჩღოზ“ (Ad-1279). 1717—1718 წწ. (Hd-2081, Sd-1705). ტაბ. II, XV. სურ. 12, 26.

ბაქარ. მეფე. ოთხკუთხა 1,4×1,3. მხედრული ლეგენდით: „მეფე ბაქარ.“ 1718—1731 წწ. (Ad-1041, Hd-5704). ტაბ. II, XV. სურ. 13, 23.

გიორგი. სვიმონ მეფის ძე. ოთხკუთხა 1,6×1,2; მხედრული ლეგენდით: „გიორგი“. 1559—1592 წწ. (Ad-1572, Ad-1588). ტაბ. II, XV. სურ. 11, 25.

გიორგი. შაჰნავაზის ძე. ოთხკუთხა, 1,3×1,2; ორსტრიქონიანი მხედრული ლეგენდით: „გიორგი მირზა“. 1662 — 1673 წწ. (ცსსა ფ. 1448 № 2321. Ad-1637). ტაბ. II, XV. სურ. 14, 24.

გიორგი. ბაქარ მეფის ძმა. ოთხკუთხა 1,5×1,1; ოთხსტრიქონიანი მხედრული ლეგენდით: „გიორგი... 1716 — 1727 წწ. (Hd -- 13160, Ad-1037). ტაბ. III, XV. სურ. 1, 27.

გიორგი. ერეკლე მეფის ძე. ოთხკუთხა, 1,5×1,1; ორსტრიქონიანი მხედრული ლეგენდით: „გიორგი ბატონიშვილი“. 1763—1766 წწ. (Ad-54, Hd-9391). ტაბ. II, XV. სურ. 15, 28.

გიორგი. ერეკლე მეფის ძე. ოთხკუთხა 1,5×1,2; ორსტრიქონიანი მხედრული ლეგენდით: „მეფის ძე გიორგი“. 1767 — 1787 წწ. (Qd-7019, Hd-2542). ტაბ. II, XVI. სურ. 16, 1.

გიორგი. ერეკლე მეფის ძე. ოთხკუთხა, $1,9 \times 1,6$; ოთხსტრიქონიანი მხედრული ლეგენდით: „სიმდაბლით ჩემთვის გარდამოსრულსა, იესოს გონებ ღმერთ კაცსა სრულსა, გიორგი“. 1772—1790 წწ. (Hd ფ. №№ 6624, 1732). ტაბ. III, XVI. სურ. 5,3.

გიორგი. ერეკლე მეფის ძე. ოთხკუთხა, $2 \times 1,7$; ოთხსტრიქონიანი მხედრული ლეგენდით: „პისტით ელპიდით აღაბითავე იისურემო მომიმუშავე, გიორგი“. 1782 წ. (Ad-434). ტაბ. III, XVI. სურ. 4, 2.

გიორგი. ერეკლე მეფის ძე. ოთხკუთხა, $1,5 \times 1,3$; მხედრული ლეგენდით: „გიორგი“. 1785—1799 წწ. (Hd-182, Ad-123). ტაბ. II, XVI. სურ. 17,4.

გიორგი. ერეკლე მეფის ძე. ოთხკუთხა, $1,3 \times 1,1$; ასომთავრული ლეგენდით: „გიორგი“. ბეჰედი იხმარება როგორც მისი ბატონიშვილობის, ასევე მეფობის პერიოდში. 1786—1800 წწ. (Hd ფ. №№ 10188, 4597). ტაბ. III, XVI. სურ. 3,6.

გიორგი. მეფე. რვაკუთხა, $2,1 \times 1,8$; ოთხსტრიქონიანი მხედრული ლეგენდით: „მეფე სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათა გიორგი“. 1798—1800 წწ. (Ad-710, Hd-7546). ტაბ. III, XVI. სურ. 8,7.

ბერძნულში დასტურდება ალქიმიურ ტექსტებში (Du Cange, Glossarium, Notae, p. 10, 11; M. Berthelot, Les Origines, pl. II), მაგიურ ნიშნად (M. Berthelot, Collection, p. 156) და ტექსტის კომენტართან დასაკავშირებლად (Gr.-48).

A-109, 1108, Q-1152

X

ბერძნულში ცნობილია ასტროლოგიურ (Du Cange, Glossarium, Notae, p. 7) და მაგიურ ნიშნად (M. Berthelot, Collection, p. 156).

X

A-1108, Q-1152

S

ბერძნულში იხმარება ტაქიგრაფიულ (Fr. Kenyon, p. 251; B. Groningen, fig. 15), კრიპტოგრაფიულ (V. Gardthausen, S. 306) და კომენტარებიან ტექსტებში (K. and S. Lake, II, pl. 127; X, pl. 724; Gr.-48, რეყ.-341).

S

A-109, 1108, Q-1152

S

ეს ნიშანი ბერძნულში გვხვდება მაგიურ (R. Wunsch, Taf. 1) და სამედიცინო ხასიათის ტექსტებში (Du Cange, Glossarium, Notae, p. 8).

A-109, 1108, Q-1152, S-1463

S

ბერძნულში ეს ნიშანი დასტურდება კრიპტოგრაფიულ (V. Gardthausen, S. 306), ტიქიგრაფიულ (Г. Ф. Церетели, стр. 125; V. Gardthausen, S. 336) და კომენტარებიან ტექსტებში (K. and S. Lake, I, pl. 24, 30; X, pl. 724; Gr.-48, რეყ.-66, 66a, 72, 341, 677).

A-1108, Q-1152

ბერძნულში იხმარება ტაქიგრაფიულ ნიშნად (Г. Ф. Церетели, стр. 21; V Gardthausen, S. 340; Du Cange, Glossarium, Notae, p. 3) და კომენტარის მისანიშნებლად (K. and S. Lake, II, pl. 127; Gr.-48, греч. -72).

A-1108, Q-1152

ბერძნულში იხმარება ტაქიგრაფიულ ნიშნად (B. Groningen, fig. 15; V. Gardthausen, S. 340; Г. Ф. Церетели стр. 38).

A-109, 1108, Q-1152, S-1463

ბერძნულში გამოიყენება ასტროლოგიურ ნიშნად (Du Cange, Glossarium, Notae, p. 5; E. Э. Гранстрем, О некоторых приемах... стр. 7).

A-1108, Q-1152

ბერძნულში იხმარება მაგიურ და ტაქიგრაფიულ ნიშნად (Fr. Kenyon, p. 121, 252).

A-109, 1108, Q-1152, Jer.-15, 43

ბერძნულში მაგიური ანბანის ერთ-ერთი ასოა (M. Berthelot, Collection, p. 156).

A-109, 110, 1108, Q-1152, Jer. -15, 43

ბერძნულში იხმარება ასტროლოგიურ ნიშნად (Du Cange, Glossarium, Notae, p. 10) და კომენტარის მისანიშნებლად (K. and S. Lake, II, pl. 127).



A-109, 110, 1108, Q-1152, Jer.-15,43

ბერძნულში იხმარება ალქიმიურ ნიშნად (G. Gessmann, Taf. 51).



A-109, Jer.-15, 43

ბერძნულში გამოყენებულია მაგიურ (R. Wunsch, Taf. 1) და ალქიმიურ ტექსტებში (G. Gessmann, Taf. 1, 42).



A-109, 1108, Q-1152

ეს ნიშანი ბერძნულში დასტურდება სამედიცინო ტექსტებში (Du Cange, Glossarium, Notae, p. 16).



A-109, 1108, Q-1152, Jer.-43

ბერძნულში ეს ნიშანი მაგიური ანბანის ერთ-ერთი ასოა (M. Berthelot, Collection, p. 156); ეგვიპტე ნიშანი იხმარება აგრეთვე ტექსტის კომენტართან დასაკავშირებლად (რეყ. -72, K. and S. Lake, X, pl. 703).



A-109, Jer.-43

ბერძნულში იხმარება ალქიმიურ ნიშნად (G. Gessmann, Taf. 38, 79) და ტექსტის კომენტართან დასაკავშირებლად (K. and S. Lake, VII, pl. 491, Gr.-48, რეყ.-72).



Q-1152

ბერძნულში გვხვდება ალქიმიურ (G. Gessmann, Taf. 4) და მაგიურ ნიშნად (R. Wunsch, Taf. 1; Fr. Kenyon, p. 103), ტექსტის კომენტართან დასაკავშირებლად (რეყ.-72).



A-1108, Q-1152

ბერძნულში დასტურდება ალქიმიურ ტექსტებში (Du Cange, Glossarium, Notae, p. 11; M. Berthelot, Collection, p. 108).

Q-1152

س

ბერძნულში იხმარება ასტროლოგიურ ნიშნად (Du Cange, Glossarium, Notae, p. 5).

A-1108, Q-1152

ز

ბერძნულში გამოყენებულია ალქიმიურ ნიშნად (Du Cange, Glossarium, Notae, p. 12, 17).

ب

Jer.-15, 43

ბერძნულში მსგავსი ნიშანი დასტურდება ალქიმიურსა (G. Gessmann, Taf. 29) და კომენტარებიან ტექსტებში (греч.-72).

A-109, Jer. -43

ف

ბერძნულში ის გვხვდება მაგიურ (Fr. Kenyon, p. 91) და კომენტარებიან ტექსტებში (E. Э. Гранстром, О некоторых приемах..., стр. 7; K. and S. Lake, I, pl. 32).

△

A-109, 110, 189

▽

ბერძნულში ეს ნიშნები იხმარება ალქიმიურ (G. Gessmann, Taf. 58), ასტროლოგიურ (Du Cange, Glossarium, Notae, p. 6; B. Groningen, fig. 14), მაგიურ (R. Wunsch, Taf. 1, 4) და კრიპტოგრაფიულ ტექსტებში (V. Gardthausen, S. 306).

▽

⊙

A-189

ბერძნულში გამოყენებულია მაგიურ (Fr. Kenyon, p. 111) და ტაქიგრაფიულ ნიშნად (B. Groningen, p. 44; V. Gardthausen, S. 352).

⊕

A-1108, Q-1152, Jer.-15, 43

⊕

ეს ნიშანი ბერძნულში იხმარება რიცხვითი მნიშვნელობის აღსანიშნავად (Fr. Kenyon, p. 252) და ტექსტის კომენტართან დასაკავშირებლად (K. and S. Lake, I, pl. 30; X, pl. 724; Gr.-48, греч.-72; E. Э. Гранстром, О некоторых приемах..., стр. 7).

⤵

A-109, 1108, Q-1152, Jer.-15, 43

ბერძნულში იხმარება ალქიმიურ ნიშნად (M. Berthelot, *Les origines*, pl. II) და ტექსტის კომენტართან დასაკავშირებლად (греч.-72, 677; K. and S. Lake, II, pl. 80, 118, 127; IV, pl. 267).

⤵

⤵

⤵

A-109, 1108, Q-1152, Jer.-43

ბერძნულში გამოყენებულია ტექსტის კომენტართან დასაკავშირებლად (греч.-66a, 72).

A-39, 1108, Q-1152

ბერძნულში იხმარება ტექსტის კომენტართან დასაკავშირებლად (E. Э. Гранстрем, *О некоторых...*, стр. 7, K. and S. Lake, IX, pl. 605; X, pl. 685).

⤵

A-1108, Q-1152

ბერძნულში გამოყენებულია ტექსტის კომენტართან დასაკავშირებლად (E. Э. Гранстрем, *О некоторых...*, стр. 7).

⤵

A-1108, Q-1152

ბერძნულში მაგიური ანბანის ასოა (R. Wunsch, *Taf.* 4).

⤵

Q-1152

ბერძნულში იხმარება კრიპტოგრაფიულ ნიშნად (V. Gardthausen, *S.* 306).

⤵

A-109

ბერძნულში მაგიურ ტექსტებშია გამოყენებული (E. Э. Гранстрем, *О происхождении*, стр. 312).

ჟ A-109
ეს ნიშანი ბერძნულში ალქიმიურ ტექსტებში დასტურდება (M. Berthelot, Collection, pl. IV)

⌒ A-109
ბერძნულში იხმარება მაგიურ ტექსტებში (Fr. Kenyon, p. 90).

⌒? A-1108, Q-1152
ბერძნულში გამოიყენება ასტროლოგიურ ნიშნად (Du Cange, Glossarium, Notae, p. 5).

♀ A-1108, Q-1152
ბერძნულში იხმარება მაგიურ (R. Wunsch, Taf. § 1) და ალქიმიურ ნიშნად (G. Gessmann, Taf. 3); აგრეთვე ტექსტის კომენტართან დასაკავშირებლად (რეყ.-66, 66a).

∞ A-109
ბერძნულში ის იხმარება ალქიმიურ ნიშნად (G. Gessmann, Taf. 28).

⌒ A-109.
ბერძნულში ალქიმიურ ნიშნად არის გამოყენებული (G. Gessmann, Taf. 51).

♀ A-1108, Q-1152
ბერძნულში ის ცნობილია ალქიმიურ ნიშნად (G. Gessmann Taf. 119).

⌒ A-1108, Q-1152
ბერძნულში გამოყენებულია ტაქიგრაფიულ ნიშნად (Г. Ф. Церетели, стр. 48).



A-1108, Q-1152, Jer.-43

ბერძნულში იხმარება ტაქიგრაფიულ ნიშნად (V. Gardthausen, S. 340; Г. Ф. Церетели, стр. 124).



A-110, 1108, Q-1152

ბერძნულში იხმარება ტაქიგრაფიულ ნიშნად (Г. Ф. Церетели, стр. 102)



A-1108, Q-1152

ბერძნულში გამოყენებულია მაგიურ ნიშნად (R. Wunsch, Taf. 1).



A-1108, Q-1152

ბერძნულში იხმარება ტექსტის კომენტართან დასაკავშირებლად (греч.-66, 66a).



A-1108, Q-1152

ბერძნულ ხელნაწერში დასმულია თავის დასასრულს (греч.-72).



Q-1152

ბერძნულში პარაგრაფის დასაწყისის აღსანიშნავად იხმარებოდა (V. Gardthausen, S. 403).

Л. Р. Каджана

УСЛОВНЫЕ ЗНАКИ В ГРУЗИНСКИХ РУКОПИСЯХ С КОММЕНТАРИЯМИ

Резюме

В грузинских рукописях с комментариями встречаются условные знаки связывающие текст со схождениями. Применение этих знаков наблюдается с XI века. Условный знак в тексте стоит на комментируемом

слове; тот же самый знак ставится в начале комментария. При помощи этих знаков устанавливается связь между текстом и комментарием.

Большинство из этих знаков обнаруживают сходство с теми специальными знаками, которые употреблялись в греческой письменности.

Употребленные в грузинских рукописях знаки и их греческие параллели отражены в каталоге.



2. მავანარიანი

ზოთა რუსთაველის პორტრეტი ე. წ. ზაზასაული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერიდან

ძველი ქართული ხელნაწერი წიგნის მხატვრობა შინაარსის დამასურათებელი შრავალი ცალკეული სცენითა თუ ერთიანი საილუსტრაციო ციკლითაა წარმოდგენილი. მასში ბევრი სცენა ისტორიული და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით საინტერესოა. იგი შეიცავს არა მარტო წმინდანთა, არამედ ისტორიულ პირთა პორტრეტულ გამოსახულებებსაც. ამ პორტრეტების მიმართ, მართალია, თითოეული ოსტატი ინდივიდუალურ მიდგომას იჩენს, ხშირად იგი შესრულებულია რამდენიმე საუკუნის შემდეგ, მაგრამ ყოველთვის საინტერესო მასალაა წარმოდგენილი თანამედროვე იკონოგრაფიული ნორმების, ჩაცმულობისა თუ სტილის თვალსაზრისით.

ქართული ხელნაწერი წიგნის მხატვრობაში უმეტესად ტექსტის ავტორთა გამოსახულებანია წარმოდგენილი. ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში, მართალია, ხშირად იხსენიება მომგებელთა და გადამწერთა სახელები, მაგრამ მათი პორტრეტული გამოსახულებანი იშვიათად გვხვდება. გამონაკლისია, მაგალითად, მინიატურისტ-კალიგრაფის მამუკა თავაქარაშვილის პორტრეტი XVII ს. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერიდან. ფრესკულ მხატვრობაში ხშირად გვხვდება ქტიტორთა გამოსახულებანი, ქართულ ხელნაწერ წიგნში კი ძირითადად ავტორთა გამოსახულებებს ეძლევათ უპირატესობა.

ჩვენამდე მოღწეულ სასულიერო შინაარსის ხელნაწერებს, კერძოდ, ოთხთავების ცალკეულ თავს, თუ იგი მოხატულია, ძველთაგანვე დართული აქვს მისი შესაბამისი. ავტორის—მხატვრის პორტრეტული გამოსახულება. დავითნის ტექსტს (H-53, A-351) წინ უძღვის დავითის პორტრეტი. მსგავსი მაგალითებს ვხვდებით საერო ხასიათის ხელნაწერებშიც: ანტონ კათალიკოსის წყობილსიტყვაობას (H-382) წინ უძღვის დავით ეგნატეს-ძე თუმანიშვილის მიერ დახატული ანტონ I-ის სურათი, ალაპიტ დიაკონის სამეფო ტომარს (H-1561, Q-168) ერთვის ალაპიტ დიაკონის გამოსახულება (ერთ შემთხვევაში იგი მუხლომოდრეკილია წიგნით ხელში იუსტინიანე კეისრის წინ), სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონს (S-4748) უძღვის ალექსი მესხიშვილის მიერ შესრულებული საბას პორტრეტი, ისააკ ასურის წიგნს (Q-356) დართული აქვს მხატვარ ალექსი ბაქრაძის მიერ შესრულებული ისააკ ასურის გამოსახულება, თამარის ხოტბის კრებულში თამარის წინაშე მუხლომოდრეკილი შავთელისა (4r) და ჩახრუხაძის (20r) ფიგურებია გამოსახული.

შოთა რუსთაველის, როგორც პოემის ავტორის პორტრეტული გამოსახულება, ტრადიციის თანახმად, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებს დასაწყისში დაერთვის. მინიატურულ მხატვრობაში შოთას პორტრეტი სამ ხელნაწერში გვხვდება: მამუკა თავაქარაშვილისეულ XVII ს. ვეფხისტყაოსანში (H-599), ე. წ. ზაზა ციციშვილისეულ ხელნაწერსა (Q-1082) და გვიანი ხანის, კერძოდ, XIX ს. ერთ-ერთ ვეფხისტყაოსანში (H-2055), სადაც პოეტის გამოსახულება (8v), ისევე, როგორც ხელნაწერში არსებული სხვა სურათები, დაბალ მხატვრულ დონეზეა შესრულებული.

შოთა რუსთაველის ცნობილი პორტრეტული გამოსახულება (იხ. ტაბ. I) ე. წ. ზაზასეული ხელნაწერიდან, დაცულია ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, თვით ხელნაწერი კი, საიდანაც ამოჭრილია ეს მინიატურა, ინახება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში (Q-1082).

ხელნაწერი ზომით 36×26, შეიცავს 190 ფ. ტექსტის თითოეული გვერდი ჩასმულია ოქროს საღებავებით შესრულებულ ორნამენტირებულ ჩარჩოში, ხოლო დასაწყისი გვერდი შემკულია თავსამკაულითა და წვრილი ყვავილები-საგან შემდგარი ორნამენტული ფონით. შოთა რუსთაველის მინიატურას, რომელიც ცალკე ინახება, გარს უვლის ამჟამად დაზიანებული ორნამენტირებული ჩარჩო-ბორღური.

ხელნაწერის საერთო შემკულობისა და შოთა რუსთაველის ჩარჩო-ბორღურის სტილისტური თავისებურებანი ასეთია: ტექსტის ცალკეული გვერდის მხატვრული ბორღურების ორნამენტულ ნახატი შეადგენს სტილიზებული მცენარეულობა, რომელიც შეუფერავ ეტრატზე გამოხატულია მოყვითალო და მომწვანო ტონალობის ოქროთი. ეს სტილიზებული მცენარეული ორნამენტი წერის მხატვრული მანერით, ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით ბევრად უფრო ვეფხისტყაოსნის (H-54) ბორღურების მსგავსია, მაგრამ მისი მრავალფეროვანი ორნამენტისაგან განსხვავებით, ყოველ გვერდზე ერთი და იგივე ნახატი მეორდება. ხელნაწერის დასაწყისში წარმოდგენილი სწორკუთხა ფორმის თავსამკაული შეესილია წვრილი ყვავილოვანი ორნამენტით, ოქროსფერ ფონზე შესრულებული ნახატი მეტად ფაქიზი შავი ხაზებითაა გამოკვეთილი. კოლორიტში ძირითადია ულტრამარინისა და ოქროს შეხამება, დამატებით ფერებად კი გამოყენებულია შინდისფერი და ნარინჯისფერი. საღებავები სქელი და გაუმჟვირავალია. ტექსტის ქვეშ ფონი დასერილია ამავე სტილში შესრულებული ყვავილოვანი ორნამენტით, ისე რომ, ეს დასაწყისი გვერდი მხატვრულ ერთიანობაშია წარმოდგენილი. თავსამკაულის სტილი განსხვავდება ტექსტის ოქროს ბორღურებისაგან, მაგრამ, თავის მხრივ, იდენტურია იმ ბორღურისა, რომელიც ამჟამად აკობს შოთა რუსთაველის პორტრეტულ გამოსახულებას. შოთას პორტრეტსაც გარს უვლის ულტრამარინისა და ოქროს საღებავებით შექმნილი ორნამენტირებული ჩარჩო¹.

პირველ ცნობებს ზაზა ციციშვილისეული ხელნაწერის შესახებ ჩვენ ვხვდებ-

¹ ასეთი სტილისტური მონაცემები უარყოფენ პავლე ინგოროყვას აზრს იმის შესახებ რომ ტექსტის ბორღურები და ბორღური, რომელიც ჩარჩოდ ემსახურება შოთა რუსთაველის პორტრეტულ გამოსახულებას, ერთი მხატვრის მიერაა შესრულებული ერთ სტილში. იხ. თხზულებათა ტ. 1, თბ. 1963, გვ. 877.

ბით გ. ლეონიძესთან². მისი ცნობით ხელნაწერის პირველი მფლობელი იყო ზაზა ციციშვილი, რომელიც ცხოვრობდა მე-17 საუკუნეში. ხელნაწერის ბოლოს 190v არსებულ გადამწერის მიერ დამატებულ ერთ-ერთ სტროფში ლევან მირზას სახელის ქვეშ გ. ლეონიძემ ამოიკითხა სარდალ სახლთხუცეს ზაზას სახელი (იხ. ტაბ. II), რომელსაც იგი ხელნაწერის მომგებელად სთვლის. ხელნაწერის შემდგომი ისტორია ასეთია: ხელნაწერი ხელთ ჩაეარღნია ლევან მირზას, მერე მის შვილს ვახტანგ VI, შემდეგ ვახტანგ VI-ის ასულს თამარს, რომლისგანაც ხელნაწერი ერეკლე II, ხოლო შემდეგ კი მის უმცროს ქალს თეკლე ბატონიშვილს რგებია. პლ. იოსელიანის ცნობით, ეს თეკლესული ხელნაწერი მის უმცროს ვაჟს ალექსანდრე ორბელიანს მ. ს. ვორონცოვისათვის 1853 წელს მიუერთებია, როგორც იშვიათი საჩუქარი. ვორონცოვს, გავრცელების მიზნით, პორტრეტი ხელნაწერიდან ამოუჭრია. ამ მინიატურიდან გააკეთა გაგარინმა ფერადი ასლი დაზიანებული ნაწილების აღდგენით.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება (გაგარინი³, ინგოროყვა⁴, ამირანაშვილი⁵), რომ მინიატურა შოთა რუსთაველის გამოსახულებათ ამოჭრილია უფრო ძველი ხელნაწერიდან და ჩაკრულია ზაზასეულ ეფესისტყაონანში. ამ ადრეული პერიოდის ხელნაწერად, რომელსაც ეკუთვნოდა ეს პორტრეტი, პ. ინგოროყვა XV ს-ის ხელნაწერს თვლის. მინიატურის მეორე მხარეს მინაწერია, სადაც მოხსენიებულია სახელი რამაზ. ამ რამაზს იგი მე-15 ს. ქსნის ერისთავად მიიჩნევს და ამის მიხედვით პორტრეტსაც მე-15 ს-ით ათარიღებს. მისი აზრით, ეს ერისთავისული XV ს. ხელნაწერი შემდგომ მზითვეში გაპყოლია რამაზის შვილს, რომელიც ციციშვილზე გათხოვილა. მე-17 ს. კი ამ საგვარეულოს წარმომადგენელს გადაუწერიანებია ახალი ხელნაწერი, სადაც მოუთავსებიათ უკვე დაძველებული ხელნაწერიდან ეს პორტრეტი.

პალეოგრაფიული მონაცემების საფუძველზე ს. კაკაბაძე ამ მინაწერს XVII ს. შიაკუთვნებს⁶. ხელნაწერთა ინსტიტუტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი ნ. შოშიაშვილი ასევე უარყოფს პორტრეტის დათარიღებას ამ წარწერის მიხედვით. პალეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე, ასევე სხვა არსებული წარწერის მიხედვით, იგი რამაზს მე-18 ს. პიროვნებად მიიჩნევს. მეორე მინაწერში რამაზი მოხსენიებულია მდივანბეგად, მდივანბეგეპის ინსტიტუტი კი მე-17 საუკუნემდე საქართველოში არ არსებულა⁷.

შ. ამირანაშვილი ზაზასეული ხელნაწერის თარიღად თვლის მე-17 ს., ხოლო თვით შოთა რუსთაველის მინიატურას (სახის მოდელირების, ჩაცმულობის, ქაღალდის ხარისხის მიხედვით) უფრო ადრეულ პერიოდს მიაკუთვნებს. მისი

² გ. ლ ე ო ნ ი ძ ე , ეფესისტყაონის ახალი ხელნაწერი, ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, თბ., 1935, გვ. 21.

³ Г а г а р и н , Le Caucase Pittoresque, Париж

⁴ პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა , თხზულებანი, ტ. I, თბ., 1963, გვ. 876.

⁵ შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი , შოთა რუსთაველის პორტრეტული გამოსახულება ძველ ქართულ ხელოვნებაში, თბილისის უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული «შოთა რუსთაველი», 1966, გვ. 167.

⁶ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე , ეფესისტყაონის საკითხის გარშემო, მნათობი, 1927, № 11—12, გვ. 252.-

⁷ ნ. შ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი , XII—XIV სს. საქართველოს სახელმწიფო სამართლის ისტორიისა და რუსთველოლოგიის ზოგიერთი საკითხი, ცისკარი, 9, 1965, გვ. 148—149.

აზრით, მინიატურას საფუძვლად უდევს პოეტის პორტრეტული გამოსახულება XII—XIII სს., რომელიც ნაწილობრივ XV საუკუნეშია გადაწერილი⁸.

ხელნაწერის მხატვრულმა და პალეოგრაფიულმა შესწავლამ, შოთა რუსთაველის მინიატურასთან შედარებითმა ანალიზმა, გამოავლინა ზოგიერთი მომენტი, რომელიც პორტრეტის დათარიღებისათვის და საერთოდ ხელნაწერის ისტორიისათვის საინტერესო მასალას წარმოგვიდგენს:

1. ე. წ. ზაზასეულ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერში (Q-1082) სხვა ხელნაწერიდან გადმოტანილია არა მარტო შოთა რუსთაველის პორტრეტული გამოსახულება, არამედ ამჟამად ტექსტის გარშემო არსებული ოქროს საღებავით შესრულებული ბორღურებიც.

2. შოთა რუსთაველის მინიატურას ზურგის მხრიდან შემორჩენილი აქვს ტექსტის შემკულობის ანალოგიური ბორღურის ფრაგმენტი, რაც მიუთითებს ოქროს ბორღურებისა და შოთა რუსთაველის პორტრეტული გამოსახულების შესრულების ერთდროულობაზე.

3. მხატვრული და პალეოგრაფიული მონაცემები „ზაზასეული“ ხელნაწერის შექმნის შემდეგ სურათს გვიხატავს: ა) ხელნაწერის ტექსტის გადაწერამდე სხვა ხელნაწერიდან გადმოიტანეს შოთა რუსთაველის მინიატურა და ოქროს ბორღურები; ბ) შოთა რუსთაველის დაზიანებული მინიატურა შეამკეს ახალი ჩარჩო-ბორღურით და იმავე სტილში მოხატეს ხელნაწერის დასაწყისი გვერდი თავსამკაულითა და წვრილი ყვავილებისაგან შემდგარი ორნამენტული ფონით; გ) ხელნაწერის მხატვრული შემკობის შემდეგ გადაიწერა ტექსტი.

ხელნაწერის შემკულობის საერთო სტილის და ცალკეული ფურცლების შესწავლამ დაგვანახვა, რომ არა მარტო შოთა რუსთაველის პორტრეტი, არამედ მხატვრული ბორღურებიც არ იყო ამ ტექსტისათვის თავიდანვე განკუთვნილი და რომ ისინი იმავე ხელნაწერიდანაა აღებული, რომელსაც ეკუთვნოდა შოთა რუსთაველის პორტრეტი.

ჩვეულებრივ მხატვრული ბორღურები (მაგ., ავლაშვილისეული ვეფხისტყაოსნის H-2075 ბორღურები, სპარსული საბუთების მხატვრული ბორღურები) მზადდებოდა ცალკე, დამოუკიდებლად და შემდეგ უერთდებოდა ტექსტის გვერდებს ისე, რომ ძნელია ამ შეერთების ადგილის შემჩნევა თვალით. ბორღურისა და ტექსტის გვერდების კიდეები ერთმანეთზე ოდნავ გადადიოდა და ეს ადგილი შემდეგ იფარებოდა ფერადი ხაზებისაგან შემდგარი ფაქიზად შესრულებული წვრილი ზოლებით. ამ შემთხვევაში ზაზასეული ხელნაწერის ტექსტის ფურცლები (იხ. ტაბ. III) შეერთებულია ბორღურებთან მეტად უხეშად. ეს იმის გამო, რომ ბორღურები სხვა ხელნაწერიდან გამოყენებულია ფერადხაზოვანი ზოლებით, ისინი ამოჭრილია ისე, რომ მათ შერჩათ ძველი ფურცლის ნაწილებიც, რითაც დაწებებული არიან ტექსტის გვერდებს. ნაწიბურები საკმაოდ შესამჩნევია, კიდეები ფართოდაა ერთმანეთზე გადასული, რის გამოც შეერთების ადგილები მეტად უხეშია, ბორღურები ოდნავ დანაოჭებული. შემორჩენილ ძველი ფურცლის კიდეებზე შესამჩნევია, რომ ტექსტია გადაშლილი და ზედ ახალი — ზაზასეული ხელნაწერის ტექსტია დაწერილი (8v, 31v, 35v, 41r, და სხვ.). ამ ნაწიბურებზე ასევე ჩანს მთელ სიგრძეზე ერთმანეთის მოშორების ასოების ნაშთები (11r, 13 r), რომლებიც უნდა ასახავდნენ ძველი ვე-

⁸ შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული მინიატურა, მოსკოვი, 1966, გვ. 46.

ფხისტყაოსნისიეული ტექსტის სტრიქონებს შორის ინტერვალებს. გარდა ამისა, თანამედროვე ტექსტის სტრიქონები გადადიან ძველი ფურცლის კიდეებზე, რაც იმის დამამტკიცებელია, რომ ზაზასეული ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი გადაწერილია ტექსტის ფურცლების ბორღურებთან შეერთების შემდეგ. ტექსტის ფურცლები რომ სპეციალურად ამ ბორღურებზეა. მორგებული, მიგვიითთა იმ გარემოებამაც, რომ ისინი შეცვლილია დაუზიანებელ ბორღურებში (ხელნაწერი რომ დაზიანებული ყოფილიყო, უნდა გაცვეთილიყო მისი კიდეები, ამ შემთხვევაში — ბორღურები).

ოქროს ბორღურები და შოთას მინიატურა რომ ერთი ხელნაწერიდანაა აღებული ამას ამტკიცებს ის, რომ მინიატურას მეორე მხრიდან ზედა ნაწილში შემორჩენილი აქვს ტექსტის ოქროს ბორღურის ანალოგიური ფრაგმენტი (იხ. ტაბ. IV), რომელიც მინიატურის თანადროულია.

ოქრო ამ პატარა ფრაგმენტზე საკმაოდ გადაქექილია, მაგრამ ნახატი ნათლად გასარჩევია. ტექსტის ბორღურები, როგორც ზევით იყო აღნიშნული, თითოეულ გვერდზე იმეორებენ სტილიზებული ყვავილების ერთი და იგივე ორნამენტს. ამ ფრაგმენტზეც იგივე ნახატია წარმოდგენილი. ტექსტის ბორღურებისაგან განსხვავებით, ფრაგმენტი მინიატურის ფურცელთან შერწყმულია ისე, რომ ნაწიბურების შეერთების ადგილი სრულიად შეუმჩნეველია, მეტად ფაქიზადაა გაყვანილი ფერადნახოვანი ზოლები (ეს ზოლი recto მხრიდან ემთხვევა კიდეც მინიატურის კიდეც). მინიატურის ზურგის მხარე დაზიანებულია, მრავალ ადგილას აღდგენილი და გვიანდელი წარწერებითაა დასერილი. ფრაგმენტი ნაწილობრივ ამ რესტავრაციის ქვეშაა მოქცეული. გარდა ამისა, მისი ფონი ერწყმის ფურცლის ფონს, მაშინ როდესაც ხელნაწერი ტექსტის გვერდები ბორღურის ფონისაგან განსხვავებული, უფრო ღია ფერისაა. ყოველივე ამის გამო ფრაგმენტი ბუნებრივადაა შერწყმული ფურცელს და ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ იგი მისი განუყოფელი ნაწილია. სწორედ ამიტომაც, როგორც ჩანს, ასეთი პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი დეტალი მკვლევართა ყურადღების გარეშე დარჩა. ამრიგად, ფრაგმენტი ნაწილია იმ ბორღურისა, რომელიც უფრო ადრეული ხანის ვეფხისტყაოსნისიეულ ხელნაწერში, მსგავსად ტექსტის გვერდებისა, ამკობდა შოთა რუსთაველის მინიატურას. რადგან მინიატურა ერთვოდა ხელნაწერს როგორც სატიტულო ფურცელი, ხოლო ბორღურები კი მზადდებოდა ორმხრივ მონახტული, ამიტომ მინიატურას ორნამენტი მეორე მხრიდანაც შემორჩა. შემდეგ, როდესაც აღადგინეს შოთას მინიატურა, უკვე დაზიანებულ შემორჩენილ ფრაგმენტზე დააქრეს ახალი ჩარჩო-ბორღური⁹.

მხატვრული და პალეოგრაფიული მონაცემების საფუძველზე ცხადი გახდა, რომ შოთა რუსთაველის პორტრეტული გამოსახულების ჩარჩო განახლდა

⁹ ცხადია, ადრეული პერიოდის ხელნაწერიც ვეფხისტყაოსანი იყო, რადგან შოთას პორტრეტი, როგორც სატიტულო ფურცელი, წარმოდგენილი იქნებოდა მხოლოდ შოთას პოემის ხელნაწერში. ხელნაწერის ბოლოს ბორღურზე არსებული მინაწერიც: «ამ ვეფხისტყაოსნის ფურცელი ორას თორმეტი არისო», ბორღურებიანი ვეფხისტყაოსნის ხელნაწერის პაგიონაციას უნდა აღნიშნავდეს, მით უმეტეს, იგი შესრულებულია ტექსტისაგან განსხვავებული ხელითა და განსხვავებული ფერის მელნით. ფურცელთა ახალ ნუმერაციასთან შეუსაბამობას გ. ლეონიძე, პლ. იოსელიანის ცნობაზე დაყრდნობით, იმით ხსნის, რომ ხელნაწერში შოთას მინიატურის გარდა უნდა ყოფილიყო პოემის ამჟამად დაქარგული 21 სიუჟეტური კომპოზიცია.

მაშინ, როდესაც გადაიწერა ე. წ. ზაზასეული ვეფხისტყაოსნის ტექსტი. ერთი მხატვრის მიერ შეიმკო ხელნაწერის დასაწყისი გვერდიც. ამას აღასტურებს ის გარემოება, რომ პირველი გვერდი ხელნაწერისა (იხ. ტაბ. VI), რომელიც შემკულია თავსართითა და ორნამენტირებული ფონით, გადაწერილია ტექსტის ხელით. თავის მხრივ, ტექსტი შესრულებულია მხატვრობასთან ერთდროულად: ტექსტის ფონი განუყოფელია თავსართისაგან, იგი მოფენილია თავსამკაულის სტილში შესრულებული ორნამენტით, რომელზედაც დაწერილია ტექსტი. ამდენად შოთა რუსთაველის მინიატურის ახლანდელი დეკორატიული ჩარჩო, რომელიც შესრულებულია თავსამკაულის სტილში, ხელნაწერი ტექსტის ერაზროულიაა. ჩარჩო-ბორღურისა და თავსამკაულის სტილიც შეესაბამება ხელნაწერი ტექსტის პალეოგრაფიულ დათარიღებას, კერძოდ მე-17 საუკუნეს. ორნამენტული ნახატით, კოლორითა და წერის მანერით ისინი ახლოს დგანან მაგ. ბაღდასარაშვილის მიერ გადაწერილ მე-17 საუკუნის ვეფხისტყაოსნის თავსამკაულის მხატვრობასთან¹⁰.

ამრიგად, ზემოთ აღნიშნული დაკვირვებების საფუძველზე ე. წ. ზაზასეული ვეფხისტყაოსნის Q-1082 ხელნაწერის შიქმნის სურათი ასეთნაირად წარმოგვიდგება: ხელნაწერი ორ ეტაპზეა შექმნილი. პირველ ეტაპზე შესრულდა შოთა რუსთაველის პორტრეტული გამოსახულება და ოქროს ბორღურები, რომლებიც ერთი და იმავე ხელნაწერის შემკულობას წარმოადგენენ. მეორე ეტაპზე კი ეს მხატვრული ბორღურები და შოთას მინიატურა გამოიყენეს დღეს ჩვენს ხელთ არსებული ე. წ. ზაზასეული ვეფხისტყაოსნის ტექსტის შესამკობად. მხოლოდ ტექსტის გადაწერამდე აღადგინეს შოთა რუსთაველის ჩარჩო-ბორღური და იმავე სტილში მოხატეს ხელნაწერის დასაწყისი გვერდი ორნამენტირებული ფონითა და თავსამკაულით.

ზაზა ციციშვილისეული ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი, როგორც პალეოგრაფიული ნიშნების, ისე მასში მოხსენიებული ისტორიული პირების—ხელნაწერის მომგებლის ზაზა ციციშვილისა¹¹ და ხელნაწერის გადაწერის იოსებ თბილელის მიხედვით, დათარიღებულია მე-17 საუკუნით, კერძოდ 1661—64 წლე-

¹⁰ აღმოსავლურ ხელნაწერებში ასეთი ტიპის ბორღურები ხშირადაა გამოყენებული მინიატურების შესამკობად. ზოგიერთ შემთხვევაში განმეორებულია ჩარჩო-ბორღურის ორნამენტის სქემატური ნახატიც.

¹¹ ხელნაწერის ბოლოს მოხსენებულ ლევან მირზას (მისი სახელი, როგორც აღნიშნული იყო, დაწერილია სარდალ სახლთუხუცეს ზაზას ამოწილ წარწერაზე და შესრულებულია ტექსტის მსგავსი ფერის მელნით და მეტად მომსგავსებული ხელით იხ. ტაბულა II და VII) გ. ლეონიძე ვახტანგ VI-ის შამად მიიჩნევს. როგორც ჩანს, ხელნაწერი ლევან მირზას ოჯახის კუთვნილებას წარმოადგენდა. ზაზასეული ვეფხისტყაოსნის ტექსტი ნაბეჭდი ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემის წყაროდაა მიჩნეული. პლ. იოსელიანი და შემდგ გ. ლეონიძე აღნიშნავენ, რომ ვახტანგ VI თავისი გამოცემის ბეჭდვის დროს ამ ხელნაწერით ისარგებლა და მისი ორთოგრაფიული შეცდომებიც გაიმეორა. მე-17 საუკუნის ვეფხისტყაოსნის რედაქციების შედარებითი ანალიზის საფუძველზე ს. ცაიშვილი ასკვნის, რომ «ზაზასეული» ხელნაწერის შემოკლების შედეგად შემუშავდა 1712 წლის გამოცემა. იხ. ს. ცაიშვილი ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემის წყაროება, საიუბილეო კრებული შოთა რუსთაველა. გამომცემლობა იმეციონეაძე, თბილისი, 1966 წ., გვ. 170. ზემოთაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინების საფუძველზე იქნებ შესაძლებელი იყოს აიხსნას მიზეზი, რამ გამოიწვია უფრო ადრეული ხანის ვეფხისტყაოსნის დაუზიანებლად, ოქროს საღებავით შესრულებულ ბორღურებში ამ ახალ ტექსტის ფურცლების ჩადგმა. ვარაუდის სახით გვინდა აღვნიშნოთ: ხომ არ ყოფილა ასეთი მნიშვნელოვანი რედაქციის ტექსტი თვით ვახტანგ VI მიერ საგამომცემლოდ საჯანგებოდ მომზადებული?

ბით. შ. ამირანაშვილი ხელნაწერს ათარილებს მხატვრული ბორღურებჰს მიხედვით, კერძოდ მე-17 ს. ბეგთაბეგისეული ვეფხისტყაოსნის H-54 ბორღურებთან შედარების საფუძველზე.

ზემთ აღნიშნული გარემოება, რომ ბორღურება და შოთა რუსთაველის მინიატურა ერთ ხელნაწერს ეკუთვნოდა და ამდენად ერთ დროსაა შესრულებული, საშუალებას გვაძლევს ბორღურების შესრულების დრო გამოვიყენოთ შოთა რუსთაველის პორტრეტული გამოსახულების დასათარიღებლად.

მხატვრული ბორღურები სტილიზებული მცენარეული ორნამენტით გვხვდება სპარსულ, შუაზიის XVI—XVII სს. ხელნაწერებში¹². ქართულ მინიატურულ მხატვრობაში ასეთი ბორღურები წარმოდგენილია 1600 წლის ახლო ხანებისათვის გადაწერილ ავალიშვილისეულ H-2074 ვეფხისტყაოსნის (მხოლოდ აქ ორნამენტულ ნახატში ადამიანთა, ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულებანია ჩართული) და 1600 წ. გადაწერილ და შობატულ ზემოთ აღნიშნულ ბეგთაბეგისეული ვეფხისტყაოსნის H-54 ხელნაწერთა ტექსტის თითოეულ გვერდზე (ეს ბორღურები „ზაზასეული“ ხელნაწერის ბორღურების მსგავსად შესრულებულია ოქროს საღებავებით, მხოლოდ ცალკეულ გვერდზე სხვადასხვა ორნამენტული ნახატია წარმოდგენილი. იხ. ტაბ. V). ჩვენს ხელთ არსებული მასალის გათვალისწინების საფუძველზე ოქროს ბორღურებისა და ამდენად შოთა რუსთაველის მინიატურის შესრულების დრო მე-17 ს. ახლო ხანას შეიძლება მივაკუთვნოთ.

Е. М. Мачаваряни

ПОРТРЕТ ШОТА РУСТАВЕЛИ ИЗ РУКОПИСИ «ВИТЯЗЯ В ТИГРОВОЙ ШКУРЕ» СПИСКА Т. Н. «ЗАЗАСЕУЛИ» (Q-1082)

Резюме

На основании тщательного изучения художественного оформления списка т. н. «Зазасеули» «Витязя в тигровой шкуре» (Q-1082), можно сделать вывод, что ранней рукописи принадлежали не только миниатюра с изображением Шота Руставели, но и золотые бордюры, обрамляющие текст рукописи.


Одновременность исполнения портретного изображения и бордюров, расписанных золотом (на оборотной стороне миниатюры, в ее верхней части, находится фрагмент древнего обрамления, который идентичен бордюрам рукописи) позволяет использовать датировку бордюров для определения времени исполнения портретного изображения Ш. Руставели.

Учитывая датировку рукописей, украшенных художественными бордюрами (списка Бегтабегу H-54, списка Авалишвили H-2074),


¹² 1) Р о з е н б е р г, Персидская миниатюра конца XVI века, ИИМК, т. II, 1922, табл. XIII., Среднеазиатские миниатюры XVI—XVIII вв., под редакцией Л. Гюзальяна, 15, 23., табл. 3, 4, 5, 6. Мукаддим Ашрафи, Миниатюры XVI века в списках произведений Джами из собраний СССР, Москва, стр. 17, 19, 23, 31, 33. იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცული მე-17 ს. სპარსული საბუთები № 7, 8, 9, 11, 18, 42, 44.


золотые бордюры рукописи Зазаसेули и портрет Руставели, можно отнести ближе к XVII веку.

Палеографические и стилистические данные рукописи «Зазасеули», указывают, что при исполнении текста рукописи, когда были использованы золотые бордюры и портрет Руставели, одновременно в одном стиле были исполнены заставка в начале рукописи и декоративное оформление миниатюры с изображением Ш. Руставели.



შოთა რუსთაველის პორტრეტი ე. წ. „ზაზასეული“ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერიდან






მოთა რუსთაველის მინიატურის ზურგის მხარე, რომელზედაც შემორჩენილია ოქროს საღებავებით შესრულებული ბორღურის ფრაგმენტი



სიგე	o	მ	ა
შევაძე	o	მ	ა
სიგე	o	მ	ა
ანდი: ტაძ.	o	მ	ა
ქვილ	o	მ	ა
ილ	o	მ	ა
თუთბილ	o	მ	ა
თქვი: მეტაილ	o	მ	ა
სისკამ	o	მ	ა
ქვითში	o	მ	ა
სიგე: მეტა: თამ	o	მ	ა
სი: წამ	o	მ	ა





Handwritten text in a cursive script, likely a personal letter or note.

Handwritten text in a cursive script, possibly a signature or a specific address.

Handwritten text in a cursive script, appearing to be a name or a title.

„T R E L U N E“

„მთვარე“ და „მთვარეები“ ყველაზე მეტად გავრცელებული ჰერალდიკური სიმბოლოა ქართულ ხელნაწერებში. იგი გვხვდება როგორც ძირითად ჰერალდიკურ სიმბოლოდ, აგრეთვე რომელიმე ჰერალდიკური კომპონენტად.

XIV—XVI საუკუნეების მანძილზე „მთვარე“ („Crescent“) ქართულ ხელნაწერებში იშვიათია, მაგრამ XVII—XVIII საუკუნეებში ეს ჰერალდიკური სიმბოლო, კერძოდ, „სამი მთვარე“ (Tre lune) ჰერალდიკურ დოკუმენტად უნდა ჩაითვალოს. ბულგარელი მეცნიერი ვს. ნიკოლაევი ამ ჰერალდიკური სიმბოლოს შესახებ ამბობს:

В XVI в. не встречаются не отдельные полумесяцы, ни комбинации из двух или трех полумесяцев¹ ...“

რადგან საქმე ეხება ქართული ხელნაწერების ვენეციურ ჰერალდიკურ სიმბოლოს, უნდა ითქვას, რომ ვს. ნიკოლაევი ნაწილობრივ მართალი არ არის. ქართულ ხელნაწერებში მე მივაკვლიე ამ ჰერალდიკური სიმბოლოს XIV—XVI საუკუნეების ნიმუშებს, რაც შეეხება „სამ მთვარეს“, ვს. ნიკოლაევის თქმისა არ იყოს, უადრეს XVII საუკუნისა, ქართულ ხელნაწერებში ეს ჰერალდიკური სიმბოლო არ არის.

ვიღრე „სამი მთვარის“ შესახებ ვიტყვოდე, საკითხის სისრულისათვის საჭიროა აღინუსხოს ქართული ხელნაწერების „ერთი და ორი მთვარის“ ნიმუშები XIV—XVIII საუკუნეებისა, მით უმეტეს საერთაშორისო ტერმინოლოგიური ინდექსით, ერთი, ორი და სამი მთვარე, ერთი ჰერალდიკური სიმბოლოს ფორმებია. ჰერალდიკური სიმბოლოს სახელწოდებათა ინგლისური ინდექსით ამ ჰერალდიკურ სიმბოლოს ეწოდება:

Crescent.

—One Crescent.

—Two Crescents.

—Three Crescents, ანუ ე. წ. „Tre lune“.

დავიწყოთ თავიდან—

ჰერალდიკური „მთვარე“ უძველესი ფორმისა—XIV საუკუნისა (იხ. ჟე. ნ. № 1).

ადრეული XIV საუკუნის ჰერალდიკური სიმბოლოები შედარებით მარტივი და პირობითი მოხაზულობით ხასიათდებიან. ქართულ ხელნაწერებში უძველეს „მთვარეს“ H-1760 პეტრიწონულ ხელნაწერში მივაკვლიე. ეს ხელნაწერი დღემდე მე-15 საუკუნით თარიღდებოდა. ჰერალდიკურ სიმბოლოსა და ქალაქის ვერტეკების სპეციფიკის წყალობით გამოირკვა, რომ ხელნაწერი მთელი საუკუნით უფრო ადრინდელი ყოფილა, ვიდრე ვარაუდობდნენ. H-1760 ხელნაწერში სულ 11 სხვადასხვა სახის ჰერალდიკური სიმბოლოა. ერთ-ერთი მათგანია „მთვარის“ აქ მოყვანილი ნიმუში. ამ ჰერალდიკურ სიმბოლოს ანალოგია სპეციალურ ცნობარებში არ აღმოჩნდა, ამგვარად, ეს ჰერალ-

¹ В с. Н и к о л а е в . Водяные знаки Османской империи, София, 1954.

ნიშანი მეცნიერებისათვის ჯერ უცნობი ნიშნები იყო, ვიდრე იგი არ გამოქვეყნდა ხელნაწერთა ინსტიტუტის „პალეოგრაფიულ ძიებანში 1965 წელს² და IPH—Information ბულეტენში 1967 წლის № 1 და № 2-ში. (IPH—Information Bulletin of the International Association of Paper Historians. Nr. 1, 2, Hannover, 1967.)

ჰვირნიშან „მთვარის“ ეს უძველესი ნიშნები H-1760 ხელნაწერის სხვა ჰვირნიშნების მონაცემების წყალობით მე-14 საუკუნის 30-იანი ან, უკიდურეს შემთხვევაში, 40-იანი წლებით თარიღდება.

ჰვირნიშანი „მთვარე“ წრეში ჯვრით („Crescent“ in a circle with a Cross) (იხ. ჰვ. ნ. № 2) XV საუკუნის ჰვირნიშანია, გვხვდება Q-795—ქართლის ცხოვრების ანასეულ ნუსხაში, რომელიც ისტორიული რეალიებით 1480—1495 წლებში პერიოდით თარიღდება. ეს ჰვირნიშანი დახვეწილი მოხაზულობის სპეციფიკურ ვენეციურ ჰვირნიშანად მიიჩნევა. ეს ჰვირნიშანი უკვე გამოქვეყნებულია ხელნაწერთა ინსტიტუტის პალეოგრაფიულ ძიებანში და IPH—Information ბულეტენში.

ცნობილი მეცნიერის ს. ბრიკეს (Briquet, Charles, Moise,) ჰვირნიშნების ალბომში დასტურდება ორი ანალოგიური შინაარსის ჰვირნიშანი. ერთ მათგანს № 5265 ახლავს სამივე, იგივე ლათინური ასო, როგორც ქართული ხელნაწერის ჰვირნიშანს. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ჩვენს ჰვირნიშანს სამი ლათინური ასო წრის დაბლა უწერია, ხოლო ბრიკეს ჰვირნიშნის ასოები თვით ჰვირნიშნის წრეშია მოთავსებული. დიდ მეცნიერს ეს ორი ჰვირნიშანი გენუის ჰვირნიშნებად მიიჩნევა (ამასვე იმეორებს რუსი პალეოგრაფი ნ. ლიხაჩოვი), ხოლო მათი სათარიღო მაჩვენებლებია 1562 წ. (იგივე ლათინური ასოებით) და 1549 წ. განსხვავებული სამი ლათინური ასოთი. ცხადია, ქართული ხელნაწერის ჰვირნიშნის სათარიღო მაჩვენებელსა და ბრიკეს გენუის ჰვირნიშნების სათარიღო მაჩვენებლებს შორის დიდი სხვაობაა.

მთავარი განსხვავება ქართული ხელნაწერის ჰვირნიშანსა და ბრიკეს გენუის ჰვირნიშნებს შორის ის არის, რომ სხვადასხვა ამ ჰვირნიშნების შესარულების მანერა. ქართული ხელნაწერის ჰვირნიშანი მოხაზულობის განსაკუთრებული დახვეწილი ფორმებით გამოირჩევა. უდავოდ ეს ჰვირნიშნები სხვადასხვა წარმოშობის სხვადასხვა საქარხნო ნიშნებია.

„მთვარე“ XV საუკუნის დასასრულისა, სპეციფიკურად დახვეწილი მოხაზულობისა, დაცულია ისტორიული არქივის ფ. 1446, № 311 ხელნაწერში (იხ. ჰვ. ნ. № 3).

ამ ხელნაწერის სხვადასხვა ჰვირნიშნების მონაცემებით ხელნაწერი XV საუკუნის დასასრულით თარიღდება. ქართული ხელნაწერების ასეთი „მთვარე“ საერთოდ თარიღდება XV საუკუნის დასასრულით და XVI საუკუნის პირველი ათეული წლებით. მაგ.: H—375 ხელნაწერი, სადაც აგრეთვე გვხვდება მსგავსი მოხაზულობის „მთვარე“, XV—XVI საუკუნეთა მიჯნით თარიღდება (იხ. ჰვ. ნ. № 4).

A—186 ხელნაწერის ძველ ნაწილში, რომელიც უთუოდ XVI საუკუნის

² რ. პატარიძე, XIV—XV საუკუნეების ქართული ხელნაწერების ჰვირნიშნები, პალეოგრაფიული ძიებანი, თბ., 1965, გვ. 109—130.

პირველი ათეული წლებისა, აგრეთვე დასტურდება მსგავსი მოხაზულობის „მთვარე“ (იხ. ჰვ. ნ. № 5).

A—186 ხელნაწერი „გულანი“ გადაწერილია 1653—1655 წლებში, მაგრამ ამ ხელნაწერში ჩართულია ძველი ანუ ადრეული XVI საუკუნის ტექსტები.

ბრიკეს ცნობარში მსგავსი მოხაზულობის მთვარეები, მაგრამ არა სრულყოფილი მოხაზულობისა, ცოტა უფრო ადრეული პერიოდით თარიღდება: № 5202 — 1441—1452 წლებით და № 5209 — 1489 წლით.

ჰვირნიშანი „მთვარე და ვარსკვლავი“ წრეში (იხ. ჰვ. ნ. № 6) („Crescent and Star“ in a circle) მეტად ორიგინალური ჰვირნიშანია. ეს ჰვირნიშანი არ დასტურდება არც ერთ სპეციალურ ცნობარში. ამ ჰვირნიშნის შემცირებული ნიმუში გამოქვეყნდა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ („საბჭოთა ხელოვნება“—1967 წ. № 1) ჩემს წერილში—„ქართული ხელნაწერების ჰვირნიშნები“. თავისი შინაარსით ეს ჰვირნიშანი აღმოსავლურ-მამუდიანური ემბლემატიკური სპეციფიკისაა. ამ ჰვირნიშანს მივაკვლიე თარიღიან, 1541 წლის S—312 ხელნაწერში.

ჰვირნიშანი „მთვარე“ სხივოსანი (იხ. ჰვ. ნ. № 7) შეგხვდა მხოლოდ ერთხელ, ქუთაისის ისტორიული მუზეუმის № 173 ხელნაწერში. ხელნაწერი თარიღიანია—1575 წლისა.

„მთვარე“ სხივოსანი გვხვდება ბრიკეს ცნობარში, მაგრამ არადახვეწილი მოხაზულობისა. ბრიკეს სხივოსანი „მთვარე“ № 5217 თარიღდება 1358 წლით. ცხადია, თავისი სრულყოფილი მოხაზულობით ქართული ხელნაწერის სხივოსანი „მთვარე“ ორიგინალური ნიმუშისაა, იძლევა განსხვავებულ ქრონოლოგიურ მონაცემს. ჰვირნიშნის ასეთი ნიმუში არ დასტურდება არც ერთ ცნობარში.

„მთვარე“, ჰვირნიშნის ჯერ უცნობი ნიმუში (იხ. ჰვ. ნ. № 8).

ამ ჰვირნიშანს მივაკვლიე ქუთაისის ისტორიული მუზეუმის № 38 ხელნაწერში. ხელნაწერის ჰვირნიშნების მონაცემების წყალობით ეს ხელნაწერი და ხელნაწერის „მთვარე“ 1590-იანი წლებით უნდა დათარიღდეს (ხელნაწერის დათარიღების შესახებ იხილეთ ჩემი წერილი „ჰვირნიშანი და ქრონოლოგია“, ჟურნალი „ციცქარი“, 1965 წ., № 4). ქართულ ხელნაწერებში ამ ნიმუშის „მთვარე“ მეორედ არ შემხვედრია. ჯერჯერობით ერთადერთი ნიმუშია.

„მთვარე“ ჰვირნიშანს ახლავს ლათინური ასო M (იხ. ჰვ. ნ. № 9).

ამ ჰვირნიშანს მივაკვლიე ქუთაისის ისტორიული მუზეუმის № 38 ხელნაწერში. ეს ხელნაწერი, როგორც უკვე აღვნიშნე, 1590-იანი წლებით თარიღდება. მსგავსი „მთვარე“ ფილიგრანოლოგიურ მეცნიერებაში ჯერ ცნობილი არ არის.

ჰვირნიშანს ახლავს ტიპიური ვენეციური კონტრმარკა: ორი ლათინური ასო და კუთხოვანი სამყურა. ზუსტად ანალოგიური ჰვირნიშანი აღმოჩნდა ხელნაწერთა ინსტიტუტის A—674 ხელნაწერში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქუთაისის № 38 ხელნაწერსა და A—674 ხელნაწერში სავსებით ერთნაირი ჰვირნიშნები დასტურდება. ეს ორი ხელნაწერი, ჩანს, სავსებით ერთი დროისაა. ამიტომ A—674 ხელნაწერი ამიერიდან უნდა თარიღდებოდეს არა XV საუკუნით, არამედ XVI საუკუნის დასასრულით, უფრო ზუსტად 1590-იანი წლებით.

„მთვარე“, დიდი ზომისა, XVII საუკუნისა (იხ. ჰვ. ნ. № 10).

ჰვირნიშნის ერთადერთი ნიმუშია. არ დასტურდება ჰვირნიშნების არც ერთ ცნობარში. ამ ჰვირნიშანს მივყავლიე H—1064 ხელნაწერში. ხელნაწერი თარიღიანია—1669 წლისა.

ჰვირნიშანს ახლავს სპეციფიკური ვენეციური კონტრმარკა: სამყურა ლათინური ასოებით.

„ორი მთვარე“—ძალიან გავრცელებული ჰვირნიშანია დასავლეთ ევროპაში. ასეთი ჰვირნიშანი უძველესი დროიდანვე იხმარება. მაგალითად: ვლ. მოშინს თავის ჰვირნიშნების ცნობარში მოყვანილი აქვს ამ ჰვირნიშნის (№ 3450) 1343 წლის ნიმუში. ამ დროიდან მოკლებული „ორი მთვარე“ გამუდმებით იხმარება დასავლეთში და, პირიქით, საქართველოში ეს ჰვირნიშანი არ ჩანს.

„ორი მთვარის“ ერთადერთ ნიმუშს მე მივყავლიე მე-17 საუკუნის ქართულ ხელნაწერებში. ქართული ხელნაწერების „ორი მთვარის“ ნიმუში კვლავ ორიგინალური აღმოჩნდა. „ორი მთვარის“ ასეთი ნიმუში ჭერ ფილიგრანოლოგიური მეცნიერებისათვის უცნობია.

„ორი მთვარის“ ნიმუშს პირველად Hd—1679 დოკუმენტში მივყავლიე. დოკუმენტი თარიღიანია—1627 წლისა, მაგრამ ჰვირნიშანი ფრაგმენტულია: ჩანს ცალი მთვარის მხოლოდ ნაწილი, ამ მთვარის ფორმამ თავიდანვე მიიქცია ჩემი ყურადღება (იხ. ჰვ. ნ. № 11). მაგრამ, როგორც იტყვიან, ფაქტმა მოლოდინს გადააქარბა, უფრო სწორად, ფაქტმა მაინც გამოაცა მოულოდნელობით: Hd—14.448 1627 წლის თარიღიან დოკუმენტში აღმოჩნდა იმავე ჰვირნიშნის შედარებით სრული სახე (იხ. ჰვ. ნ. № 12), თუმცა ჰვირნიშანი აქაც სრული მოხაზულობის არ არის, მაგრამ სიმეტრიის პრინციპის საშუალებით უკვე შესაძლებელია ჰვირნიშნის სრული სახის აღდგენა. რომ ორივე დოკუმენტი ერთნაირ ჰვირნიშნიან ქალაღზეა გადაწერილი, ამას ადასტურებს დოკუმენტების რაობათა შეჭერებაც:

ორივე საბუთი აზნაურის შვილის წყალობის წიგნია; ორივე სვიმონ მეფის საბუთია; ორივე გადაწერილია 1627 წელს, თიბათვის თვეში; ორივე საბუთის გადაწერია კარის მდივან-მწიგნობარი შერმაზან ოქრუასშვილი; ორივე დოკუმენტი ბარათაშვილებისათვის არის მიცემული. ამ ორი საბუთის გადაწერის თარიღებს შორის მხოლოდ 4 დღის სხვაობაა.

მოგვიანებით, ცენტრალურ ისტორიულ არქივში მუშაობისას, მივაგენი ქართული ხელნაწერების „ორი მთვარის“ მოხაზულობის სრულ, მთლიან ნიმუშს. ამ ჰვირნიშნის სრული ნიმუში დასტურდება ცსსა, ფონდი 1448, № 548, 1622 წლის თარიღიან დოკუმენტში (იხ. ჰვ. ნ. № 13). „ორი მთვარის“ ეგზომ თავისებური ნიმუში, ჩემი მუშაობის მანძილზე, კიდევ ერთხელ აღმოჩნდა მოსკოვის შჩუკინისეული კრებულის (№ 310) 1631 წლის თარიღიან ხელნაწერში.

ამგვარად, დღემდე უცნობი ეს ჰვირნიშანი (არც ერთ ცნობარში არ გვხვდება) გვაძლევს სათარაღო მაჩვენებლებს: 1622; 1627; 1631 წლებს.

„სამი მთვარე“—მეტად გავრცელებული ჰვირნიშანია საქართველოში, ბალკანეთის ქვეყნებსა და მახლობელ აღმოსავლეთში. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ჰვირნიშანი უფრო მეტად ცნობილია „Tre lune“-ს სახელწოდებით. ამ ჰვირნიშნის სახელწოდება ზოგჯერ გვხვდება ჰვირნიშანთან ერთად, ანუ ჰვირნიშანია—„სამი მთვარის“ ემბლემატური და ლიტერული ერთობლიობა. მაგ.: A—267 1778 წლის თარიღიან ქართულ ხელნაწერში ჰვირნიშნად არის „სამი მთვარე“ და მისი სახელწოდებაც „Tre lune“ (იხ. ჰვ. ნ. № 14). როგორც

უკვე ვთქვი, ჰვირნიშნების საერთაშორისო ინგლისური ინდექსით ამ ჰვირნიშანს ეწოდება „Three Crescents“. რუსულად ჰვირნიშანს ძალიან იშვიათად უწოდებენ—„Три луны“. უფრო ხმარებაშია სახელწოდება—„Три полумесяца“ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ჰვირნიშანს შეცდომით „სამ ნახევარმთვარეს“ უწოდებენ, რაც სწორი არ არის. „ნახევარმთვარე“ რუსულის კალკია. ქართულმა ენამ არ იცის ასეთი გამოთქმა—„ნახევარმთვარე“. არსებობს „სავსე მთვარე“ და „ნამგალა მთვარე“. გარდა ამისა, ფილიგრანოლოგიაში არ არსებობს „ნამგალა მთვარე“ (ე. წ. „ნახევარმთვარე“) და ამის საპირისპიროდ — „სავსე მთვარე“. ფილიგრანოლოგიაში არსებობს „მთვარე“ და „წრე“. ფილიგრანოლოგიის „მთვარე“ ყველა ნამგალაა; ამიტომ განასხვავებენ „მთვარესა“ და „წრეს“, როგორც სულ სხვადასხვა ჰვირნიშნებს.

ჰვირნიშნის ცნობილი სახელწოდების („Tre lune“) და მიღებული საერთაშორისო ინდექსის („Three Crescents“) მიხედვით, ქართულად ამ ჰვირნიშანს მარტივად „სამი მთვარე“ უნდა ეწოდოს.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურას „სამი მთვარე“ ჯერ არ შეუსაწველია.

„სამი მთვარის“ ერთი ნიმუში პირველად გამოაქვეყნა კ. ტრომონინმა 1780 წლის ხელნაწერიდან³.

დიდი პალეოგრაფის ს. ბრიკეს ალბომში, რომელიც მე-13—16 საუკუნეების ჰვირნიშნების ცნობარია, „სამი მთვარე“ არ არის. მაგრამ ს. ბრიკემ კარგად იცის ამ ჰვირნიშნის არსებობა. თავის შრომაში იგი წერს:

„მთელი მე-17—18 საუკუნეების მანძილზე ძალიან დიდია ქაღალდის რაოდენობა ჰვირნიშნით—„სამი მთვარე“. ეს მთვარეები პორიზონტალურად არიან განლაგებულნი ერთი მეორის მიდევნებით და თანდათანობით ზომით მცირდებიან. ბევრ მათგანს ახლავს ვენეციური კონტრამარკები. ეს ქაღალდი ცნობილი იყო „Tre lune“-ს სახელწოდებით და სპეციალურად მზადდებოდა ლევანტისათვის⁴.

1604 წლის რუმინული ხელნაწერის „სამი მთვარე“ (ე. ი. ჰვირნიშნის ძალიან ადრეული ნიმუში) აღწერილი აქვს ჰამდელუს და იგივე ნიმუში მოყვანილი აქვს ნ. პ. ლიხაჩოვს თავის პირველ წიგნში⁵.

გერმანელი პალეოგრაფი ფრანც ბაბინგერი იცნობს ამ ჰვირნიშანს 1678 წლის სირიული ხელნაწერიდან⁶.

ნ. პიგულევსკაია ასახელებს ამ ჰვირნიშანს (ამოხატული არა აქვს)—1794, 1801, 1805, 1894 (sic!) წლების სირიული ხელნაწერების ლენინგრადის ფონდებიდან. „სამი მთვარის“ ნიმუშები გამოქვეყნებული აქვს ედ. ჰიუდსს (Edward Heawood, M. A.). დაბოლოს, ბულგარელ მეცნიერს ვს. ნიკოლაევს ამოხატული აქვს „სამი მთვარის“ ნიმუშები მე-17, მე-18 საუკუნეების თურქული დოკუმენტებიდან.

ამგვარად, სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურით ცნობილია, რომ

³ Корнилий Тромонин, Знаки писчей бумаги, М., 1844, № 556.

⁴ Briquet C. M. Les Filigranes. ტ. 11, გვ. 315.

⁵ Н. П. Лихачев, Бумага и древнейшие бумажные мельницы в Московском государстве. СПб., 1891, № 759.

⁶ F. Babinger. Papiererzeugung, № 59.

ჰვირნიშანი „სამი მთვარე“ საუკუნეების მანძილზეა გავრცელებული ბალკანეთისა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში.

მე გადავთვალე იერ ხელნაწერთა ინსტიტუტის თურქული და სპარსული ხელნაწერი ფონდები. გამოირკვა, რომ ამ ხელნაწერების ჰვირნიშნებში ყველაზე უფრო ხშირად „სამი მთვარე“ გვხვდება. ერთ-ერთი ქართული ხელნაწერი A—66 გადაწერილია საბერძნეთში. ამ ხელნაწერის ძირითადი ჰვირნიშანია—„სამი მთვარე“, ხოლო ხელნაწერის გადაწერის თარიღებია 1710 და 1728—1739 წლები.

ქართული ხელნაწერების შესწავლამ გამოარკვია, რომ ჰვირნიშანი „სამი მთვარე“ ქართულ ხელნაწერებში გამუდმებით გვხვდება მე-17 და მე-18 საუკუნეების მანძილზე. იგი არის ჰვირნიშანი „დომინანტი“ ქართულ ხელნაწერებში.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან მისი რაოდენობა თანდათანობით მცირდება, მაგრამ მაინც ჩანს ამ საუკუნის დასასრულამდე, ვიდრე საბოლოოდ არ გაქრა იტალიურ ქალაქთან ერთად. მე-19 საუკუნის დამდეგიდან საქართველოში რუსული ქალაქი გაბატონდა.

გვხვდება თუ არა ჰვირნიშანი „სამი მთვარე“ უადრეს მე-17 საუკუნისა? ბრიკე და განსაკუთრებით ვს. ნიკოლაევი უარყოფენ „სამი მთვარის“ არსებობას მე-16 საუკუნეში. ვს. ნიკოლაევის სიტყვები რომ გავიმეოროთ:

В XVI в. не встречаются не отдельные полумесяцы, ни комбинации из двух или трех полумесяцев!...

„სამი მთვარე“ არ ჩანს არა მარტო მე-16 საუკუნის მანძილზე. მე დიდი რუდუნებით შევისწავლე მე-16 საუკუნის დასასრულისა და მე-17 საუკუნის დამდეგის ქართული ხელნაწერები და მათი ჰვირნიშნები. გამოირკვა, რომ მე-16, მე-17 საუკუნეთა მიჯნაზე „სამი მთვარე“ ქართულ ხელნაწერებში არ ჩანს. „სამი მთვარე“ გამუდმებით, ინტენსიურად გვხვდება მხოლოდ 1620-იან 1630-იანი წლებიდან.

საგულისხმო ფაქტია. ყველა უთარბლო ქართული ხელნაწერი, რომელიც გადაწერილია „სამ მთვარიან“ ქალაქზე და მე-16 საუკუნის ხელნაწერებადაა მიჩნეული, უნდა გადათარიღდეს უფრო ზუსტი პალეოგრაფიული მონაცემების საფუძველზე.

მიუხედავად ყველა ამისა, არის გამოჩაჩისი შემთხვევები, რომლებიც საჭიროა აიხსნას და განიმარტოს. მეცნიერული სიზუსტე მოითხოვს აღწერსო ყველა ეს გამოჩაჩისი შემთხვევა. ეს ნათელს მოფენს ერთ საკითხსაც: იქნებ „სამი მთვარე“ თავის არსებობას უფრო ადრე იწყებს, ვიდრე ეს ჰვირნიშანი გაბატონდებოდეს 1630-იანი წლებიდან. როგორც წესი, საერთოდ ასეც ხდება. მაგრამ ყველა ადრეული შემთხვევა „სამი მთვარისა“ ყოველმხრივ შესაძლებელია, თუნდაც იმიტომ, რომ დავადგინოთ ამ ჰვირნიშნის ქრონოლოგიის დასაწყისი.

ყველაზე ადრე „სამი მთვარე“ შემხვდა ქუთაისის მუზეუმის 1541 წლის № 596 თარიღიან ხელნაწერებში. „სამი მთვარის“ ასეთი ადრეული გამოჩენა მეტად საეჭვოა. უსათუოდ ანაქრონიზმია. საქმე ის არის, რომ ჰვირნიშანი გვხვდება ხელნაწერის მხოლოდ ათიოდე განსხვავებულ ქალაქზე. ხელნაწერში ეს ფურცლები გვიანდელი ჩანამატი უნდა იყოს. თუმცა ხელნაწერის გამამწერის

ხელი თითქოს, ერთი და იგივეა. ეს ვითარება წამბაძველობით შეიძლება ახსნას. გარდა ამისა, ხელნაწერში „სამი მთვარე“ გვხვდება არა ცალკე ჰვირნიშნად, არამედ სხვა ჰვირნიშნთან ერთად, ერთ ფურცელზე. ე. ი. ჩვენს ხელთ არის ერთი ფურცლის ორმაგი დაჰვირნიშნების ნიმუში. ფილიგრანოლოგიაში ეს მოვლენა ცნობილია როგორც—„Двойная маркировка“ რუსულად და Double marking—ინგლისურად. აი, ორმაგი დაჰვირნიშნების ნიმუში 1541 წლის ქუთაისის ხელნაწერისა (იხ. ქვ. ნ. № 15).

ორმაგი დაჰვირნიშნება ქართულ ხელნაწერებში ჩანს გვიან, მე-17 საუკუნის დასასრულიდან. ამიტომაც შეუძლებელია „სამი მთვარის“ ჩვენი ნიმუში—1541 წლის ჰვირნიშნად მივიჩნიოთ. გარდა ამისა, ჰვირნიშანი „გვირგვინი ვარსკვლავ-მთვარით“, გვხვდება აგრეთვე მე-17 საუკუნიდან, ხოლო „გვირგვინის“ ასეთი ნიმუში შემხვდა კიდევ მხოლოდ ერთხელ, მე-12 საუკუნის H—2120 ეტრატის ხელნაწერში. ეს ხელნაწერი ბიჰვინტის სახარებაა, რომელშიც გვიან მე-17 საუკუნეში ჩაუმატებიათ ახლა ძლიერ დაფლეთილი ერთი ფურცელი ქალაღი.

ამ დაზიანებული ფურცლის ჰვირნიშანი—„გვირგვინი“... ძალიან მოგვაგონებს 1541 წლის ჰვირნიშანს (იხ. ქვ. ნ. № 16). შემდეგ ადრეული „სამი მთვარე“ შემხვდა საქ. სახ. საისტ. არქივის 1448 ფონდის № 1539 დოკუმენტში. საბუთო თარიღიანია—1552 წლისა: „დაიწერა ეს წიგნი მარიამობის თხუთმეტს, ქს სმ [1552 წ.]. საბუთის რაობაა: „მიწის ნასყიდობის წიგნი მიცემული დავითა დიარაშვილის მიერ ომან იანდარაშვილისათვის“.

ვფიქრობ, საბუთი უფრო გვიანდელი უნდა იყოს. შესაძლოა ცთომილება ქორონიკონში. უნდა ყოფილიყო ტმ და არა სმ. სხვა პალეოგრაფიული მონაცემებიც — ქალაღი, ხელი — მე-17 საუკუნეს მიუთითებს.

არის კიდევ ერთი ანაქრონიზმი: ხელნაწერთა ინსტიტუტის Ad ფონდის № 614 დოკუმენტის ქალაღზე აღმოჩნდა დახვეწილი მოხაზულობის „სამი მთვარე“. საბუთის რაობაა „სოფლის (ვეძისხევის) წყალობის წიგნი მიცემული მეფე ალექსანდრეს მიერ მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიისათვის.“ „დაიწერა წიგნი ესე ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა ი ე ქს ს მ თ ხელითა წინამძღურისა ვანნაძის იოსებისათა“.

აღსანიშნავია, რომ ქორონიკონით დოკუმენტი 1561 წლისაა, ხოლო ინდიკტიონით — 1589 წლისა. ეს უკვე ბადებს გაუგებრობას, მით უმეტეს დოკუმენტის „სამი მთვარე“ საბუთის თარიღებს კიდევ უფრო საეჭვოს ხდის.

მე-16 საუკუნის „სამი მთვარის“ მაგალითი სხვა არ შემხვედრია. ზემოთ მოყვანილი რამდენიმე საეჭვო გამონაკლისი ვერ გააქარწყლებს მტკიცედ გამორკვეულ დებულებას: მე-16 საუკუნეში „სამი მთვარის“ არსებობა უარსაყოფია.

არის „სამი მთვარის“ კიდევ ერთი ადრეული დადასტურება—1601 წლისა. საქ. სახელმწ. საისტ. არქივის 1448 ფონდის № 1493 დოკუმენტის ქალაღზე იჰვირება, როგორც „სამი მთვარე“, აგრეთვე მეორე ჰვირნიშანიც—„გვირგვინი ვარსკვლავ-მთვარით“. ეს დოკუმენტი ქალაღის ორმაგი დაჰვირნიშნების კიდევ ერთი ნიმუშია. ეს ფაქტი საფუძველს გვაძლევს უარყოფით დოკუმენტის თარიღი. საბუთი 90, 100 წლით უფრო გვიანდელია. ამის შესახებ ქვემოთ ვიტყვი, როცა სპეციალურად ორმაგი დაჰვირნიშნების გამო მექნება საუბარი.

რა დროიდან უნდა ვივარაუდოთ ჰვირნიშანი „სამი მთვარე“? ქართული

ხელნაწერების შესწავლის საფუძველზე შეიძლება მოკლედ ითქვას: „სამი მთვარე“ არ გვხვდება უადრეს 1610-იანი წლებსა; უფრო მეტიც, ჭვირნიშანი „სამი მთვარე“ 1610-იან წლებში მხოლოდ საეარაუდებელია. საქმე ის არის, რომ 1610-იან წლებში ქართულ ხელნაწერებში რამდენიმეჯერ აღმოჩნდა ჭვირნიშანი „გვირგვინი ვარსკვლავ-მთვარი“, ხოლო ეს ჭვირნიშანი იგივე ქალაქის ფირიშული ნიშანია, როგორც „სამი მთვარე“. ეს ორი ნიშანი დაახლოებით ერთდროულად ერთ და იმავე ქალაქში გაჩნდა და ერთმანეთის პარალელურად საუკუნეზე მეტი დროის მანძილზე იხმარება.

„სამი მთვარის“ ყველაზე ადრეული ნიმუშები მე შემხვდა მხოლოდ 1620-იან წლებში. კერძოდ: 1623 წლის Hd—9446 დოკუმენტში; 1624 წლის Ad—1756 დოკუმენტში; 1628 წლის Hd—3164 დოკუმენტში.

1630-იან წლებში კი ჭვირნიშანი „სამი მთვარე“ უკვე დომინანტი ჭვირნიშანია. მე-17 და მე-18 საუკუნეების მანძილზე ქართულ ხელნაწერებში „სამი მთვარე“ განუწყვეტლივ გვხვდება და მეტად დიდი რაოდენობით.

ახლა უნდა დაისვას საკითხი, შესაძლებელია თუ არა „სამი მთვარე“ კლასიფიკაციის ან ქრონოლოგიის რაიმე პრინციპს დაექვემდებაროს?

„სამი მთვარის“ მოხაზულობა მეტად მარტივია, მისი რაოდენობა ძალიან დიდია, ხოლო მისი არსებობის დრო მეტად ხანგრძლივია—200 წელიწადი მანძილზე.

საერთოდ ჭვირნიშნის ყოველ ცალკეულ სახეობას აქვს თავისი კლასიფიკაციის პრინციპი. ჭვირნიშნის კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპი უნდა იყოს თვალსაჩინო და მარტივი. ჭვირნიშნების კლასიფიკაციასა და ქრონოლოგიას შორის ურთიერთ კავშირია. კლასიფიკაცია ჭვირნიშნის არსებითი ნიშნის ქრონოლოგიურ ცვლილებებს ეყრდნობა, ე. ი. ქრონოლოგია უნდა აისახოს ჭვირნიშნის კლასიფიკაციაში და ერთდროულად კლასიფიკაცია გვაძლევს ქრონოლოგიას.

ჭვირნიშნების კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპები შემუშავებული აქვს ფილიგრანოლოგიის ფუძემდებელს—ს. ბრიკეს. რადგან ს. ბრიკეს ჭვირნიშნების ალბომი XIII—XVI საუკუნეებს მოიცავს, ამიტომ ცხადია „სამი მთვარე“ ბრიკეს ალბომში საერთოდ არ არის. „სამი მთვარის“ ნიმუშები გამოკვეყნებული აქვთ (როგორც ეს უკვე აღვნიშნე) ედვარდ პიველსა და ვს. ნიკოლაევს. მაგრამ არც ერთს არ უცდია „სამი მთვარის“ კლასიფიკაციის პრინციპისათვის მიეგნო. „სამი მთვარე“ კლასიფიკაციის გარეშე დარჩა. უფრო მეტიც, ვს. ნიკოლაევი ვენეციური ჭვირნიშნების კლასიფიკაციის შესახებ ამბობს:

„Единственной классификацией, которую мы можем воспринять для водяных знаков старых турецких документов, является классификация по времени, т. е. по эпохам, потому что, пока еще почти невозможно установить место, где производилась доставляемая Венецией бумага⁸“

ვს. ნიკოლაევის თვალსაზრისის გამო მხოლოდ სინანული შეიძლება გამოითქვას. ამ თვალსაზრისმა თავისი შედეგიც გამოიღო: ვს. ნიკოლაევმა თავის ალბომში გამოაკვეყნა თარიღიანი „სამი მთვარეების“ საკმაოდ დიდი რაოდენობა. შედეგი—არავითარი. შეუძლებელია ამ თარიღებით სარგებლობა, რად-

⁸ В с. Н и к о л а е в , Водяные знаки Османской империи, София, 1954, стр. 21.

გან არავითარი გარანტია არ არის იმისა, რომ ესა თუ ის „სამი მთვარე“ სწორედ ჩვენი საძიებელი „სამი მთვარეა“ და არა სხვა რომელიმე ნიმუში.

ამგვარად ცხადია, უმარტივესი მოხაზულობის „სამი მთვარე“ ურთულესი ჭვირნიშანია კლასიფიკაციის თვალსაზრისით. „სამი მთვარის“ კლასიფიკაციური სისტემის შექმნა ჯერ არავის უცდია.

იქნებ მე ვცადო.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინუსხოს „სამი მთვარის“ დამახასიათებელი ნიშნები. რა განსხვავებებს „სამ მთვარეს“ სხვა ჭვირნიშნებისაგან?

ყველა ჭვირნიშანი ერთი ემბლემატური გამოსახულებაა. „სამი მთვარე“—სამი დამოუკიდებელი, ერთმანეთს დაცილებული სამი ემბლემატური გამოსახულების ერთობლიობაა. ეს არის „სამი მთვარის“ ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი.

ყველა ჭვირნიშანი მეტ-ნაკლებად რთული ემბლემატური გამოსახულებაა. ამიტომ მსგავსი და განსხვავებული ნიმუშები—თვალსაჩინოა. პირველი „სამი მთვარის“ მოხაზულობა სადა და მარტივია, ხოლო მსგავსი და განსხვავებული ნიმუშების გამოცნობა შეუძლებელია.

ყველა ჭვირნიშანი დროთა მანძილზე ჰკარგავს რაიმე დამახასიათებელ ნიშანს და იძენს რაიმე ახალს. „სამი მთვარე“ მეტად ხანგრძლივი დროის მანძილზე ხშირად არაფერს ჰკარგავს და არაფერს იძენს.

ვენეციურ ჭვირნიშნებს ძალიან ხშირად ახლავთ ლიტერული ნაწილი ანუ კონტრმარკა. „სამ მთვარეს“, ხშირად, ლიტერი ანუ კონტრმარკა არ ახლავს. გარდა ამისა, განსხვავებული მოხაზულობის სამ მთვარეს ზოგჯერ ერთი და იგივე კონტრმარკა ახლავთ. ს. ბრიკე სამი მთვარეების კონტრმარკებს უსათუოდ მნიშვნელობას ანიჭებდა, მგარამ ცხადია კონტრმარკა საქმეს არ შევლის.

რაოდენობის თვალსაზრისით „სამი მთვარე“ ყველა ჭვირნიშანს აჯარბებს. ყველა ჭვირნიშანს აქვს დალაგების თანამიმდევრობის პრინციპი, რათა საძიებელი ჭვირნიშნის ნაირსახეობა სწრაფად მოიძებნოს. რა პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ, რომ „მთვარეები“ დავალაგოთ და ამ ზეივა ჭვირნიშნებში საძიებელი ნაირსახეობა ვიპოვოთ?

საერთოდ, საკითხი ასე დგას: როგორ ამოვიცნოთ მსგავსი და განსხვავებული „სამი მთვარის“ ნიმუშები?

„სამი მთვარის“ კლასიფიკაციის პრინციპმა უნდა მოაგვაროს ყველა ეს საკითხი.

რადგან „სამი მთვარე“ საქართველოში, 200 წლის მანძილზე, მეტად მრავალფეროვანია, ამიტომ, ცხადია, ეს მრავალფეროვნება კლასიფიკაციაშიც უნდა აისახოს. „სამ მთვარეს“, როგორც სხვა ჭვირნიშნებსაც, არ შეიძლება ჰქონდეს კლასიფიკაციის ერთადერთი პრინციპი.

მაგრამ „სამი მთვარის“ კლასიფიკაციისათვის ძირითადი პრინციპი აუცილებელია.

როგორც უკვე ვთქვი, „სამი მთვარე“ სამი ემბლემატური გამოსახულების სხვადასხვანაირი ერთობლიობაა. „სამი მთვარის“ სამი კომპონენტი დროთა მანძილზე ჰქმნის მოძრაობის შთაბეჭდილებას ანუ განუწყვეტლივ იცვლის თავის მდებარეობას ფურცელზე.

ფილოგრაანოლოგიაში კლასიფიკაციის პრინციპად ჭვირნიშნის მოხაზულობას იყენებენ. ამ დროს ცდილობენ მიაგნონ ჭვირნიშნის ემბლემატულის ყველა-

ზე თვალსაჩინო და ქრონოლოგიურად არსებით ნიშანს. ე. ი. ფილიგრანოლოგიაში კლასიფიკაციის პრინციპი მხოლოდ ერთია—ჰვირნიშნის მოხაზულობა.

“შეიძლება თუ არა „სამი მთვარე“ იყოს გამონაკლისი ამ საერთო წესიდან? ვფიქრობ, რომ შეიძლება.

ამგვარად, „სამი მთვარის“ კლასიფიკაციის ძირითად პრინციპად მე ვიყენებ არა ჰვირნიშნის მოხაზულობას. არამედ ჰვირნიშნის განლაგებას ფურცელზე. იმის მიხედვით, თუ რა მდებარეობისაა „სამი მთვარე“ ფურცელზე. გვექნება ჰვირნიშნის სხვადასხვა ნაირსახეობა. ნაირსახეობათა სხვადასხვაობა შეუძლებელია ბევრი იყოს, ამიტომ „სამი მთვარის“ უამრავი რაოდენობა გასაოცრად შემოიკრება. ეს გაადვილებს მის პრაქტიკულ გამოყენებას.

„სამი მთვარის“ ჩემი კლასიფიკაციის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქაღალდის შეუღლებს ანუ პონტიუზოებს. როგორია „სამი მთვარის“ განლაგება ამ შეუღლებს შორის, ანუ შეუღლების როგორ „გალიაშია“ მოქცეული „სამი მთვარე“? აი, პრინციპი რომელიც საფუძვლად დაედო „სამი მთვარის“ კლასიფიკაციას.

ამ პრინციპის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ იგი შესაძლებლობას მოგვცემს „სამი მთვარის“ უამრავი რაოდენობა საერთო მნიშვნელს დაუფქვემდებაროთ; დაეჯგუფოთ მსგავსი და განსხვავებული „მთვარეები“; ამავე დროს, „სამი მთვარის“ კლასიფიკაციის ეს პრინციპი, თავის მხრივ, მეტად მარტივი და თვალსაჩინოა.

ახლა ისლა დაგვიჩვენია, მაგალითებით ცხადვით „სამი მთვარის“ კლასიფიკაციის პრინციპი. ერთდროულად შევეცდები დავიცვა „სამი მთვარის“ კლასიფიკაციის სისტემა და თანამიმდევრობა.

I ჯგუფი. პირველ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ „სამი მთვარის“ უმარტივესი სახეობა. „სამი მთვარე ზუსტად სამ უჯრედში, ოთხ ვერტიკალს შორის. არც ერთი მთვარე შეუღლებით არ იკვეთება (იხ. ჰვ. № 17).

ჰვ. ნ. № 17 დასტურდება Hd-3199, 1692 წლის დოკუმენტზე. დოკუმენტის რაობა: თვენასყიდობის წიგნი მიცემული ივანა და პაპუნა ქურდაძეების მიერ როსაბ მაჭავარიანისათვის.

„დაიწერა ეს წიგნი მისის ნახევარს. ქკს ტპ“.

საბუთი გამოქვეყნებულია (დოკუმენტები საქ. სოც. ისტ. 1. № 609).

მაგრამ „სამი მთვარის“ ამ უმარტივესი სახეობის გარდა, ოთხ შეუღლს შორის მთვარეების განლაგების სხვადასხვა ნაირსახეობა გვაქვს. უპრიანია, თვითელი ნაირსახეობა ცალ-ცალკე ჯგუფებს მივაკუთვნოთ.

II ჯგუფი. „სამი მთვარე“ ზუსტად ოთხ ვერტიკალს შორის (ე. ი. იწყება პირველი ვერტიკალით და თავდება მეოთხე ვერტიკალით). შეუღლებით შეიძლება იკვეთებოდეს პირველი ან მეორე მთვარე. მესამე მთვარე არც ერთ შემთხვევაში არ იკვეთება. აქ ორი ნიმუში შეიძლება მოვიტანოთ: ერთ შემთხვევაში შეუღლით იკვეთება მხოლოდ პირველი მთვარე (იხ. ჰვ. ნ. № 18). ეს ჰვირნიშანი დასტურდება A—131 უთარილო ხელნაწერში. მეორე შემთხვევაში შეუღლებით იკვეთება პირველი და მეორე მთვარე (იხ. ჰვ. ნ. № 19 და ჰვ. ნ. № 20), აღნიშნული ჰვირნიშანი დასტურდება A-105, 1697 წლის ხელნაწერში და ცსსა ფ. 1448, № 91, 1692 წლის დოკუმენტზე.

III ჯგუფი. „სამი მთვარე“ ოთხ შეუღლს შორის. იწყება პირველი შეუღლიდან. მაგრამ ვერ აღწევს მეოთხე შეუღლამდე. ამ ჰვირნიშნის ორიგინალური

ნიმუში დასტურდება H-579, 1646 წლის უძველეს თარიღიან ვეფხისტყაოსნის ხელნაწერში. ვერტიკალებით იკვეთება პირველი და მე-3 მთვარე (იხ. ქვ. ნ. № 21).

არის ამ ჭვუფის განსხვავებული ნიმუშიც. ვერტიკალით იკვეთება მხოლოდ პირველი მთვარე. ამის მაგალითია A-131 ხელნაწერის „სამი მთვარე“ კონტრ-მარკით (იხ. ქვ. ნ. № 22).

უკვე აღვნიშნე, რომ „სამი მთვარის“ კონტრმარკა „სამი მთვარის“ კლასიფიკაციის პრინციპად არ გამოდგება. უპირატესობას ვანიჭებ ვერტიკალებს ანუ შვეულებს შორის მთვარეების განლაგებას. ვერტიკალებს შორის მთვარეების განლაგება ქმნის განსხვავებას. ეს განსხვავება თვალსაჩინოა. ხოლო კლასიფიკაციის პრინციპი საერთოა და ძირითადი. მაგრამ საერთო და ძირითად პრინციპს სრულებით არ უშლის ხელს კონტრმარკა ანუ ლიტერი. ერთი მაგალითი: ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდის № 1249 ხელნაწერში გვხვდება ჰეირნიშანი „სამი მთვარე“ კონტრმარკით. ეს „სამი მთვარე“ განეკუთვნება მე-3 ჭვუფს, ანუ ჰეირნიშანი განლაგებულია ოთხ ვერტიკალს შორის, იწყება პირველი ვერტიკალიდან და ვერ აღწევს მე-4 ვერტიკალს. ვერტიკალით იკვეთება მხოლოდ პირველი მთვარე. მაგრამ ასეთი განლაგების „სამი მთვარე“ აგრეთვე შეიძლება ბევრი იყოს. საქმეს შველის კონტრმარკა, ამ შემთხვევაში ლიტერი ჩიტით (იხ. ქვ. ნ. № 23).

ეს. ნიკოლაევის ცნობარში იგივე ჰეირნიშანი იმავე ლატერით № 547—1771 წლით თარიღდება.

ამგვარად, კლასიფიკაციის პრინციპის წყალობით, ამ ჰეირნიშანს თავისი ადგილი ექნება ცნობარში და მისი მონახვა ძალიან გაადვილდება. აქ ერთდროულად იმოქმედებს ორი პრინციპი: 1. ჰეირნიშანი, ძირითადი ანუ ემბლემატური ნაწილის მიხედვით უნდა ვეძებოთ მე-3 ჭვუფში და 2. ჰეირნიშანის ლიტერული ნაწილის მეოხებით, სწრაფად ვიპოვნით საძიებელ ჰეირნიშანს. თუ უგულვებელყოფილია ძირითადი პრინციპი და კლასიფიკაციას საფუძვლად დაედო კონტრმარკა, როგორი თვალსაჩინოც არ უნდა იყოს ლიტერი (როგორც ამ კერძო შემთხვევაში), ჰეირნიშანის პოვნა მაინც გაძნელებდა სამი მთვარეების მეტად დიდი რაოდენობის გამო, თუ ეს მთვარეები ვერტიკალებს პრინციპით არ შევამცირეთ.

ამგვარად, სამი მთვარის კლასიფიკაციის პრინციპი ჰეირნიშანს ძირითადი ნაწილის — ემბლემატის — კლასიფიკაციაა. ემბლემატის კლასიფიკაციას ემორჩილება ჰეირნიშანის მეორე კომპონენტი — კონტრმარკა ანუ ლიტერი.

IV ჭვუფი. „სამი მთვარე“ კვლავ ოთხ ვერტიკალს შორის. მაგრამ მთვარეებს უკავიათ უმცირესი ადგილი შვეულებს შორის. კერძოდ ჰეირნიშანი არ იწყება პირველი ვერტიკალიდან და ვერ აღწევს მე-4 ვერტიკალს. ა. ი. ამ ჰეირნიშანის ნიმუში (იხ. ქვ. ნ. № 24).

ეს ჰეირნიშანი დასტურდება S-1594, 1647 წლის თარიღიან ხელნაწერში.

V ჭვუფი. „სამი მთვარე“ კვლავ ოთხ ვერტიკალს შორის. არ იწყება პირველი ვერტიკალით და თავდება მე-4 ვერტიკალით, იკვეთება ორი პირველი მთვარე, მესამე არა (იხ. ქვ. ნ. № 25). ეს ჰეირნიშანი დასტურდება ცსსა. ფ. 1448, № 88, 1651 წლის დოკუმენტზე. საბუთის რაობაა — ყმა-მამულის წყალობის წიგნი: შიციმული როსტომ მეფის მიერ პაპუნა ფავნელიშვილისათვის.

„დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ქსა ტლთ ჳელითა კარისა ჩუენისა მდივანის მარტიროზაშვილის შალვისითა“.

მე-5 ჳგუფის „სამი მთვარე“ აგრეთვე დასტურდება: Hd-9446, 1623 წლის დოკუმენტზე. საბუთის რაობაა—ყმა-მამულის წყალობის წიგნი მიცემული კათალიკოს ქრისტეფორეს მიერ საყდრისა კანდელაკ შიო ეგაძესათვის. „დაიწერა წიგნი და სიგელი ქსა ტია ხელითა ფრიად ცოდვილისა ხუციასითა“.

ვრცლად ამ საბუთის გამო იმიტომ ვთქვით, რომ იგი ჳერჯერობით უადრესი თარიღიანი საბუთია ჳვირნიშნით „სამი მთვარე“.

მე-5 ჳგუფის „სამი მთვარე“ აგრეთვე დასტურდება Ad-994, 1675 წლის დოკუმენტზე; Sd-60, 1676 წლის დოკუმენტზე; Hd-4083, 1690 წლის დოკუმენტზე; A-1345 და A-1350 უთარილო ხელნაწერებში.

ამით ამოწურულია „სამი მთვარის“ ყველა ვარიაცია ოთხ ვერტიკალს შორის.

„სამი მთვარის“ შემდეგ ჳგუფებს უნდა მივაკუთვნოთ „სამი მთვარის“ ისეთი ჳვირნიშნები, რომლებიც ოთხ ვერტიკალს სცილდებიან და ხუთ ვერტიკალს შორის თავსდებიან.

ხუთ ვერტიკალს შორის „სამი მთვარის“ განლაგების სხვადასხვა ნაირსახეობა შეიძლება გვქონდეს. თვითეული ნაირსახეობა ცალ-ცალკე ჳგუფებს უნდა მივაკუთვნოთ.

VI ჳგუფი. „სამი მთვარე“ სცილდება ოთხ ვერტიკალს (ე. ი. იწყება პირველი ვერტიკალით და მეტ-ნაკლებად სცილდება მე-4 ვერტიკალს), ვერ აღწევს მე-5 ვერტიკალს. ამ ჳგუფის „სამი მთვარე“ მე-2 ჳგუფის „სამი მთვარის“ ნიმუშებს მოგვაგონებს. ხშირად მათ შორის უმცირესი განსხვავებაა. ამიტომ კვლევა-ძიებისას საჭიროა მე-2 და მე-6 ჳგუფის სამი მთვარეები ერთმანეთს შევეუდაროთ და დავუპირისპიროთ. მათ შორის განსხვავება ზოგჯერ მინიმუმამდე დადის. მოღიჯანოთ ამ ჳგუფის ერთი მაგალითი (იხ. ჳვ. ნ. № 26). ეს „სამი მთვარე“ დასტურდება A-790 ხელნაწერში. ამ ჳგუფის „სამი მთვარეების“ რაოდენობა საკმაოაა. ქართული ხელნაწერებიდან ამოხატული მაქვს ამ „სამი მთვარის“ როგორც თარიღიანი, აგრეთვე უთარილო ნიმუშები.

VII ჳგუფი. „სამი მთვარე“ ხუთ ვერტიკალს შორის. არ იწყება პირველი ვერტიკალით, მაგრამ აღწევს მე-5 ვერტიკალს (იხ. ჳვ. ნ. № 27). ეს ჳვირნიშანი დასტურდება A-21 ხელნაწერში, XVII საუკუნის მე-2 ნახევრისა. ამ ჳგუფის კიდევ ერთი საინტერესო ნიმუში შეიძლება მოვიყვანოთ (იხ. ჳვ. ნ. № 28).

ეს ჳვირნიშანი დასტურდება Q-663, 1667 წლის ხელნაწერში.

VIII ჳგუფი. „სამი მთვარე“ ჳუსტად ხუთ ვერტიკალს შორის. იწყება პირველი ვერტიკალით და მთავრდება მე-5 ვერტიკალით. ასეთი „სამი მთვარე“ იშვიათად გვხვდება (უფრო სწორად, მე იშვიათად შემხვედრია). მიახლოვებით ამ ნიმუშის „სამი მთვარე“ (იხ. ჳვ. ნ. № 29). ეს ჳვირნიშანი დასტურდება A-186, 1653—55 წლების თარიღიან ქართულ ხელნაწერში.

IX ჳგუფი. „სამი მთვარე“ ხუთ ვერტიკალს შორის. არ იწყება პირველი ვერტიკალით და ვერ აღწევს მე-5 ვერტიკალს. ამ ჳგუფში „სამი მთვარის“ სხვადასხვანაირი ნიმუშები შეიძლება შეგვხვდეს, კერძოდ, ვერტიკალებით შეიძლება იკვეთებოდეს ან სამივე მთვარე ან პირველი ორი და მესამე არა (იხ. ჳვ. ნ. № 30 და № 31). ეს ჳვირნიშანი დასტურდება A-850, 1691 წლის

ხელნაწერში. ამ ჭგუფის „სამი მთვარე“ აგრეთვე დასტურდება H-1336, 1669 წლის ხელნაწერში; A-1476 უთარილო ხელნაწერში და სხვ.

ეს ჰვირნიშანი დასტურდება Sd-6, 1675 წლის დოკუმენტში. ამ ჭგუფის „სამი მთვარე“ აგრეთვე დასტურდება—A-105, 1697 წლის ხელნაწერში; Sd-628, 1696 წლის დოკუმენტზე; A-1476 უთარილო ხელნაწერში და სხვ.

ამით ამოწურულია „სამი მთვარის“ ყველა ნაირსახეობა ხუთ ვერტიკალს შორის.

„სამი მთვარე“ ექვს ვერტიკალს შორის უნდა მივაკუთვნოთ შემდეგ ჭგუფებს:

X ჭგუფი. „სამი მთვარე“ ექვს ვერტიკალს შორის არ იწყება პირველი ვერტიკალით და ვერ აღწევს მე-6 ვერტიკალს. ვერტიკალებით იკვეთება სამივე მთვარე (იხ. ჰვ. ნ. № 32). ჰვირნიშანი დასტურდება A-186, 1653—55 წლების ხელნაწერში.

XI ჭგუფი. „სამი მთვარე“ ექვს ვერტიკალს შორის. არ იწყება პირველი ვერტიკალით და მთავრდება მე-6 ვერტიკალით (იხ. ჰვ. ნ. № 33). ეს ჰვ. ნ. დასტურდება Q-663, 1667 წლის ხელნაწერში.

XII ჭგუფი. „სამი მთვარე“ შვიდ ვერტიკალს შორის. არ იწყება პირველი ვერტიკალით და არ თავდება მე-7 ვერტიკალით (იხ. ჰვ. ნ. № 34). ეს ჰვირნიშანი დასტურდება A-20, 1764 წლის ხელნაწერში.

XIII ჭგუფი. მე-18 საუკუნეში გვხვდება ერთი განსაკუთრებული სახის „სამი მთვარე“. მე-17 საუკუნეში ასეთი სახის „სამი მთვარე“ არ შემხვედრია. ამ გამოჩენის შემთხვევაში მთვარეები განლაგებულია ფურცელზე ვერტიკალების მიმართულებით. მთვარეების ასეთი განლაგება მე-18 საუკუნის ხელნაწერებში საკმაოდ ხშირად გვხვდება. აი, ამ ჭგუფის ერთი ნიმუში. (იხ. ჰვ. ნ. № 35). ეს ჰვ. ნ. დასტურდება A-16, 1737—39 წლების ხელნაწერში. დაბოლოს „სამი მთვარის“ განსხვავებული განლაგების ნიმუშები XIV ჭგუფად შეიძლება გამოვყოთ.

XIV ჭგუფი. „სამი მთვარე“ ერთმანეთში გადახლართული (იხ. ჰვირ. ნ. № 36). ეს ჰვირნიშანი დასტურდება A-382 ხელნაწერის 306 და 242 ფურცლებზე. რა დროს განეკუთვნება ეს ჰვირნიშანი გაურკვეველია.

ამავე ჭგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ სხვა განსაკუთრებული მოხაზულობის სამი მთვარეები, სადაც უპირატესობა ენიჭება არა ვერტიკალებს შორის მთვარეების განლაგებას, არამედ თვით მთვარეების ემბლემატიკურ თავისებურებას. ერთ-ერთი ასეთი „სამი მთვარის“ ნიმუშია ჰვ. ნ. № 37. ეს „სამი მთვარე“ დასტურდება A-394 ხელნაწერში. „სამი მთვარის“ ეს ნიმუში მე-18 საუკუნისაა.

ამგვარად. „სამი მთვარის“ კლასიფიკაციის დროს მთავარი ყურადღება ექცევა ჰვირნიშნის ემბლემატურ ნაწილს. ემბლემატიკის სხვადასხვაობას ვერტიკალების საშუალებით ვგებულობთ. ლიტერს ანუ კონტრმარკას დამხმარე მნიშვნელობა ეძლევა.

რა თქმა უნდა, ვერტიკალებს შორის მთვარეების განლაგების ყველა შესაძლებელი ვარიაცია ამოწურული არ არის, მაგრამ შესაძლებლობის ფარგლებში ყველა ძირითადი ვარიაცია აღწუნსხვ. რომელიმე ახალი ვარიაციის აღსანუსხავად ძნელი აღარ იქნება გამოაყოს ცალკე ჭგუფი.

ამგვარად, „სამი მთვარის“ კლასიფიკაციის პრინციპი ემბლემატიკის ცვლილებებს ეყრდნობა. ე. ი. ემბლემატიკის ცვლილება კლასიფიკაციაში უნდა აისახოს. „სამი მთვარის“ ემბლემატიკური ცვლილებანი კი სხვადასხვანაირია. საჭიროა აღინუსხოს ყველა ეს განსხვავებული შემთხვევა.

1. მე-18 საუკუნის მანძილზე ქართულ ხელნაწერებში „სამი მთვარე“ გვხვდება საკუთარი ზედწოდებით— „Tre lune“. ამის შესახებ ზემოთ უკვე ვთქვი. რადგან ჰვირნიშნის ზედწოდება ჰვირნიშნის ემბლემატიკის განუყოფელი ნაწილია, ამიტომ შეუძლებელია ამ ჰვირნიშნის მოთავსება რომელიმე უკვე არსებულ ჯგუფში. ასეთი ტიპის ჰვირნიშნები ცალკე ჯგუფად უნდა გამოიყოს და ამ ჯგუფში „სამი მთვარის“ ზედწოდებით „Tre lune“ ყველა ვარიაცია გაერთიანდეს.

აი, ამ ჰვირნიშნის ერთი ნიმუში (იხ. ჰვ. ნ. № 38). ეს ჰვირნიშანი დასტურდება A-267, 1778 წლის ხელნაწერში. აღსანიშნავია, რომ ამ ჰვირნიშნის ერთ-ერთი ნიმუში ვს. ნიკოლაევს თავის ალბომში, № 151, დათარიღებული აქვს 1604 წლით, რაც აუცილებლად შეცდომაა. ასეთი მთვარეები თავისი ზედწოდებით მე-17 საუკუნის ქართულ თარიღიან და უთარიღო ხელნაწერებში არ შემხვედრია.

2. „სამი მთვარე“, ზოგჯერ გვხვდება დამატებითი ნიშნით ემბლემატიკაში (უშეტეს შემთხვევაში ლიტერით) ეს დამატებითი ნიშანი, რა თქმა უნდა, ემბლემატიკის განუყოფელი ნაწილია. ლიტერებად გვხვდება ლათინური ასოები— A; B; C; D და ა. შ. სხვა.

ასეთი სამი მთვარის (დამატებითი ლათინური ასოებით) მოთავსება რომელიმე უკვე არსებულ ჯგუფში გაუმართლებელი იქნებოდა. ასეთი სამი მთვარე უნდა მოთავსდეს ცალკე ჯგუფში ლათინური ასოების ლათინური ანბანის თანამიმდევრობით. ნიმუშად მოვიტანოთ ერთი მაგალითი (იხ. ჰვ. ნ. № 39) ეს ჰვირნიშანი დასტურდება A-111 ხელნაწერ გულანში.

3. მე-17 საუკუნის დასასრულიდან (ან იქნებ ცოტა უფრო ადრეც) და მე-18 საუკუნის მანძილზე, ქართულ ხელნაწერებში ხშირად გვხვდება „სამი მთვარე“ დამატებით ჰვირნიშანთან ერთად, ერთ ფურცელზე. ეს მოვლენა ორმაგი დაჰვირნიშნების სახელითაა ცნობილი. ამის შესახებ ინგლისელი პალეოგრაფი ედვარდ ჰიუუდი (Edward Heawood) აღნიშნავს:

„გაუგებარია რას ემსახურებოდა ორმაგი დაჰვირნიშნება, ოღონდ შესაძლოა ერთი ჰვირნიშანი ის არის, რომელსაც ჩვეულებრივ ქალაქის ოსტატი ხმარობდა, ხოლო მეორე ჰვირნიშანი ან დამკვეთის ან ქარხნის მეპატრონის პატივისცემის ნიშნად კეთდებოდა“⁹.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ერთ ფურცელზე ორი ჰვირნიშნის არსებობა ნიშნავს ამ ჰვირნიშნების ერთობლიობას. არ შეიძლება ეს ჰვირნიშნები ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან განცალკევებით განიხილებოდეს. ამავდროულად, ერთ ფურცელზე ორი ჰვირნიშანი ერთ ძირითად და მეორე დამატებით ჰვირ-

⁹ It is not quite clear what object was served by the double marking, but possibly one mark was that usually adopted by the maker, the other being put on at the order of the purchaser, or in honour of the patron of the mill ... (Watermarks mainly of the 17 th and 18 th centuries. გვ. 38).

ნიშანს აღნიშნავს. რადგან „სამი მთვარე“ მოთავსებულია ერთი ფურცლის მარცხენა (ე. წ. „Foolscap size“) ნახევარზე, ე. ი. ჰვირნიშნის ემბლემატურა ნაწილის ადგილას, ამიტომ ორ სხვადასხვა ჰვირნიშანში „სამი მთვარე“ ძირითადი ჰვირნიშანი იქნება, ხოლო ფურცლის მარჯვენა ნახევარზე, ე. ი. კონტრ-მარკის ნახევარზე მოთავსებული მეორე ჰვირნიშანი — დამატებითი. ასეთ „სამ მთვარეს“, დამატებით ჰვირნიშანთან ერთად, როგორც წესი, კონტრმარკაც ახლავს.

აქ განმარტებისათვის უნდა ითქვას: ვენეციური ჰვირნიშანი, გამონაკლისის გარეშე, ყოველთვის მოთავსებულია მთლიანი ფურცლის მარცხენა ნახევარზე, ხოლო ვენეციური ჰვირნიშნის კონტრმარკა ანუ ლიტერი, უმეტეს შემთხვევაში, ფურცლის მარჯვენა ნახევარზე, ფურცლის კიდეში.

მოვიტანოთ ორმაგი დაჰვირნიშნების რამდენიმე მაგალითი:

Q—ფონდის 1736 წლის № 56 ხელნაწერში დასტურდება „სამი მთვარე“ დამატებითი ჰვირნიშნით: „გვირგვინი ვარსკვლავ-მთვარით“ და კონტრმარკით — ლათინური ასო Z (ზეტი) (იხ. ჰვ. ნ. № 40).

H—ფონდის № 986 ხელნაწერში დასტურდება „სამი მთვარე“ დამატებითი ჰვირნიშნით „მშვილდ-ისარი“ და კონტრმარკით—ლათინური ასო Z (იხ. ჰვ. ნ. № 41).

1764 წლის A-20 ხელნაწერში დასტურდება „სამი მთვარე“ დამატებითი ჰვირნიშნით — „მშვილდ-ისარი ფიგურალურ ფარზე“ — და კონტრმარკით, ლათინური ასოები F, V (იხ. ჰვ. ნ. № 42).

საკითხავია, კლასიფიკაციის რომელ ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ ასეთი სამი მთვარე დამატებითი ჰვირნიშნებით? ვფიქრობ, გამარჯობებული იქნება თუ ასეთ სამ მთვარეს ცალკე ჯგუფად გამოვყოფთ. ამიტომ ასეთი სამი მთვარე მოთავსდება ჯგუფში სახელწოდებით — „სამი მთვარე“ — დამატებითი ჰვირნიშნებით.

4. მეოთხე შემთხვევაში „სამი მთვარე“ გვხვდება ემბლემატურაში შემავალი დამატებითი ნიშნით (რომელიმე ლათინური ასოთი), დამატებითი ჰვირნიშნით და კონტრმარკით. მაგალითად, 1728 წლის A-636 ხელნაწერში „სამ მთვარეს“ ასეთი შემადგენლობა აქვს: „სამი მთვარე“ დამატებითი ლათინური ასოთი Z ემბლემატურაში, დამატებითი ჰვირნიშნით—„გვირგვინი მთვარით“ და კონტრმარკით—ლათინური ასო ჯვრით დაგვირგვინებული (იხ. ჰვ. ნ. № 43).

ასეთი „სამი მთვარის“ ნიმუშები აგრეთვე ცალკე ჯგუფად უნდა გამოვყოთ.

ყველა ზემოთ მოტანილ ოთხ სხვადასხვა შემთხვევაში განსაკუთრებული და ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება „სამი მთვარის“ დამატებით ნიშნებს ემბლემატურაში და დამატებით ჰვირნიშნებს კონტრმარკებით ორმაგი დაჰვირნიშნების დროს. რაც შეეხება „სამი მთვარის“ ვერტიკალებს, მათ ამ შემთხვევებში არა უპირატესი, არამედ დამხმარე მნიშვნელობა ენიჭება სამი მთვარის იდენტიფიკაციის დროს. ცხადია, ზუსტი დათარიღებისათვის. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სამი მთვარის იდენტიფიკაციას. „სამი მთვარის“. როგორც ჰვირნიშნის, მთელი სირთულე სწორედ ეს იყო: მსგავსი და განსხვავებული სამი მთვარის გამოყოფა, ვფიქრობ, „სამი მთვარის“ კლასიფიკაციამ გააადვილა ამ ჰვირნიშნების იდენტიფიკაციის საკითხი.

ორმაგი დაჰვირნიშნების დროს, როგორც უკვე აღვნიშნე, მნიშვნელობა ენიჭება ძირითად და დამატებით ჰვირნიშანს. აქ ერთი სიტყვით გვმართებს: უნდა ზუსტად დადგინდეს ორ ჰვირნიშანში რომელია ძირითადი და რომელი დამატებითი. „სამი მთვარე“ ყოველთვის ძირითადი ჰვირნიშანი როლია. პირ-უკუ: „სამი მთვარე“ დამატებითი ჰვირნიშნის მოვალეობასაც ასრულებს.

მოვიტანოთ ერთი მაგალითი: A ფონდის 1697 წლის № 105 ხელნაწერში ძირითადი ჰვირნიშანია „გვირგვინი“ ვარსკვლავ-მთვარით, ხოლო „სამი მთვარე“ დამატებითი (იხ. ჰვ. ნ. № 44).

ამ შემთხვევაში „სამი მთვარე“ განხილულ უნდა იქნეს, როგორც რთული ჰვირნიშნის ერთ-ერთი კომპონენტი.

ამით ამოიწურება „სამი მთვარის“ ძირითადი ნიმუშები და ჰვირნიშნის კლასიფიკაციის სახელმძღვანელო პრინციპები.

„სამი მთვარის“ მთელი ნაირსახეობა ჩემი კლასიფიკაციის საფუძველზე შემდეგნაირ სისტემას ქმნის:

1. „სამი მთვარე“ კონტრმარკითა და კონტრმარკის გარეშე, ვერტიკალების ჯგუფებში.

2. „სამი მთვარე“ ზედწოდებით „Tre lune“.

3. „სამი მთვარე“ დამატებითი ნიშნებით ემბლემატიკაში.

4. „სამი მთვარე“ დამატებითი ჰვირნიშნით.

5. „სამი მთვარე“ დამატებითი ნიშნით ემბლემატიკაში და დამატებითი ჰვირნიშნით.

6. „სამი მთვარე“ რთული ჰვირნიშნის კომპონენტი.

ამ წერილში, ცოტა ადრე, უარყვავი ცსსა, 1448 ფონდის № 1493 დოკუმენტის თარიღი—1601 წელი. დოკუმენტი ორმაგი დაჰვირნიშნების ნიმუშია (იხ. ჰვ. ნ. № 45).

ამ დოკუმენტის ორმაგი დაჰვირნიშნების ზუსტი ანალოგია შემკვდა 1690 წლის Hd-13135 დოკუმენტში და 1698 წლის Hd-6622 დოკუმენტში. აგრეთვე Sd-538 უთარილო დოკუმენტში.

ამ დოკუმენტების ჰვირნიშნების იგივეობა ცხადია; „სამი მთვარის“ იდენტიფიკაცია მტკიცდება შემდეგი მონაცემების საფუძველზე: ორმაგი დაჰვირნიშნების ორივე კომპონენტის იგივეობა; „მთვარეების“ განლაგება ვერტიკალებს შორის ყველა შემთხვევაში იდენტურია. ცხადია, ცსსა, 148 ფონდის № 1493 დოკუმენტი არ შეიძლება იყოს 1601 წლისა. ეს დოკუმენტი, როგორც უკვე აღვნიშნე, 90, 100 წლით უფრო გვიანდელია; მით უმეტეს, ორმაგი დაჰვირნიშნება, საერთოდ, პირველად მე-17 საუკუნის დასასრულიდან ჩნდება. ორმაგი დაჰვირნიშნების ყველაზე ადრეულ ნიმუშს ჯერჯერობით 1683 წლის Ad-1042 დოკუმენტში მივაკვლივ.

ასეთია, ერთი შეხედვით მარტივი, ხოლო სინამდვილეში, ფილიგრანოლოგიის თვალსაზრისით, მეტად რთული ჰვირნიშანი „Tre lune“, რომელიც, ს. ბრიკეს სიტყვები რომ გავიმეოროთ, იყო ჰვირნიშანი იმ ქაღალდისა, რომელიც სპეციალურად მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის მზადდებოდა ვენეციაში.

როგორც უკვე აღვნიშნე, მახლობელ აღმოსავლეთში გავრცელებული

ჰვირნიშნების კლასიფიკაციას ცნობილმა პალეოგრაფმა ეს. ნიკოლაევმა თავი აარიდა იმ მიზეზით, რომ თითქოს ცნობილი არ არის ამ ჰვირნიშნების სადაურობა.

ეს. ნიკოლაევი წერს:

„Пока еще почти невозможно установить место, где производилась доставляемая Венецией бумага“.

ცნობილია, რომ მახლობელ აღმოსავლეთში გავრცელებულია სპეციფიკური ვენეციური ჰვირნიშნები. ცნობილია ისიც, რომ ეს ქალაქი სპეციალურად მზადდებოდა აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის. „სამი მთვარი“ ამ თვალსაზრისით რაიმე განსაკუთრებულ გამოჩენასად არ ჩაითვლება და ერთ-ერთი სპეციფიკური ვენეციური ჰვირნიშნითაა განიხილ.

სხვა არა იყოს რა, რა კავშირია, ვთქვათ, „სამი მთვარის“ სადაურობასა და კლასიფიკაციას შორის?

ამ შემთხვევაში სადაურობა ხელს არ უშლის მახლობელ აღმოსავლეთში გავრცელებული ჰვირნიშნების კლასიფიკაციას.

რაც შეეხება აღმოსავლეთში გავრცელებული ჰვირნიშნების სადაურობის საკითხს, რა თქმა უნდა, სავარაუდებელია, რომ ვენეციას აღმოსავლეთის ქვეყნებში საკუთარი წარმოების ქალაქი გაჰქონდა.

უფრო მეტიც, ახლა შეიძლება ითქვას, რომ მივაკვლიე ვენეციური ჰვირნიშნის სადაურობის პირდაპირ მითითებასაც.

საერთოდ ჰვირნიშანი, უფრო დაბეჭდვით ჰვირნიშნის ლიტერები, გვაწვდიან რაიმე ცნობებს ჰვირნიშნის შესახებ: ზოგჯერ სრული სახით არის აღნიშნული ფაბრიკანტის ვინაობა ან ქალაქის დაზღვრის თარიღიც კი. მაგრამ ქალაქის სადაურობის შესახებ ჰვირნიშანი, როგორც წესი, დუმს.

ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტად მდიდარია რუსული ჰვირნიშანი, მაგრამ სადაურობის აღმნიშვნელი ცნობა რუსულ ჰვირნიშნებშიც ძალიან იშვიათია. მოვესმინათ რუსული ჰვირნიშნების სპეციალისტს ს. კლუბიკოვს:

«В русской филигрании очень редко встречаются фамилии владельцев фабрик полностью (Гончаров, Щепочкин, Хлюстины, Неверов и некоторые другие), а местонахождение предприятия, за единственным исключением (Калуга) — никогда»¹⁰.

რაც შეეხება ვენეციურ ჰვირნიშნებს რაიმე ცნობა — ლიტერული, აქ მითუმეტეს იშვიათია. მაგრამ ამ ჰვირნიშნებში მივაგენი ქალაქისა და ე. ი. ჰვირნიშნის სადაურობის აღმნიშვნელ ერთ ასეთ იშვიათ გამოჩენას:

ხელნაწერთა ინსტიტუტის 1707 წლის A ფონდის № 624 თარიღიან ხელნაწერში აღმოჩნდა ერთი იშვიათი ჰვირნიშანი. ამ ჰვირნიშანს ახლავს სპეციფიკური ვენეციური კონტრამარკა ლიტერით — სამეყურა ორი ლათინური ასოთი (იხ. კვ. ნ. № 46).

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთი ემბლემატიკის ჰვირნიშან-გეხვდება მხოლოდ ერთხელ. იგი გამოქვეყნებული აქვს ე. ჰივუდს 1950 წ.

E. Heawood. Watermarks mainly of the 17 th and 18 th centuries. Hilversum, 1950, № 1895) ბეჰლური წიგნიდან — Orlando Furioso ვენეცია 1730 წელი (იხ. კვ. ნ. № 47).

¹⁰ К л е п к о в , Филигрании и штемпели XVII—XX в., Москва, 1959, стр. 13.

ფილიგრანოლოგიაში ყოველ ჰვირნიშანს აქვს თავისი სახელწოდება. ამ ჰვირნიშნის სახელწოდება სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილი არ იყო. მე შემთხვევით მივაკვლიე ამ ჰვირნიშნის სახელწოდებასაც. ჰვირნიშნის სახელწოდება გაირკვა ხელნაწერთა ინსტიტუტის სპარსული ფონდის № 129 ხელნაწერის მეოხებით. 1694 წლის ამ სპარსულ ხელნაწერში დასტურდება იგივე ჰვირნიშანი საკუთარი ლათინური სახელწოდებით Alba rosa ე. ი. ქართულად ჰვირნიშანს „თეთრი ვარდი“ ჩემეცია (იხ. ჰვ. ნ. № 48).

დაბოლოს ხელნაწერთა ინსტიტუტის 1708 წლის ისევ სპარსული ფონდის № 25 თალიან ხელნაწერში აღმოჩნდა ჰვირნიშან „თეთრი ვარდის“ კიდევ ერთი უნიკალური ნიმუში. ამ ჰვირნიშანს ახლავს სპეციფიკური ვენეციური კონტრმარკა და რაც მთავარია ჰვირნიშნის სადაურობის აღმნიშვნელი წარწერა—ბერგამო (იხ. ჰვ. ნ. № 49).

რადგან ჰვირნიშანი ყოველთვის სიმბოლური ნიშანია რაიმესი, საგულისხმოა, რომ ვარდს შუა საუკუნეებში საიდუმლოს მნიშვნელობა ჰქონდა. ვარდის ეს მნიშვნელობა დღესაც ცოცხალია ევროპაში: Sub rosa — ლათინური გამოთქმა „ვარდის ქვეშე“ — ნიშნავს იმას, რომ რაიმე საიდუმლოდ უნდა დარჩეს.

მოხდა ისე, რომ ჩვენმა „თეთრმა ვარდმა“ ქართული ხელნაწერების ჰვირნიშნების საიდუმლო გაამჟღავნა.

ქალაქი ბერგამო მდებარეობს ქალაქ ვენეციის ჩრდილო-დასავლეთით. ადრიანევი განთქმული იყო ქალაქის წარმოებით.

1428 წლის 18 აპრილს ქალაქი ბერგამო, რომელიც მილანის საჰერცოგოში შედიოდა, ვენეციის რესპუბლიკამ შეიერთა. ვენეციელებმა ქალაქი ბერგამო თავდაცვითი ნაგებობებით გაამაგრეს და ბოლომდე შეინარჩუნეს იგი, ვიდრე ვენეციის რესპუბლიკის აღსასრულამდე 1797 წ.

ამ ჰვირნიშნის მიგნებით ერთხელ კიდევ დადასტურდა ის გარემოება, რომ მახლობელ აღმოსავლეთსა და საქართველოში საუკუნეების მანძილზე ვენეციის რესპუბლიკას საკუთარი წარმოების ქალაქი შემოჰქონდა.

Р. М. ПАТАРИДЗЕ

ВОДЯНОЙ ЗНАК «Tre lune» ГРУЗИНСКИХ РУКОПИСЕЙ

Резюме

«Три луны» или, как чаще говорят, «Три полумесяца» известна также под латинским наименованием: «Tre lune». Этот водяной знак, по всей вероятности, венецианского происхождения. Бумага с филигранью «Tre lune» употреблялась в Балканских странах, Грузии и на Ближнем Востоке в продолжение XVII—XVIII столетий. «Три полумесяца» — фирменный знак очень распространен в грузинских рукописях и наоборот, знаки «Полумесяца» и «Два полумесяца», в отличие от Западно-европейской действительности, в грузинских списках встречаются очень редко.

Ниже следует перечень и пояснения водяных знаков воспроизведенных в монографии:

«Полумесца»

1. Н-1760, 1330/40 гг. (Ин-т рукописей)
2. Q-1795, 1480—1495 гг. (Ин-т рукописей)
3. № 311, ф. 1446, конца XV в. (ЦГИА)
4. Н-375, рубеж XV—XVI вв. (Ин-т рукописей)
5. А-186, начала XVI в. (Ин-т рукописей)
6. S-312, 1541 г. (Ин-т рукописей)
7. К-173, 1575 г. (Музей истории г. Кутаиси)
8. К-38, 1590-ых годов (Музей истории г. Кутаиси)
9. К-38 и А-674, 1590-ых годов (Музей истории г. Кутаиси, Ин-т рукописей)
10. Н-1064, 1669 г. (Ин-т рукописей)

«Два полумесца»


11. Hd-1679, 1627 г. (Ин-т рукописей)
12. Hd-14. 448, 1627 г. (Ин-т рукописей)
13. № 548, ф. 1448, 1622 г. (ЦГИА); № 310, 1631 г. (Коллекция Шуккина, Московский исторический музей).

«Три полумесца»


В монографии дана попытка классификации водяного знака «Tpe lупe». В основу метода этой классификации взяты расположение «Трех полумесцев» между вертикальными линиями (понтюзо) и контрмарка. Одновременно водяные знаки «Трех полумесцев» распределены по группам. Всего 6 основных групп:

1. «Три полумесца» с контрмаркой или без контрмарки в подгруппах вертикалей (15 подгрупп, в. з. №№ 17—37).
2. «Три полумесца» с латинским литером «Tpe lупe» (в.з. № 14 и № 38).
3. «Три полумесца» с дополнительными знаками или литерами в эмблематике (в.з. № 39).
4. «Три полумесца» с дополнительным водяным знаком (в.з. №№ 40—42 и № 45).
5. «Три полумесца» с дополнительными знаками в эмблематике и дополнительным водяным знаком (в.з. № 43).
6. «Три полумесца» в виде дополнительного водяного знака (в.з. № 44).

Классификация водяного знака «Tpe lупe» способствует установлению хронологии того или иного образца. «Три полумесца» сложный и проблематичный водяной знак. Он требует дальнейшего изучения не только в Грузии, но и за рубежом.




1




T M
A


2




3




4




5




6





7




8




9




10






11





12

III




III


13





I. V






16





17





18













22




23






III




27




III




28







29




III








30






II












32




П




34







35









36





37



C C C C
T R E L V N E
38



C C C C
S
W
39








42








44








46





47




ALBAROSA

48



SBERGMOZ

49




SBERGMOZ

ლ. ჰაჯაია

ორი ტექნიკური ნიშანი ძველ ქართულ ხელნაწერებში

ძველ ქართულ ხელნაწერებში ტექსტის დასაწყისისა და დასასრულის აღსანიშნავად იხმარებოდა გარკვეული ნიშნები:



წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ორი უკანასკნელი ნიშნის +, † განხილვას.

ორივე ეს ნიშანი ქართულ წერილობით ძეგლებში IX საუკუნიდან გვხვდება. + ხელნაწერებში აღნიშნავს როგორც ტექსტის დასაწყისს, ასევე დასასრულსაც. † კი მხოლოდ ტექსტის დასაწყისზე მიანიშნებს.

+ ნიშანი მიჩნეული იყო სიტყვა „ქრისტეს“ დასაწყის ასოდ, ხოლო † „ქანწილად“ წოდებული, —+“ და „†“ ასოების შეერთების შედეგად მიღებულ მონოგრამად¹.

+ თავისი ფორმით, მართალია, ქართული ასომთავრული „ქ“-ს მსგავსია, მაგრამ, როგორც ქვევით დაეინახავთ, ის სხვა არაფერია თუ არა ჯვარი—ქრისტეს სიმბოლური გამოსახულება.

ჯვარი ტექსტის დასაწყისისა და დასასრულის აღსანიშნავად მთელ ქრისტიანულ მწერლობაში იყო გავრცელებული. ამის მიზეზი კარგად ჩანს გრიგოლ ღმრთისმეტყველის ანბანური აკროსტიხიდან: დასაბამი და დასასრული ყოვლისა არს ღმერთი („Αρχην ἀπάντων αἰεὶ τέλεις ποιῶν θεός“)².

ბერძნულშიც ჯვარი ტექსტის დასაწყისის აღსანიშნავად იხმარებოდა როგორც ხელნაწერებში, ისე ისტორიულ დოკუმენტებშიც³. ჯვარი ჰქონდა წინდამული შუასაუკუნეების ბერძნულ დამწერლობაში ზოგიერთ მაგიურ ანბანსაც⁴. აღსანიშნავია, რომ სლავური ანბანის, „გლაგოლიცას“, შემდგენელმა ციციანის ანბანის პირველი ასო ჯვრის გავლენით შექმნა⁵. ბერძნულ ტექსტებში გა-

¹ თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, 1892, გვ. 94; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 147; P. Ш мер л и н г, Художественное оформление грузинской рукописной книги, IX—XI вв., Тб., 1967, стр. 78.


² Е. Э. Гранстрем, О происхождении глаголической азбуки, Труды отдела древнерусской литературы, Институт русской литературы, XI, М.-Л, 1955, стр. 307.


³ F. D ö l g e r, Aus den Schatzkammern des Heiligen Berges, Tafelband, München, 1948.

⁴ M. B e r t h e l o t, Collection des anciens alchimistes grecs, 2-e livraison, Paris, 1888, p. 156.

⁵ Е. Э. Гранстрем, დასახ. ნაშრომი, გვ. 307; И. В. Черепнин, Русская палеография, 1956, стр. 96.

მოყენებულ ჯვარს კიდური იმდენად აქვს ჩამოზრდილი, რომ თავისი ფორმით ჩვენ ასომთავრულ + -ს ემსგავსება. შდრ:

ბერძნული: 

ქართული: 

შედარებიდან ნათლად ჩანს, რომ ბერძნულსა და ქართულ ხელნაწერებში ტექსტის დასაწყისის აღსანიშნავად გამოყენებული ნიშნები ფორმით ერთნაირია. ეს კი საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ ჯვარი დასაწყისის აღსანიშნავად გადამწერებმა ბერძნულიდან გადმოიღეს. ხსენებული ნიშნის ფორმობრივმა მსგავსებამ ასომთავრულ + -სთან გამოიწვია შემდგომში მისი გააზრება სიტყვა „ქრისტეს“ პირველ ასოდ. ჯვარის ამგვარმა გაგებამ ისე ძლიერად მოიკიდა ფეხი, რომ მოგვიანო საუკუნეებში მხედრულით ნაწერ ტექსტებში დასაწყისის აღსანიშნავად კ ასოს სვამდნენ.

რაც შეეხება ტექსტის დასაწყისის აღმნიშვნელ მეორე ნიშანს ♀ -ს, იგი ხელნაწერებში სამი სახესხვაობით გვხვდება:



პირველი წააგავს ასომთავრულ „წ“-ს. მისი ხმარება დადასტურდა 864 წლის სინურ მრავალთავში. მეორე ნიშანი გვხვდება შატბერდის კრებულსა (S—1141) და პარხლის ოთხთავში (A—1453). მესამე კი ყველაზე გავრცელებული ნიშანია ხელნაწერებში. იგი IX საუკუნიდან მოყოლებული თითქმის ყველა ოთხთავში გამოიყენება. გვხვდება როგორც ტექსტის დასაწყისში, ისე ტექსტის შიგნითაც, ცალკეული მუხლების გამოსაყოფად. ჩვეულებრივ შესრულებუ-

⁶ Kirsopp and Silva Lake, Dated Greek Minuscule Manuscripts to the year 1200 (Monumenta Palaeographica vetera), I—X, Boston, Mass., 1934—1939; Indices, Boston, Mass., 1945.

⁷ ლენინგრადის საქარო ბიბლიოთეკის ხელნაწერი, რეყ. 66.

⁸ რეყ. 73, 100.

⁹ რეყ. 57.

¹⁰ F. D ö l g e r, დასახ. ნაშრომი.

¹¹ M. Berthelot, დასახ. ნაშრომი გვ. 156.

¹² ქართულში ეს ნიშნები ამოღებულია ჯრუჭის ოთხთავიდან (H-1660), მიქაელ მოღრე-კილის იადგარიდან (S-425) და ძლისპირის კრებულიდან (A-603).

ლია სინგურით. იწერება ტექსტის მარცხენა კიდეზე, ზოგჯერ შეიძლება საზედაო ასოს თავზე იყოს მოთავსებული. ϕ ნიშნის დანიშნულებას კარგად არკვევს სინური ხელნაწერების (Sin—16,19) ანდერძ-მინაწერები: „განგებაჲ და განწესებაჲ სახარებისაჲ ბერძულსა წესსა ზედა საძიებელი, რიცხვთ უცთომელი საწელიწდოჲ, ყოველნი დღენი სრულად და მარხვათა შაბათ კვრიაკენი და ვნებისა კვრიაკენი. დღენი ყოველსა სახარებასა თავსა და ბოლოს აჩუენებს. და სადა სახარებისა თავი არს დასაწყებელი, ესე ქანწილი ϕ ზის სინგურითა და სადა დასრულდებოდის ბოლოჲ, ესე ჯუარი ზის სინგური თავე ϕ “.

როგორც ამ ანდერძიდან ჩანს, ეს ნიშანი ოთხთავის ხელნაწერებში საკითხავეების დასაწყისებს აღნიშნავს. თვეების მიხედვით განლაგებული საკითხავეები ოთხთავს ბოლოში ერთვის. თვით ტექსტი დამუხლულია და საკითხავის მოძებნა შეიძლება მუხლის რიცხვის საშუალებით. მაგრამ მკითხველისათვის თვალსაჩინო რომ ყოფილიყო ესა თუ ის საკითხავი, გადამწერი მასთან ϕ ნიშანსაც სვამდა.


ϕ ნიშანს ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების მიხედვით ქანწილი ეწოდება. ტერმინი ქანწილი ანუ წილქანი, როგორც იხსენიებს მას ფსალმუნის ერთი ნუსხა (A—38)¹³, წერილობით ძეგლებში X საუკუნიდან გვხვდება. უფრო მოგვიანებით ამ ტერმინს ჯვარსაც უწოდებენ: „ზანდუო საწელიწდოჲ გამოკრებილი სახარებისაჲ, საძიებელი ესრე სახედ. სადაცა წითელი ჯუარი ჯდეს ესეთი ϕ , მუნ სახარებისა თავი არს და სადაცა ჯუარვარსკულაეი ჯდეს ესრეთი > სახარებისა ბოლოჲ არს“...¹⁴.

„... დავნიშნე თავბოლოები სახარებათაჲ ოთხთავსა შინა სინგურით. თავებსა სახარებათასა ესე არს ნიშანი ϕ თავმოსკუნილი ჯუარი, სახედ ქანწილი, სინგურითა დაწერილი და ბოლოსა დასასრულთა ესე არს ორნი ჯუარნი მიდამო ესე სახედ ϕ “¹⁵.

რას წარმოადგენს ϕ ნიშანი. არის თუ არა ის ქართული „ ϕ “-სა და „ ψ “-ს შეერთების შედეგად მიღებული მონოგრამა?

აღნიშნული ნიშნის რაობის გასარკვევად საჭიროდ მიგვაჩნია აქაც გავითვალისწინოთ ბერძნულის მონაცემები.

ბერძნულ დამწერლობაში ქრისტეს ორგვარი მონოგრამა ცნობილი¹⁶:



პირველ მონოგრამას, რომელიც ბერძნულ დიპლომატიკაში ϕ ნიშნის პარალელურად იხმარება ტექსტის დასაწყისის აღსანიშნავად, „ხრიზმონს“ უწოდებ-

¹³ თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 94; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 147.
¹⁴ ხელნაწერთა ინსტიტუტის Q კოლექციის ხელნაწერი № 1062, 115 რ.
¹⁵ ხელნაწერთა ინსტიტუტის S კოლექციის ხელნაწერი № 1351, 189 v.
¹⁶ B. G r o n i n g e n, Short Manual of Greek Palaeography, 2-nd ed, Leiden, 1955, p. 45.

ბენ¹⁷, ხოლო მეორე ცნობილია მონოგრაფული ჯვარის სახელწოდებით¹⁸. ეს სახელწოდება ახლოს დგას ზემოთ მოყვანილი ქართული ოთხთავის ანდერძთან, სადაც ნათქვამია, რომ „თავებსა სახარებათასა ესე არს ნიშანი თავმოსკუნილი ჯუარი, სახელ ქანწილი“.

აღნიშნული ნიშნების წარმომავლობის საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში არა ერთხელ ყოფილა კვლევის საგანი. გერმანელ პალეოგრაფს ვ. გარდტჰაუზენს ორივე მონოგრაფია ქრისტემდე შექმნილად მიაჩნია¹⁹. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით კი პირველი მონოგრაფია, რომელიც „X“ და „P“ ასოების შეერთების შედეგად არის მიღებული (შდრ. Χρυσός) 317 წლიდან შემოდის ხმარებაში. მისი ხმარების დასაწყისს უკავშირებენ კონსტანტინე რომის იმპერატორისათვის ჯვარის გამოცხადებას, რომელმაც მას მტერზე გამარჯვება მოაპოვებინა. ამ ნიშნიდან შემდგომში, დაახლოებით 355 წ., განვითარდა ქრისტეს მეორე მონოგრაფია. ეს უკანასკნელი პირველის გამარტივებული სახეა. თავისი ფორმით იგი ჯვარს უფრო უახლოვდება²⁰.

შდრ. ✠ †

ბერძნულ ხელნაწერებში † ნიშანი სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენება: იხმარება ტექსტის დასაწყისის აღსანიშნავად²¹, ტატიგრაფიულ ნიშნად²², და კომენტარებიან ხელნაწერებში ტექსტის კომენტართან დასაკავშირებლად²³.

† ნიშანი, როგორც ჩანს, შემდგომში ბერძნულის გავლენით გავრცელდა სხვა ენის ძეგლებშიც. იგი დასაწყისის აღსანიშნავად დადასტურდა კობტურსა²⁴ და ძველ ბულგარულ წარწერებში²⁵.

უნდა ვაღიაროთ, რომ † ნიშანი ქართულშიც ბერძნულის საფუძველზე

¹⁷ A. Gir y, Manuel de diplomatique, Paris, 1894, p. 531; აღნიშნული ტერმინი ქართულშიც დასტურდება. სულხან-საბა ორბელიანი მას შემდეგან ირად განმარტავს: „ხრიზმო ელენთა ენაა, ნიშნავს წინასწარ მოსწავებას“ (იხ. ს-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, ტ. IV, 1966, გვ. 427).

¹⁸ J. M o r a e u, P. Franchi dé, Cavalieri, Costantiniana, Bysantinische Zeitschrift, 2-te Aufl., 1954, Bd. 47, Hf. 1, S. 137.

¹⁹ V. G a r d t h a u s e n, Iriechische Palaeographie, Leipzig, 1879, S. 118.

²⁰ Н. В. П о к р о в с к и й, Очерки памятников христианской иконографии и искусства, СПб, 1900, стр. 30—31; J. M o r a e u, დასახ. ნაშრომი, გვ. 136; И. В. П о м я л о в с к и й, Археологическая находка в Пуатье, Записки Императорского Русского Археологического Общества, т. II, вып. II, 1886, стр. 65.

²¹ С а в в а епископ М о ж а й с к и й, Палеографические снимки с греческих и славянских рукописей Московской Синодальной библиотеки VI—XVII вв., Москва, 1863. ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერი გრეც.-66.

²² В. G r o n i n g e n, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

²³ ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერი გრეც.-72.

²⁴ Б. А. Т у р а е в, Коптские ostraca коллекции В. С. Голенничева, Известия Императорской Академии наук, 1899, т. X, № 5, стр. 436—437, 443, 445; Н. Н u v e h n a t, Albut palaeographie sorte, Paris, 1888, pl. 39.

²⁵ И. Г о ш е в, Старобългарски глаголически и кирилски надписи от IX—X в., София, 1961, стр. 15.

დამკვიდრდა. დროთა განმავლობაში ქართულმა ის შეისისხლხორცა და ქართული სახელწოდებაც ქან წილი მიიღო.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულადან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ †, ‡ ნიშნები ქართულში შემოსულია ბერძნულიდან და ქართულ ნიადაგზე მათი გააზრება მეორეულია. † ნიშანი წარმოადგენს ჯვარს, ჯვარცმული ქრისტეს სიმბოლურ გამოსახულებას, ‡ კი—ქრისტეს მონოგრამას.

Л. Р. КАДЖАИА

ДВА ТЕХНИЧЕСКИХ ЗНАКА В ДРЕВНЕГРУЗИНСКИХ РУКОПИСЯХ

Резюме

В древнегрузинских рукописях для обозначения начала и конца текста применялись следующие знаки: †, ‡. В научной литературе † знак считается первой буквой слова «**†**სენი» (Христос), превратившийся впоследствии в условный знак, а ‡ — монограммой, полученной в результате слияния двух грузинских букв: „†“ (k) и „‡“ (c).

На основе разработки материала выясняется, что эти знаки греческого происхождения. Их грузинское осмысление является относительно поздним фактом. Знак † изображение креста, ‡ же — монограмма Христа.

ძველ ქართულ ხელნაწერ წიგნთა შემავლობის აღმნიშვნელი
ზოგიერთი ტერმინის შესახებ

ძველ ქართულ წერილობით წყაროებში სამწიგნობრო ხელოვნების გამო-
ხატველი არაერთი ტერმინია შემონახული. ხელნაწერი წიგნის შექმნისათვის
საჭირო საქმიანობას, რომელიც გულისხმობს ერთმანეთზე დამოკიდებულ თან-
მიმდევრულ პროცესებს, კერძოდ ეტრატის დამზადებას, ტექსტის გადაწერას,
მოხატვას, აკინძვას, შემოსვას, მოკედვას—თავისი ტერმინოლოგია გააჩნია.
მთელ რიგ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში ასევე ვხვდებით ხელნაწერი წიგ-
ნის შემკულობის ცალკეული ელემენტების აღმნიშვნელ ტერმინებსაც.

ხელნაწერის მდიდრულად შემკობა მომგებელის ძირითად საზრუნავს წარ-
მოადგენდა. ეკლესია იყო დამკვეთი თუ კერძო პირი, ცდილობდნენ ხელნაწე-
რი მდიდრულად შემკული და დაკაზმული ყოფილიყო. მომგებელთა ვინაობა,
მათ მიერ ჩატარებული საქმიანობა ხშირად აღნიშნულია მინაწერებში. აქ, ისე-
ვე როგორც გადამწერისა და მომხატველის ანდერძებში, ვხვდებით დეკორის
ცალკეული ელემენტების შესატყვის ტერმინებს.

ხელნაწერის ანდერძ-მინაწერებში დამოწმებული ცნობები დეკორატიული
მორთულობის ელემენტების შესახებ ხშირად ეხება მახარებელთა გამოსახუ-
ლებებსა და ოთხთავის საძიებელთა—კანონთა დეკორატიულ ჩარჩოებს. ზოგ-
ჯერ შემკულობის ეს ელემენტები იხსენიება „ხატისა და კამარის“ სახელწოდე-
ბით. უნდა აღინიშნოს, რომ ოთხთავის მორთულობა შეიცავს დეკორის განსაზ-
ღვრულ ელემენტებს და მათ შორის მახარებელთა გამოსახულებანი და კამა-
რები წარმოადგენს ამ შემკულობის ძირითად და აუცილებელ კომპონენტს.

995 წელს გადაწერილ ტბეთის ოთხთავში¹ მომგებელის სამოელ ეპისკო-
პოსის ანდერძში ნათქვამია: „...წიგნი ესე ოთხი თავი სახარებაჲ ვპოვე აღწე-
რილი და შემკობილი ყოვლითა განგებულეებითა, ხოლო ნაკლულეჲან იყო ხ ა ტ
თ ა და კ ა მ ა რ ა თ ა გ ა ნ და გულსვიდგინე დიდითა ხარკებითა და გამოვი-
ხუენ ესე ხ ა ტ ნ ი და კ ა მ ა რ ა ნ ი საბერძნეთით ქალაქით დიდით სამეფოთ
და ჩაურთენ ამას წმიდასა სახარებასა“. ხელნაწერის ანდერძში დასახელებულ
შემკულობის ელემენტებში „ხატნი და კამარანი“, თუ „ხატთა და კამარათა“ იგუ-
ლისხმება მახარებელთა გამოსახულებანი და კანონთა დეკორატიული ჩარჩოე-
ბი, რადგან ხელნაწერი მხოლოდ დეკორის ამ ელემენტებს შეიცავს და ისინი,
მთლიან ფურცელზე წარმოდგენილნი, ანდერძის თანახმად ტექსტში შემდგომა

¹ ხელნაწერი ამჟამად დაკულია ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის საჯარო ბიბლიო-
თეკის ხელნაწერ წიგნთა განყოფილებაში.

ჩართული. 1304 წელს გადაწერილ შიომღვიმის ოთხთავში (H-1344) გადამწერის ანდერძში ორჯერაა განმეორებული შემკულობის ზემოთ დასახელებული ელემენტები: „განსრულდა წმიდაა ესე და ყოვლითურთ საწადელი სულითა განმანათლებელი წიგნი სახარებაჲ ოთხთავი სრული ყოვლითა განგებითა ხ ა ტ ი თ ა და კ ა მ ა რ ი თ ა“, ან კიდევ „ოთხთავი სახარებაჲ, სრული ყოვლითა განგებითა, კ ა მ ა რ ი თ ა და ხ ა ტ ი თ ა“.

ზოგიერთ შემთხვევაში „ხატისა და კამარის“ კონტექსტში ხატის მაგივრად დასახელებულია მახარებელნი, რაც უფრო მეტად განმარტავს ამ ცნების მნიშვნელობას. მაგ. XIV ს. ოთხთავში (H-2125), რომლის შემკულობა ეკუთვნის ცნობილ კალიგრაფსა და მხატვარ ავგაროზ ბანდაისძეს, მათე მახარებლის გამოსახულების ქვევით მიწერილია: „ესე ოთხნი მ ა ხ ა რ ე ბ ე ლ ნ ი და ზემოთ კ ა მ ა რ ა ნ ი დაიხატნეს ჴელითა ავგაროზ ბანდაისძისაჲთ, შენდობა ყაჯ(თ)“, ან კიდევ, XI ს. ალავერდის ოთხთავზე (A-484) დართულ ანდერძში ივანე ლიპარიტის ძე აღნიშნავს, რომ მან კაცხის მონასტერს შესწირა „ოთხთავი ერთი სრული, გამოკრებული ზანდუკითა და კ ა მ ა რ ი თ ა, შიგან წმიდანი მ ა ხ ა რ ე ბ ე ლ ნ ი ოქრომელნითა დაწერილნი“. წყაროსთავის XII ს. (Q-907) ხელნაწერის მომგებელის იოანე საფარელ მტბევარის ანდერძში აღნიშნულია: „წმიდაა ესე ოთხთავი დაეწერინე და მოვაჴედინე ყოვლად, სრულებით თვალითა და მარგალიტითა ხ ა ტ ი თ ა და ზანდუკითა კ ა ნ ო ნ ი თ ა და ქრონიკონითა სრული“. ანდერძში მითითებული ხატნი ასევე მახარებლებს განმარტავენ (ხელნაწერი დასურათებულია მხოლოდ მახარებელთა გამოსახულებებით), „კამარის“ ნაცვლად კი ამ შემთხვევაში „კანონთა“ არის გამოყენებული.

ამრიგად, ყველა ზემოთ დასახელებულ ანდერძებში იგულისხმებიან დეკორის განსაზღვრული ელემენტები: ხატნი წარმოდგენილია მახარებელთა გამოსახულებების მნიშვნელობით, კამარანი კი ოთხთავის საძიებლის კანონთა დეკორატიულ შემკულობას ეწოდება.

ხატი საბასთან განმარტებულია შემდეგნაირად: „ხატი ანუ მსგავსი სახე“². ამის მაგალითები ძველ ტექსტებში მრავლად მოგვეპოვება. „ჰბაძევთ სიწელოენითა ხ ა ტ ს ა სულიერთასა“—მიუთითებს იოანე ოქროპირი ტაძრის მომხატველებს (A-19, X ს.)³. ალავერდის ოთხთავში დართულ ავგაროზის წერილში ნათქვამია: „წარავლინა ავგაროზ მთავარმან მხატვარნი გამოსახვად ხ ა ტ ი ს ა უფლისასა და მიღებად მისა“, ან „მხატვარი გამოჴსახვიდა ხ ა ტ ს ა მისსა და ვერ ეძლო რამეთუ ვერ განიცდიდა მსგავსებასა მისსა, მაშინ მოყუასმან მისმან ჰრქვა მას: მიეც ხილვათ იგი ხელთა მისთა, ხოლო უფალმან მიიღო ხილვაჲ იგი და დაედვა პირსა ზედა თვისსა და მეყსეულად გამოეხაზა ხ ა ტ ი მისი მას ზედა“.

ხატი ძველ წერილობით წყაროებში წმიდანთა და ანგელოზთა პორტრეტული გამოსახულების აღსანიშნავ ტერმინად იხმარებოდა. მდიდრულად შემკულ ხატებს ეკლესიის შესამკობად იყენებდნენ. არსებობდა ჴედური ხატი: მეღქისედექმა მცხეთის ეკლესიას შესძინა (XI ს.) „ხ ა ტ ი მაცხოვრისაჲ ვეცხლისაჲ, ოქროთა ცურვებული“, გვხვდება ხატი მინანქრისა „სამარხავსა ჩუენსა—

² ს უ ლ ხ ა ნ -ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , თბულებანი, IV, თბილისი; 1965, გვ. 416.

³ ი . ა ბ უ ლ ა ძ ე , ძველი ქართული ლექსიკიდან, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. I, 1959, გვ. 170.

ნათქვამია ალავერდის ოთხთავში არსებულ ანდერძში—დავასუნენ ხ ა ტ ი წმი-
დის გ ი მთავარმოწამისაჲ ოქროსაჲ მინათაჲ. ხ ა ტ ი იყო ფერწერულიც. ლა-
ბეჭინის ეკლესიის მეორედ მაშენებელი (XIII ს.) აღნიშნავს: „ო ც ი ხ ა ტ ი
წაშლითა დავაწერინე“-ო. ხატს ძველი წყაროები უწოდებენ ხელნაწერის ქვ-
ლურ ყდაზე არსებულ გამოსახულებებსაც: „გარეგნით ხ ა ტ ი სხენან ვე-
ცხლისანი“ ან „გარე ოქროსა ხატითა მოჭედელნი“ — ნათქვამია ალავერდის
ოთხთავის (A-484) ზემოთ დასახელებულ ანდერძში.

ხელნაწერებში, როგორც ვხედავთ, ხატი ისევ და ისევ პორტრეტული გა-
მოსახულების აღმნიშვნელ ტერმინად იხმარება. რამდენადაც მახარებლები სა-
ხარების ტექსტის ავტორებს წარმოადგენენ, მახარებლის გამოსახულება ხატის
ცნებასთანაა დაკავშირებული.

ტერმინი კამარა ყველგან განმარტებულია როგორც არქიტექტურული
ტერმინი. თანამედროვე სპეციალურ გამოკვლევებში ტერმინი კამარა „свод“—
ცნების გამომხატველია, თალი კი „арка“ ცნებას დაუკავშირდა⁴. ისტორიულ
წარსულში ქართულ ხუროთმოძღვრებაში იგი იხმარებოდა როგორც დღევან-
დელი „свод“—კამაროვანი ა გადახურვის ცნებას, ისე арка—თალის ცნების
გამოსახატავად (ჯუანშერთან, სერაპიონ ზარხმელთან თალის მნიშვნელობითაა
ნახმარი, ლარგვისის 1470 წ. შეწირულების წიგნში კამარის მნიშვნელობით).

ამჟამად მინიატურულ მხატვრობაში „კამარებს“ უწოდებენ დეკორატიუ-
ლი ჩარჩოთი შემკულ სახარების საძიებლებს—ე. წ. კანონებს. როგორც ძველ
ქართულ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებიდან ჩანს, „კამარის“ ცნება „арка“—
თალის ცნებას შეესაბამებოდა. მას უწოდებენ არა მარტო იმ დეკორატიულ
ჩარჩოს, რომელშიც საძიებლები იყო ჩაწერილი (კამარის მხატვრული არქიტექ-
ტონიკის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს სვეტებზე დაყრდნობილი ნახევარ-
წრედი), არამედ X ს. იგი იხმარებოდა იმ დეკორატიული თალის აღმნიშვნელ
ტერმინადაც, რომელშიც მინიატურები იყო ჩაწერილი. ჭრუჭის I ოთხთავის
(H-1660, მხატვრობა შესრულებულია 940 წელს) მინაწერში აღნიშნულია: „ქ
შიიწყალე ამათ კამარათა მწერალი თეოდორე“⁵. ხელნაწერი კამარების—ე. ი.
კანონთა გარდა შეიცავს მახარებელთა გამოსახულებებსაც, რომლებიც შეთავ-
სებულია ახალი აღთქმის ერთ-ერთ სტენასთან. ეს ერთი სტილით შესრულე-
ბული მხატვრობაა, ამდენად აქ მოხსენებული ოსტატი — ხელნაწერის მთელი
შემკვლობის ავტორია. რამდენადაც ეს მინიატურები ჩართულია კანონების
მსგავს დეკორატიულ თაღედში, ხელნაწერის მომხატველი კამარათა მწერალს
უწოდებს თავის თავს.

აინალოვი, ბიზანტიური ხელოვნების ცნობილი მკვლევარი, აღნიშნავს,
რომ ასეთი სახის დეკორატიული ჩარჩოები თან ახლავს იმ სატიტულო ფურც-
ლებს, სადაც წარმოდგენილი იყო რაიმე სიმბოლური, მნიშვნელოვანი და ასა-
ხელებს რიგ მაგალითებს, კერძოდ 354 წლის კოსტანტინეს ცნობილ კალენდარს
და VI ს. სირიულ ხელნაწერს, რომელიც მისი მომხატველის რაბულის სახე-
ლითაა ცნობილი; იგი მიუთითებს 995 წელს გადაწერილ ერთ-ერთ სომხურ
ხელნაწერზე, სადაც ასეთი ტიპის ორნამენტირებულ ჩარჩოებს $\alpha\mu\alpha\rho\alpha$ —ეწო-

⁴ გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, «Arc Georgica», ტ. I, წინასიტყვაობა.

⁵ ივ. ჭავჭავაძის განმარტებით კამარების დამხატველს განსაუთრებული სახელი
«კამარათა მწერალი» ჰქმნებია. იხ. «ქართული პალეოგრაფია», თბილისი, 1949, გვ. 76.

დებათ და აღნიშნავს, რომ მათი პროტოტიპები აღებულია პომპეის ფრესკები-დან⁶. სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში (ა. სვირინი, ს. ლისიციანი, ა. მნაცკანიანი) მიჩნეულია, რომ ეს კამარა — *χοραν* წარმოადგენს სპეციალური დანიშნულების მქონე არქიტექტურულ ნაგებობას, კერძოდ ბერძნული ამფითეატრის მსგავს მოედანს⁷. უნდა აღინიშნოს, რომ წიგნის დეკორატიული მხატვრობა მკიდროდაა დაკავშირებული ფრესკებთან და არქიტექტურასთან. მინიატურების ფონზე წარმოდგენილი შენობები იმეორებენ ანტიკურ ნაგებობებს, ფიგურების პოზები კი ბერძენი პოეტების, ფილოსოფოსების, ორატორების ქანდაკებებს⁸.

შეთვისა რა არქიტექტურული დეტალის მოხაზულობა, X ს. მოყოლებული ქართულ ხელნაწერებში „კამარა“ იქცა ოთხთავის დასაწყისში წარმოდგენილ საძიებელთა აღმნიშვნელ პირობით ტერმინად. ეს სახელი ამ საძიებლებმა შეინარჩუნეს მას შემდეგაც, როცა დეკორატიული ჩარჩოს კამაროვანი მოხაზულობა, კერძოდ XI საუკუნიდან მოყოლებული იცვლება სწორკუთხა ფორმით.

ძველ წერილობით წყაროებში ცნობები მოხატული საზედაო ასოების შესახებ ძალიან მცირეა. მაგრამ ძველთაგანვე საზედაო ასოები გამოიჩნულია დეკორის სხვა ელემენტებისაგან, ისინი დამოუკიდებელ მხატვრულ ერთეულებად წარმოდგენილი. იმ შემთხვევაში, როცა ხელნაწერი შეიცავს საზედაო ასოებს, ხატისა და კამარის გვერდით ისინი მოიხსენიება, როგორც შემკულობის ტოლფასოვანი ელემენტი. XI ს. ალავერდის ოთხთავში აღნიშნულია: „შეეწირე ოთხთავი ერთი სრული და გამოკრებული ზანდუკითა და კამარითა, შიგან წმინდანი მახარებელნი ოქრომელნითა დაწერილნი და ყოველი ასომთავარი ოქრომელნითა დაწერილი“. რამდენადაც აქ ლაპარაკია ასოებისა და მახარებლების მოხატვაზე, რომლებშიც ოქრო გამოყენებულია ფონის შესაფერავად, მრავალი დეტალის დასამუშავებლად, ამდენად ოქრომელანი ანდერძში საღებავის მნიშვნელობით უნდა გაეიგოს⁹.

ალავერდის ოთხთავში ნუსხურით დაწერილ ტექსტს აბზაცების დასაწყისში ამკობენ ორი სახის მთავრული ასოები: ერთია, ორნამენტული ნახატობითა და

⁶ Д. В. А н н л о в, Эллинистические основы византийского искусства.

⁷ F r i e n d A. M., The Portraits of the Evangelists in Greek and Latin manuscripts. Art studies, 1927, Cambridge. გვ. 143.

⁸ Э. Х. П е т р о с я н, Театральные и плясовые черты в средневековых армянских миниатюрах, Автореферат, Ереван, 1967 г. стр. 11.

⁹ ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის ბიბლიოთეკაში დაცულია პლატონ იოსელიანის მიერ თარგმნილი და სვიმონ ტაბიძის მიერ გადაწერილი ხელნაწერი დიონანე ოქროპირის ცხოვრება (Собр. Свб. 21/17). 1835 წ., სადაც მოკემულია ოქროსა და ვერცხლის მელანთა გაკეთების წესი: ვითარაჲ ჯერ არს შემზადება ოქროსა ანუ ვერცხლის მელანთა გაკეთება (გვ. 126). ეს წესი შემდეგია: მოიღე პალიტა მარმარილოს თავისი საღერსით, რომელსაც გნებავდეს ოქროსა ან ვერცხლისა მელნის შემზადება: მოიღე ოქროს ფურცელი და ამასთანავე მცირეოდენი თაფლი და ვანლესენით კარგად, ვითარცა მსგავსი მტერისა, ხოლო შემდგომ შესრულებისა ლესისა, წმინდას მინას ჭურჭელში შეკრიბენ და ნელთბილ წყალში აღმორეცხნენ, ესე ოდენ ჯერ რომელ ვიდრემდის გამოიწურებოდეს თაფლის წვენი, ხოლო შემდგომ სამყოფი დაასხი ცივი წყალი წმინდა, შემდგომ ჩაადგევით მცირეოდენი ხის წებო, (რუსულად ამ წებოს ეწოდება ვიშნევი-клей) გასამაგრებლად და შემდგომ ეშვით გალესე-ზემოვრე მელნით დაწერილი. ვითარცა გეასწავებს გაკეთებას მელნისა და თუ არ გალესეთ ელვარე არ ექმნების და არც სიშნოეს ექმნების: შესრულდა ამ მელნის გაკეთება.

ფერადებით შესრულებული, ხოლო მეორე ტექსტის მეღნი თ ან სინგურით შემოხაზული მთავრული ასოები. „და ყოველი ასომთავარი“ ზემოთხსენებულ ანდერძში ორივე სახის ინიციალებს გულისხმობს.

ანტონ კათალიკოსი პირველი სახის ასომთავრულებს „საზნაოს“ უწოდებს და მიუთითებს, რომ მათ იყენებდნენ სათურების აღსანიშნავად, „სადმრთო“ და „დიდებულთა“ სახელების დასაწერად და რომლებიც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „სხუად და სხუად ყვაილოვანად და რაულადმე შესახედავად დაინაკუჭთების“. ასომთავრულად კი ანტონ კათალიკოსი მიიჩნევს ამ მეორე სახის — დანაკეთის გარეშე წარმოდგენილ საზნაო ასოებს¹⁰.

ნუსხურით დაწერილ მთელ რიგ ხელნაწერთა ცნობებში საზნაო ასოები გამოჩნულია ტექსტის ასოებისაგან. ე. წ. მარტივად გულანში, რომლის ტექსტი ნუსხურითაა ნაწერი, დიდი ზომის მთავრული ასოების შესახებ შემდეგია ნათქვამი: „ასომთავრული წამიხდა და გული გამომეცვალა“, ხოლო როცა საუბარია ტექსტის ასოებზე, მაშინ იგი მთავრულის გარეშეა მოხსენებული: მაგ. „მე შეკვრასა ვიდწოდი, ხიგი დაბნელებულ ასოთა განახლებასა“ ან „რაც ჩემის უცოდინარობით ან წინწილი დამეკლოს ან ასო შეცდომით მომსვლოდეს“ და სხვ.

საუკუნეების მანძილზე ნუსხური, მხედრული ტექსტების შესამკობად რჩებიან მ რ გ ე ლ ო ვ ა ნ ი ა ს ო მ თ ა ვ რ უ ლ ი ს გადიდებული ზომის ცალკეული ასოები. მათი სახელწოდება საესებით აპართლებს მათ დანიშნულებას. „ასომთავარი“ — ეს სახელწოდება პირდაპირ მიუთითებს მათ მნიშვნელობაზე. საუკუნეების მანძილზე, ქართულ ანბანის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მათ ხელნაწერი გვერდის საერთო კომპოზიციაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვთ დათმობილი. ისინი იხმარებიან სათურებისათვის, აბზაცების დასაწყისში, ხშირად მხატვრულად შემკულნი ცალკეულ თავებს ერთმანეთისაგან მიჯნავენ (იხ. ტაბ. 1)¹¹.

ძველ ქართულ ანდერძ-მინაწერებში გვხვდება „წერა“ ზმნისაგან ნაწარმოები რამდენიმე ტერმინი: მწერალი, დაწერილი, გამოწერა, რომელიც მხატვრის, დახატვის, გამოხატვის მნიშვნელობითაა ნახმარი. ქრონოლოგიური თანმიმდევრობით შეიძლება დავასახელოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ძეგლი, სადაც ეს ტერმინებია გამოყენებული.

X ს. ხელნაწერში, ე. წ. ჯრუჰის 1 ოთხთავში (H-1660), როგორც ზევით იყო აღნიშნული, კანონებისა და მინიატურების მომხატველს კამარათა მწერალი ეწოდებოდა. X ს. სვანურ მრავალთავში (A-19), რომელიც შეიცავს იოანე ოქროპირის სიტყვას „ტაძრის მწერალთათვის“, წარმოდგენს მითითებებს ტაძრის მომხატველთათვის. ტექსტში რამდენჯერმეა განმეორებული მწერალი, რომელიც შინაარსის მიხედვით მხატვრის ცნებას შეესაბამება. ამავე ძეგლში გამოყენებულია ტერმინი გამოწერა, რომელიც გამოხატვას ნიშნავს: „ჰბაძევთ „სიკელოვნითა ხატსა სულიერთასა და შეზაიებად ფერსა და ამგავსებდ ხატსა,

¹⁰ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული პალეოგრაფია, თბილისი, 1949, გვ. 117.

¹¹ ქართული დამწერლობის განვითარების ვრცელი ტაბულა ხელნაწერთა, ეპიგრაფიკული და ქედური ძეგლების, მთავრული ასოების მიხედვით პალეოგრაფიული კრებულის მომდევნო ნომერში დართვის სტატიას „ასომთავრული დამწერლობა, როგორც მხატვრული შრიფტი“.

ვითარცა-იგი იხილნის კორციელნი, და გამოსწერეთ კაცთა და პირუტყუთა...“ მე-11 ს. ერთ-ერთ ხელნაწერში (A-134) ვკითხულობთ: „ცხოვრებანი და მოქალაქობანი ღთ შემოსილთა და წთა მშთანი: მსგავს არიან მაგალითსა მხატვართასა რ“ვა ივინი გწიციდია ნ პირე“ლ გამოსახულსა სახესა და კელოვნებით შამსავგესებემ გამოსწერისა მას და შუენიერად გწაწესებენ შრავალ ფერთა სახეთა“. აქაც გამოწერილი გამოხატულის მნიშვნელობითაა ნახმარი.

